

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ჟირონ ხუჯაძე



**კონსტიტუციონალიზაციის პროცესი პოსტნაციონალურ საზოგადოებაში :
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონსტიტუცია გლობალურ კაპიტალსა
და ლოკალურ პროტესტს შორის**

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ლაშა ბრეგვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტი, სრული პროფესორი

თბილისი, 2019

სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი :	3
შესავალი	5
თავი I : კონსტიტუციონალიზაცია სახელმწიფოს გარეშე : მითი თუ რეალობა?	12
1.1. სამართლებრივი პლურალიზმი	14
1.1.1. სამართლებრივი დონეები მსოფლიო საზოგადოებაში.....	17
1.2. პოლიცენტრული გლობალიზაცია	19
1.3. დიგიტალიზაცია და პრივატიზაცია	22
1.3.1. დიგიტალიზაცია	22
1.3.2. პრივატიზაცია	23
1.4. ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა.....	24
თავი II : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი	25
2.1. სახელმწიფოსა და საზოგადოების განსხვავება.....	28
2.2. მსოფლიო საზოგადოება და მსოფლიო სამართალი.....	30
2.3. პერიფერიული სამართალი	32
თავი III : ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციების აღმოცენება	33
3.1. ოფიციალური ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციები.....	34
3.1.1. ევროპის კავშირის სამართალი.....	34
3.1.2. გაეროს წესდება	34
3.2. კონსტიტუციონალიზაციის პროცესი ტრანსნაციონალურ რეჟიმებში	35
თავი IV : მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, როგორც თვითკონსტიტუციური რეჟიმი	38
4.1. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნება და ძირითადი პრინციპები	38
4.2. მსო-ს ზოგადი სტრუქტურა და გადანყვეტილებათა მიღების მახასიათებლები.....	40
4.2.1. მსო-ს ზოგადი სტრუქტურა	40
4.2.2. გადანყვეტილებათა მიღება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში....	41
4.2.2.1. გადანყვეტილებათა მიღება კონსენსუსის საფუძველზე	41
4.2.2.2. გადანყვეტილებათა მიღება დავების განმხილველი ორგანოს მიერ.....	41
4.3. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონსტიტუციური რეჟიმი.....	43
4.3.1. სამართლის დაფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.....	45
4.3.1.1. ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სამართალი	45
4.3.1.2. "პოლიტიკური" სამართალი.....	46

4.3.1.3. სამართალშემოქმედება დავების განმხილველი ორგანოს მიერ 48

4.3.2. მსო-ს სამართალი კონკურენტულ სამართალთა შორის 50

4.3.3. ეკონომიკური თავისუფლება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება..... 51

4.4. ბუნდოვანი კონსტიტუციონალიზაცია 53

თავი V : მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გარეგანი კონსტიტუციური შებოჭვის აუცილებლობა 55

5.1. ეკონომიკის გლობალიზაციის პრობლემა 55

5.2. ადამიანის უფლებათა ჰორიზონტალური ეფექტი 58

5.3. ტრანსნაციონალურ რეჟიმთა კოლიზია 59

5.4. ექსპანსიის სანინააღმდეგო ძალები - ლოკალური საპროტესტო მოძრაობები 61

5.5. გარეგანი კონსტიტუციური შებოჭვა : ნორმა-პრინციპების დაფუძნება თუ უფრო ღრმა პრობლემა? 62

თავი VI : მსოფლიო საზოგადოების ავტონომიურ სექტორთა კონსტიტუციონალიზაციის სამომავლო პერსპექტივები 63

6.1. უნიფიცირებული კონსტიტუციური წესრიგი მსოფლიო საზოგადოებისათვის 63

6.2. ავტონომიური კონსტიტუციური წესრიგი მსოფლიო საზოგადოებისთვის 64

6.3. გამოცდილებიდან განპირობებული დასკვნა..... 66

თავი VII : გლობალური კონსტიტუციონალიზმი სამართლიანი მსოფლიო წესრიგისთვის 67

დასკვნა 70

გამოყენებული ლიტერატურა 73

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი :

ა.შ. - ასე შემდეგ

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

გვ. - გვერდი

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ევროკავშირი - ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება

ეუთო - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

ე.წ. - ევრეთ წოდებული

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

მარაკეშის შეთანხმება - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკეშის შეთანხმება

მსო - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

ტ. - ტომი

AB – Appellate Body

Art. - Article

DS - Dispute Settlement

DSU - Dispute Settlement Understanding

FSB - Financial Stability Board

FSF - Financial Stability Forum

GATS – General Agreement on Trade in Services

GATT - General Agreement on Tariffs and Trade

GSP - Generalized System of Preferences

IASB - International Accounting Standards Board

Inc. - Incorporated

Iss. - Issue

J. - Journal

N. - Number

NAFTA - North Atlantic Free Trade Agreement

NY - New York

OWS - Occupy Wall Street

P. - Page

Para - Paragraph

R. - Report

TGI - Tribunal De Grande Instance

TRIPS - Trade Related Aspects of Intellectual Property Rights

UN - United Nations

US – United States

Vol. - Volume

WTO - World Trade Organization

შესავალი

გლობალიზაციის პირობებში სამართლის სოციალური ევოლუცია მიმდინარეობს როგორც სამართლის შინაგანი ლოგიკის, ისე სხვა სოციალურ ქვესისტემათა გარეგანი ინტერაქციების შედეგად, რაც განაპირობებს სამართლის, როგორც საზოგადოების შემადგენელი ერთ-ერთი ქვესისტემის, მახასიათებლების სახეცვლილებას, მათ სხვაობას ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტებთან მიმართებით. თავის მხრივ, ცვლილებები დოგმატური სტრუქტურისა თუ მასთან დაკავშირებული ემპირიული რეალობისა, განაპირობებს სამართალზე დასაკვირვებელი მექანიზმების მრავალგვარობას. შესაბამისად, საზოგადოებრივი განვითარების კვლადკვალ, განსაკუთრებით გლობალიზაციის, პრივატიზაციისა და დიგიტალიზაციის პროცესებთან თანხვედრაში, სამართლის შინაგანი თუ გარეგანი აღწერილობა, სამართლის მოქმედების საზოგადოებრივ საფუძვლებსა თუ ნორმატიულ-სტრუქტურულ მახასიათებლებზე დაკვირვება, უნდა წარმართოს ძირითადი რეალური ფაქტორების გაანალიზებით, რაც წინაპირობაა იმისა, რომ თავისი საზოგადოებრივი წარმომავლობის, შინაგანი კულტურისა და თვითდამფუძნებელი ხასიათის გათვალისწინებით, სამართალი თანდათან, გლობალიზაციის ტენდენციურობისა და მკვეთრი ზრდის პირობებში, შორდება სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოთა გაერთიანებათა მიერ განპირობებული რეჟიმის ცნებას.

სამართლის საზოგადოებრივი წარმომავლობა და მისით დეტერმინირებულობა ნათლად აღქმადია როგორც გლობალური წესრიგის, ისე ლოკალური, ისტორიული პროცესების ანალიზის საფუძველზე; როგორც ჩვეულებითი, ისე ტრანსნაციონალური სამართლებრივი ნორმების არსებობა და ქმედითი ფუნქციონირება დასტურია იმისა, რომ სახელმწიფო სუვერენის ნება და ხედვა სამართლის დაფუძნებასა თუ იმასთან დაკავშირებით, რას წარმოადგენს მართლწესრიგი ზოგადად, არ არის ერთადერთი. მეტიც, იმ პირობებში, როდესაც ისტორიულად "სახელმწიფოს საქმედ" მიჩნეული ფუნქციების დელეგირება მიმდინარეობს კერძო აქტორებზე, როდესაც ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრები ლოკალური ადგილებიდან გლობალური მასშტაბებისაკენ ინაცვლებს, როდესაც ტრანსნაციონალური კერძო ორგანიზაციების ხელში ერთიანდება როგორც კაპიტალი, ისე ძალაუფლებისა თუ ავტორიტეტულობის მექანიზმები, სამართალი წარმოგვიდგება, როგორც ორგანიზაციულ-სტრუქტურულ სისტემათა მიერ კერძო სექტორებში წარმოქმნილი განმეორებადი პროცესების სპონტანური გააზრების საფუძველზე აღმოცენებულ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც თავდაპირველად ან იქამდე, სანამ სახელმწიფო თუ სახელმწიფოთა გაერთიანება საჯარო-მმართველობით დონეზე მოახდენს მათ ინკორპორირებას, უშუალოდ მოქმედების ძალითაა აღჭურვილი "მინი-საზოგადოებების", როგორებიცაა მეცნიერება, ტექნოლოგია, სპორტი, ვაჭრობა და ა.შ., დონეზე.

ფუნქციონალური დიფერენციაციის თეორიის თანახმად, სამართალს, ისევე როგორც სხვა დიფერენცირებულ, დამოუკიდებელი შინაგანი კულტურის მქონე საზოგადოებრივ ქვესისტემებს, ეკისრება კონკრეტული ფუნქციის შესრულების მოვალეობა, რაც შეიძლება გამოითქვას ორმაგი კოდის - სამართალი/უმართლობის დადგენის მეშვეობით. სამართლის ნეგაციის, ანუ უმართლობის შინაარსობრივი შეფასება, პირველ რიგში, უნდა მოახდინოს კონსტიტუციამ, რომლის დაფუძნების წინაპირობაცაა კონსტიტუციონალიზაციის პროცესი, როგორც დინამიკა საზოგადოებისათვის მისაღები ძირითადი ფუნდამენტური მნიშვნელობის წესების ამოცნობისა და დამკვიდრებისა.

გლობალურ დონეზე კონსტიტუციონალიზაციის პროცესი (პროცესები) უმეტესად წარმოებს ტრანსნაციონალურ კერძო რეჟიმთა, არასამთავრობო აქტორთა კომუნიკაციების, ანუ, ინფორმაციის, შეტყობინებისა და გაგების, მართალია, დიფერენცირებული, თუმცა ფუნქციონირებადი სისტემის მეშვეობით. მაგალითად, ინტერნეტის - გლობალური კომპიუტერული ქსელის სამართლებრივი სივრცის კონსტრუირება, მისი კონსტიტუციონალიზაცია დაკავშირებულია უმეტესად თავად კომპიუტერული თუ ქსელური ტექნოლოგიების სფეროში ოპერირებადი მულტინაციონალური კომპანიების გადანაცვლებებთან, ერთმანეთთან თუ სხვა ტრანსნაციონალურ კომპანიებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ ძირითად ნორმებთან, მათ შორის წარმოშობილ დავებზე კერძო არბიტრაჟთა მიერ გამოტანილ გადანაცვლებებში განერილ დასკვნებთან, მათ წინააღმდეგ წარმართული გლობალური პროტესტების სოციალური მუხტის შეფასებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების მითითებებსა და რეკომენდაციებთან, და უფრო ნაკლებად სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართლებრივ წესრიგთან.

გათვალისწინებით იმისა, რომ კონსტიტუციონალიზაციის პროცესის ფაქტობრივ-დოკუმენტურ განამდვილებას კონსტიტუცია წარმოადგენს, ხოლო იგი მნიშვნელოვანია სამართლის თეორიტიკოსთათვის, როგორც ცნებითი განმარტება "სახელმწიფოს ძირითადი კანონისა", კლასიკური ნარატივის თანამედროვე პროცესებთან შინაარსობრივ-პრაქტიკული თანხვედრის მიზნით, აუცილებელია, კონსტიტუციის ცნებას ჩამოშორდეს სახელმწიფოს მახასიათებელი და იგი განიმარტოს, როგორც საზოგადოებრივი, უფრო სწორედ "მინი-საზოგადოებრივი" დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ კონსტიტუციის ფუნქციას ასრულებს კონკრეტულ სოციალურ რეჟიმთა შიგნით. მაგალითად, გლობალური ვაჭრობისათვის კონსტიტუციის მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს არა კონკრეტული სახელმწიფოს რომელიმე საკანონმდებლო აქტს, არა უნიფიცირებული სამართლებრივი დოკუმენტის ნორმა-პრინციპებს, არამედ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებებს, რომლებიც აღიქმებიან, როგორც უშუალოდ მოქმედი, უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი დანაწესები წევრი-ქვეყნებისათვის, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ "სავაჭრო საზოგადოებებს" და არა

საერთაშორისო, სახელმწიფოთა გამაერთიანებელი ორგანიზაციის კლასიკურ სუბიექტებს.

წინამდებარე ნაშრომი იმ მოსაზრებების გადააზრების მცდელობაა, რომლებიც გლობალიზაციის ყოვლისმომცველი ხასიათისა და, შესაბამისად, დამდგარი ფაქტობრივი შედეგების მიუხედავად, მოტივირებულია რეალობაზე, რომელიც ასეთს წარმოადგენდა მხოლოდ წარსულში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლოკალური კონსტიტუციონალიზაცია, როგორც მიმდინარე პროცესი სამართლის დაფუძნებისა კონკრეტულ სოციალურ ერთობათა შიგნით, ადრეულ პერიოდებშიც ნამდვილი იყო იმდენად, რამდენადაც მისგან წარმოშობილი ნორმები ინდივიდთა მიერ აღიქმებოდა, როგორც ფაქტობრივი ან ალტერნატიული მართლწესრიგის შემადგენელი; მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობდნენ და ფიქრობენ მასზე პოზიტივისტებისა თუ ნორმატივიზმის წარმომადგენლები, რომლებიც სოციალური რეალობის იგნორირებით აყალიბებენ ხელოვნურ კონსტრუქტებს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, სადაც ამ უკანასკნელს მხოლოდ სახელმწიფო სუვერენის ნებით განპირობებულად წარმოგვიდგენენ.

ნაშრომის ძირითადი ჰიპოთეზები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის სისტემაზე ინტერდისციპლინური დაკვირვებით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ნიშნავს, რომ სამართალი, უმეტესად ტრანსნაციონალური სამართალი, შეფასებულია როგორც სამართლის სოციოლოგიის, ისე ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ისტორიული მახასიათებლებისა და სამართლის დოგმატიკის მოცემულობებიდან. კვლევა მიმართულია რამდენიმე თეზისის გასამყარებლად, მათი თეორიული თუ პრაქტიკული მტკიცების ნიადაგზე. უზოგადესი სახით, ნაშრომში მოყვანილი ძირითადი ჰიპოთეზები შეიძლება გადმოიყვას ამგვარად :

I. სამართალი არის ფუნქციონალურად დიფერენცირებული საზოგადოებრივი ქვესისტემა, რომელიც შინაგანი ლოგიკის საფუძველზე, კვლავწარმოების გზით მიმართავს თვითდაფუძნებასა და თვითრეგულირებას. სამართლის საზოგადოებრივი ხასიათი განაპირობებს "რამდენიმე სამართლის", პლურალისტული მოდელის არსებობას.

აღნიშნულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება სამართლის პოზიტივიზმისა და ნორმატივიზმის ცნებათა შინაარსობრივი განმარტებანი, რომლებიც უგულებელყოფენ კლასიკური კანონშემოქმედის - სახელმწიფოს ნების გარეშე წარმოქმნილი წესების, როგორც სამართლებრივი ღირებულების მქონე ნორმების, არსებობას.

II. სამართლის ფუნქციონალურად დიფერენცირებულ ქვესისტემად აღქმა გამორიცხავს სოციალურ ინტეგრაციას, შესაბამისად, უნიფიცირებული სამართლებრივი აქტები, გათვალისწინებით "ერთიანობის" მიღწევის

შეუძლებლობისა, უმეტესად ვერ ამართლებს მათ მიერ დასახულ ნორმატიულ მოლოდინებს. სამართლის ფუნქცია, რომელიც მხოლოდ მისთვისაა ბუნებრივი, ახდენს მის დისტანცირებას სხვა ქვესისტემათა შინაგანი ლოგიკებისადმი. შესაბამისად, განმსაზღვრელია დიფერენციაცია და არა ინტეგრაცია.

სისტემათა გადაჭარბებული კომპლექსურობის იდეის საწინააღმდეგოდ, ინტეგრაციის მოდელს გვთავაზობს იურგენ ჰაბერმასი, რომელიც კანტიანური კოსმოპოლიტიკური წესრიგის იდეის რეკონსტრუქციას ცდილობს მსოფლიო საზოგადოების "პოლიტიკური კონსტიტუციის" ცნების დამკვიდრებით; სასურველი კონსტიტუციური წესრიგის თეორიული ჩარჩო მოიცავს მიზანს ერთიანი, ყოვლისმომცველი სამართლებრივი სისტემის დაფუძნებისა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფოთა სოციო-კულტურული თავისებურებანი.

III. გლობალიზაციის ყოვლისმომცველი ხასიათიდან გამომდინარე, სამართალი გლობალურ დონეზე ინარჩუნება არა სახელმწიფო აქტორთა ან სახელმწიფოთა გაერთიანებათა - საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ, არამედ ტრანსნაციონალური სექტორის კომუნიკაციით საკუთრივ თავის თავთან. სამართლებრივი საზღვრები ყოველი ქვესისტემისათვის უმეტესად განისაზღვრება კერძო რეგულაციებითა და შეთანხმებებით. შესაბამისად, სამართლებრივი, კონკრეტულად კონსტიტუციონალიზაციის პროცესები, ნაწარმოებია კერძო-მმართველობითი სისტემების მიერ წარმართული მოქმედებებით. აღნიშნულის მაგალითია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც დისტანცირდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის კლასიკური განმარტებისგან და "სამართლებრივ წყურვილს" იკმაყოფილებს საკუთრივ წარმართული პროცესების შედეგად, სავაჭრო ურთიერთობების ანალიზის საფუძველზე - სამართლის დაფუძნებითა და წვდომით მასზე.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამოუკიდებელ ორგანიზაციად აღქმის საპირისპიროდ, გათვალისწინებით იმისა, რომ კონსტიტუციონალიზაციის პროცესები მასში "ბუნდოვანი" სახით მიმდინარეობს,¹ სამართლის სწავლულთა ნაწილისათვის, იგი წარმოადგენს სახელმწიფოთა მიერ დაფუძნებულ ისეთ საერთაშორისოსამართლებრივ ორგანიზაციას, სადაც სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფოები და არა, უპირველესად, სავაჭრო ურთიერთობანი.

პრობლემის აქტუალობა და სიახლე

¹ თემის განხილვის კონკრეტულ ეტაპზე მიზანშეწონილია, დამკვიდრდეს ტერმინი "ბუნდოვანი კონსტიტუციონალიზაცია", რომელიც წარმოაჩენს ბუნებას ტრანსნაციონალურ სექტორში მიმდინარე კონსტიტუციონალიზაციისა, რომელიც კლასიკური შეფასებათა საზომით, არ წარმოშობს "უეჭველ" მოცემულობებს პროცესისათვის კონკრეტული შინაარსის სტატუსის მისანიჭებლად.

პრობლემის აქტუალობის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ რეჟიმთა მზარდი გლობალიზაცია, რაც დღეისობით მსოფლიოში მიმდინარეობს, აყალიბებს ახალ სამართლებრივ წესრიგს, რომელზე დაკვირვებაც უნდა წარმართოს ან განსხვავებული ხედვებით, ან ძველი ხედვების ახლებური გადააზრებით. პრობლემა აქტუალურია, რამდენადაც იგი ჩვენს თანამედროვედ მიმდინარეობს და წარმოშობს გაუგებრობებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე. თეორიულ ასპექტში ურთიერთსაინანაღმდეგო მოსაზრებანი დაკავშირებულია კონსტიტუციური დისკურსის ფარგლებში სახელმწიფოს ცნების შესუსტებასა თუ გაქრობასთან, ხოლო პრაქტიკულ დონეზე, გათალისწინებით პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ სხვა რეჟიმთა ცენტრების გადანაცვლებისა სახელმწიფოდან "პერიფერიებისაკენ", "საჯარო სამართლისა" და კერძო რეგულაციების წინააღმდეგობრიობა ტენდენციურ ხასიათს იღებს, რაც წინაპირობაა იმისა, რომ მაგალითად, ინტერნეტი (იდენტიფიცირებული, როგორც სოციალური რეჟიმი) საკუთარ სამართლებრივ ბაზას თავადვე იქმნის - აღნიშნულმა კი შეიძლება მიგვიყვანოს(და უკვე მიგვიყვანა) Facebook-Cambridge Analytica Data Scandal-მდე ("ფეისბუქის" მომხმარებელთა თანხმობის გარეშე 2015-16 წლებში შეგროვდა და დამუშავდა ინფორმაცია, მათ შორის ფსიქოლოგიური პორტრეტები, მილიონობით ადამიანისა, რაც გამოყენებულ იქნა ამერიკის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს კანდიდატის მხარდამჭერი რეკლამების განთავსების მიზნით), ანუ იმ შედეგებამდე, როდესაც ფუნდამენტურ კონსტიტუციურ უფლებებს ეწინააღმდეგება კონკრეტული ქვესისტემის შიდა წესები, მისი მოწყობა და ფუნქციონირება.

რაც შეეხება ნაშრომის სიახლეს, გლობალური კონსტიტუციონალიზმის საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ აკადემიურ სივცეში მინიმალურადაა დამუშავებული.² ნაშრომში გადმოცემული პრობლემური საკითხები გაანალიზებულია როგორც სოციო-სამართლებრივი, ისე ფილოსოფიური აზროვნებით, რაც, სამართლის მეცნიერების კონკრეტული დარგისთვის, წარმოადგენს კიდევ სიახლეს.

² გლობალური კონსტიტუციონალიზმის დისციპლინის ფარგლებში, ითარგმნა და დაინერა რამდენიმე სტატია, რომელთაგან აღსანიშნავია : ბრეგვაძე, ლაშა : "ტრანსნაციონალური სამართლის გენეალოგია:მსოფლიო საზოგადოების ფრაგმენტირებული ნორმატიული წესრიგები", ბესარიონ ზოიძე - 60, საიუბილეო კრებული. ბრეგვაძე, ლაშა : "კონსტიტუციური პლურალიზმი : გლობალური კონსტიტუციონალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში", ადამიანი და კონსტიტუცია, N1, 2006. ბრეგვაძე, ლაშა : აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია : სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016. ტოიბნერი, გიუნთერ : "გლობალური ბუკოვინა - სამართლებრივი პლურალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში"(ინგლისურიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის სერია N1, 2005. ტოიბნერი, გიუნთერ : "გლობალური კერძო რეჟიმები : ნეოსპონტანური სამართალი და ავტონომიურ სექტორთა დუალისტური კონსტიტუცია?" (ინგლისურიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N2, 2016. ტოიბნერი, გიუნთერ : "საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი : სახელმწიფოზე ცენტრირებული კონსტიტუციური თეორიის ალტერნატივა?" (ინგლისურიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N1, 2018. ტოიბნერი, გიუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა" (ინგლისურიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N2, 2017.

კვლევის მეთოდები და ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ზოგადსამეცნიერო მეთოდები, მათ შორის შედარებითი, ანალიტიკური, აღწერილობითი, სისტემური, ლოგიკური ანალიზის, ჰერმენევტიკული და ისტორიული მეთოდები. ნაშრომი ეყრდნობა როგორც სოციოლოგიურ თუ ფილოსოფიურ თეორიებს (ნიკლას ლუმანის "სისტემათა თეორია", გიუნთერ ტობნერის "საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმის", იურგენ შაბერმასის "პოლიტიკური კონსტიტუციის", კანტის "კოსმოპოლიტიკური წესრიგის" თეორიები), ასევე კონკრეტული ორგანიზაციის - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მართლწესრიგის ანალიზს.

ნაშრომი საბოლოო მიზნად ისახავს გლობალური კონსტიტუციონალიზმის, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მახასიათებლების მკაფიოდ წარმოჩენას, ახალი სოციალური წესრიგით განპირობებული გლობალური სამართლებრივი სივრცის ანალიზს. შესაბამისად, ნაშრომი ჩამოყალიბებულია კონკრეტული სტრუქტურით და იგი შედგება შესავლის, 7 ძირითადი თავისა და დასკვნისაგან.

I თავი ეთმობა კონსტიტუციონალიზაციისა და კონსტიტუციის ცნებებში სახელმწიფოს, როგორც ერთადერთი სამართალშემოქმედი სუბიექტის, როლის შესუსტების ჩვენებას. გაანალიზებულია სამართლებრივი პლურალიზმისა და პოლიცენტრული გლობალიზაციის ცნებები, ასევე დიგიტალიზაციისა და პრივატიზაციის პროცესები, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავს კიდევ კონსტიტუციისა და სახელმწიფოს სხვადასხვა პოლუსებზე განლაგების მოცემულობას.

II თავი ეძღვნება საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმის ცნებას; იმის ანალიზს, თუ რა მოცემულობითაა კონსტიტუცია განპირობებული : საზოგადოებით თუ სახელმწიფოთი? შესაბამისად, ერთმანეთისგანაა გამიჯნული სახელმწიფოსა და საზოგადოების შინაარსობრივი მახასიათებლები. გათვალისწინებით საზოგადოებრივი დიფერენცირებულობისა, დამკვიდრებულია "პერიფერიული სამართლის" ცნება, რომელიც გულისხმობს დომინირებული სამართალწარმოების გადანაცვლებას ეროვნული სახელმწიფოს ინსტიტუციონალიზებული ცენტრებიდან სამართლის პერიფერიებისაკენ, თვითრეგულირებადი სისტემებისაკენ.

III თავში მიმოხილულია ზესახელმწიფოებრივ კონსტიტუციათა ორი განსხვავებული პრიმატი : ოფიციალური ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციები, რომლებშიც შეგვიძლია მოვიპოვოთ გავრცელებული და ტრანსნაციონალურ რეჟიმებში არსებული კონსტიტუციები თუ კონსტიტუციონალიზაციის პროცესები, მაგალითად : მსოფლიო ვაჭრობის კონსტიტუციონალიზაცია, განსაზღვრული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ. კონკრეტულ თავში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განსხვავების წარმოჩენას სახელმწიფო და სამოქალაქო დონეებზე კონსტიტუციონალიზაციის პროცესებს, კონკრეტულად, ნორმების დაფუძნებებს შორის.

IV თავში საუბარია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაზე, როგორც ფაქტობრივ გამოხატულებაზე წინა თავებში განმარტებული საზოგადოებრივი, ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციონალიზაციის პროცესისა ტრანსნაციონალურ სივრცეში. გაანალიზებულია მსო-ს სტრუქტურა, ნორმათა დაფუძნების კონკრეტული მახასიათებლები, გადანყვეტილებათა მიღების გარემოებები და, ზოგადად, მსო-ს სამართლის, როგორც მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში დომინირებული მართლწესრიგის, შინაარსი. ასევე, გამოთქმულია ეჭვები კონსტიტუციონალიზაციის პროცესის მყარი საფუძვლების არსებობის შესახებ; გათვალისწინებით ამისა, დამკვიდრებულია ცნება "ბუნდოვანი კონსტიტუციონალიზაცია".

V თავი ეთმობა მსო-ს გარეგანი კონსტიტუციური შეზღუდვის საკითხს, რაც მნიშვნელოვანია გათვალისწინებით ეკონომიკური ქვესისტემის მიერ გამოვლენილი ექსპანსიური ტენდენციებისა. გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ჰორიზონტალური ეფექტის მნიშვნელობა, ტრანსნაციონალურ რეჟიმთა დაპირისპირებულობის საკითხები და, საბოლოოდ, ექსპანსიის საწინააღმდეგო ძალებად წარმოჩენილია არა მკაცრი სამართლებრივი შეზღუდვები, არამედ სოციალური მუხტის მქონე ლოკალური საპროტესტო მოძრაობები.

VI თავში საუბარია კონსტიტუციონალიზაციის სამომავლო პერსპექტივებზე მსოფლიო საზოგადოების ავტონომიურ სექტორებში, როგორებიცაა მსოფლიო ეკონომიკა, მსოფლიო ტექნოლოგია, მსოფლიო კომუნიკაციის ქსელი და ა.შ. შემოთავაზებულია ორი ვარიანტი : უნიფიცირებული სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრებისა და ავტონომიური წესრიგის შენარჩუნებისა. უპირატესადაა მიჩნეული მეორე, რომლის მაკონტროლებელ ძალებადაა წარმოჩენილი წინა თავში იდენტიფიცირებული ლოკალური საპროტესტო მოძრაობები, რომლებიც უნდა აღიჭურვონ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციული მონაცემების გამართული ფორმებით.

VII თავი უპირატესად იდეური შედგენილობისაა, სადაც გადმოცემულია გლობალური კონსტიტუციონალიზმის, როგორც ინტერდისციპლინური დისკურსის, რომელიც თეორიულ თუ პრაქტიკულ დონეზე ხელს უწყობს სოციალური საფრთხეების იდენტიფიცირებასა და სახავს პრობლემათა გადაჭრის გზებს, შესწავლის უპირატესობანი.

თავი I : კონსტიტუციონალიზაცია სახელმწიფოს გარეშე : მითი თუ რეალობა?

კონსტიტუციონალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს მზარდი გლობალიზაციის, პრივატიზაციისა და დიგიტალიზაციის პროცესებთან თანხვედრაში, რაც განაპირობებს კონსტიტუციონალიზაციისა და კონსტიტუციის კლასიკური განმარტებების ცვლილებას.³ კონსტიტუციონალიზაცია, ზოგადი მოცემულობით, შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც პროცესი, რომლის შედეგადაც ყალიბდება ძირითადი პრინციპები, დაფუძნებული ღირებულებებზე, რომლებიც ცვლის ან განამტკიცებს მთავარ მიზნებსა და ამოცანებს საზოგადოების სოციალური მოთხოვნებიდან და ზოგადი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე. მისი მიმდინარეობისას წარმოიშობა ფუნდამენტური უფლებები, ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანაცხოვრების მომწესრიგებელი პოსტულატები, თავისუფლებისა და ავტონომიურობის განმამტკიცებელი ნორმები. იმ მოცემულობით, სადაც კონსტიტუციონალიზაციის მთავარი ელემენტი სახელმწიფოა, იგი განიმარტება, როგორც "სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების მოთხოვნათა ერთობლიობა"⁴.

განსხვავებულ აზრთა არსებობა კონსტიტუციონალიზაციის პროცესის შეფასებასა და განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაც, უნდა აღინიშნოს, რომ არის დაპირისპირების მიზეზი სამეცნიერო წრეებში, გამონგვეულია სუვერენული სახელმწიფოს შესაძლებლობების ეჭვქვეშ დაყენებით, სახელმწიფოს როლის, როგორც სამართალშემოქმედი ერთადერთი და უმნიშვნელოვანესი აქტორის, კრიტიკით.⁵

რახან კონსტიტუცია წარმოადგენს კონსტიტუციონალიზაციის პროცესის "დასასრულსა" თუ "ლოგიკურ შედეგს", მის დოკუმენტირებულად "განამდვილებას", საჭიროა, განიმარტოს მისი ორი ურთიერსაპირისპირო ცნება. პირველ რიგში, იგი უნდა განვმარტოთ ისე, როგორც ამას იძლევა ერი-სახელმწიფოს პრინციპზე დაფუძნებული თეორიები, რომლებიც კონსტიტუციას განიხილავენ, როგორც "სახელმწიფოს ძირითად კანონს"; უფრო უკეთ : "კონსტიტუცია არის განსაკუთრებული

³ ტობინერი, გიუნთერ : "საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი : სახელმწიფოზე ცენტრირებული კონსტიტუციური თეორიის ალტერნატივა?", სამართლის ჟურნალი N1, 2018 : 312.

⁴ ავტორთა კოლექტივი, კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005 : 49.

⁵ კონსტიტუციონალიზაცია სამართლის სწავლულთა უმეტესი ნაწილისთვის დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ დამფუძნებელი, უზენაესი ხასიათის ნორმების შემოღებასთან, რაც წინააღმდეგობრივია კონსტიტუციონალიზაციის საზოგადოებრივი წარმოშობის იდეისა. გიუნთერ ტობინერი, ეყრდნობა რა ამერიკელი სოციოლოგის, დევიდ შულის მოსაზრებებს, ავითარებს საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმის იდეას : "ალტერნატივა, რომელიც უნდა შემუშავდეს, არის კონსტიტუციონალიზმი სახელმწიფოს გარეშე. კონსტიტუციის თეორიტიკოსთათვის ეს ტაბუს დამსხვრევის ტოლფასია. მათთვის კონსტიტუცია სახელმწიფოს გარეშე საუკეთესო შემთხვევაში უტოპიაა - უმწეო უტოპია" - ტობინერი, გიუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართლის ჟურნალი N2, 2017 : 361. საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმის, როგორც კრიტიკული თეორიის შესახებ, იხ. Sciulli, David : Theory of Societal Constitutionalism, Cambridge University Press, 1992 : 15-17.

წესით მიღებული უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებაში პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას, საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან ურთიერთობებს".⁶ მეორე განმარტებით, რომელიც ყურადღებას ამახვილებს რა სამართლებრივ პლურალიზმზე, რახან პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ხდება სოციალური რეალობის ახლებური წაკითხვა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მკაფიო ზღვარი სახელმწიფოსა და კერძო აქტორებს შორის იშლება, იცვლება ცენტრისა და პერიფერიის დამოკიდებულებები, სადაც პერიფერიული სამართალი, დამოუკიდებლად ცენტრის ჩარევისა და მითითებისა, კვლავწარმოების გზით საკუთარ თავს აფუძნებს, როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი წესების ერთობლიობას და წვდომაც მასზე თავისუფლად შეუძლია; უფრო ზოგადად კი, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს იდეალების, ნაციონალიზაციის პროცესის, კერძო-საჯარო ურთიერთმიმართებებისა და სუვერენული სახელმწიფოს კლასიკური განმარტებების დეკონსტრუქციის შედეგად,⁷ კონსტიტუცია გასულია "სახელმწიფოზე მოტივირებულის" პრიზმიდან და წარმოადგენს ლოკალური თუ გლობალური სისტემების მიერ, სახელმწიფოსგან, როგორც პროცესების წარმმართველი სუბიექტის სტატუსის მქონე აქტორისგან, "შედარებით ან მთლიანად იზოლირებაში"⁸ ქმნად სამართალს ზოგადად, თუ დამფუძნებელი და უზენაესი სამართლის ნორმების ერთობლიობას, რომელიც განმტკიცებულია თავად ლოკალური და გლობალური საზოგადოების თანხმობითა და მონონებით.

იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ კონსტიტუციონალიზაციის პროცესი, ყურადღება უნდა გავამახვილოთ რამდენიმე ფაქტორზე. საჭიროა, ვისაუბროთ გლობალიზაციაზე, რომელიც მიმდინარეობს პოლიცენტრული სახით და უპირველესი მიზეზია დენაციონალიზაციისა;⁹ ასევე, აუცილებელია, გავაანალიზოთ მასთან დაკავშირებული პრივატიზაციისა და დიგიტალიზაციის პროცესები, ისევე როგორც სამართლებრივი პლურალიზმის ცნება, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება სამართლებრივ მონიზმს. უკანასკნელი ამოსავალ წერტილად აქცევს არა განსხვავებულ აქტორთა მიერ სამართლის შექმნის შესაძლებლობას, არამედ მოტივირებულია

⁶ ავტორთა კოლექტივი, კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005 : 53.

⁷ სამართლებრივი პლურალიზმისა და მონიზმის, ასევე გლობალიზაციისა და პრივატიზაციის შესახებ იხ. ბრეგვაძე, ლაშა. : ბრეგვაძე, ლაშა : "კონსტიტუციური პლურალიზმი : გლობალური კონსტიტუციონალიზმში მსოფლიო საზოგადოებაში", ადამიანი და კონსტიტუცია, N1, 2006 : 7.

⁸ ტობინერი იშველიებს გიდენსის მოსაზრებას, რომ "მსოფლიო საზოგადოების სხვადასხვა სექტორი ავითარებს საკუთარ გლობალურ სამართალს და ისინი ამას - როგორც გიდენსი აღნიშნავს - სახელმწიფოსგან, ოფიციალური საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო საჯარო სამართლისგან "შედარებით იზოლირებაში" ახდენენ" (Giddens, 1990: 70). იხ. სტატია : ტობინერი, გიუნთერ : "გლობალური ბუკოვინა - სამართლებრივი პლურალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში", სამართლის სერია N1, 2005 :186.

⁹ დენაციონალიზაციის გლობალიზაციით განპირობებულობის შესახებ იხ. Sassen, Saskia : "Globalization or Denationalization?", Review of International Political Economy, 2003. პროცესის მთავარი განმსაზღვრელი ტერიტორიული იურისდიქციის მაგიერ გლობალური იურისდიქციის დამკვიდრება.

სახელმწიფოზე, როგორც ერთადერთ სამართალშემოქმედ და სამართალდამცავ სუბიექტზე. გათვალისწინებით ზემოთქმულისა, საჭიროა, ყოველი მნიშვნელოვანი მახასიათებლის გაანალიზება ცალ-ცალკე და საბოლოოდ მათი ერთ განზომილებაში მოქცევა, რაც წინაპირობაა იმისა, რომ დაეძლიოთ ნარატივი სახელმწიფოს, როგორც ერთადერთი სამართალშემოქმედი სუბიექტობის შესახებ.

1.1. სამართლებრივი პლურალიზმი

ტერმინი პლურალიზმი დაკავშირებულია განსხვავებული აზრების, ინტერესებისა და მსოფლმხედველობების თანაარსებობასთან. პლურალისტურ საზოგადოებაში სოციალურ რეჟიმთა შიგნით ვითარდება მრავალი დამოუკიდებლად არსებული "კომუნიკაციური პროცესი".¹⁰ ისინი ერთმანეთის პარალელურად და

¹⁰ სამართლებრივი პლურალიზმისა და კომუნიკაციური პროცესების შესახებ იხ. Teubner, Gunther : "The Two Faces of Janus : Rethinking Legal Pluralism", Cardozo Law Review, 1992. კომუნიკაციური პროცესის შესახებ ასევე იხ. ლუმანი, ნიკლას : "მსოფლიო საზოგადოება როგორც სოციალური სისტემა", სამართლის ჟურნალი N1, 2017. კომუნიკაციური პროცესი წარმოადგენს ინფორმაციის, შეტყობინებისა და გაგების ერთობას - "სოციალური ქვესისტემების ერთობა შეადგენს საზოგადოებას, რომლის არსებობაც ემყარება აზრობრივ კომუნიკაციებს". ლუმანის მიერ შემუშავებული აუტოპოიეტური სისტემათა თეორიის თანახმად, საზოგადოებას შეადგენს ფუნქციონალურად დიფერენცირებული ქვესისტემები, რომლებიც თვითორგანიზებისა და კვლავწარმოების შედეგად ახდენენ საკუთარი თავის კომუნიკაციით აზრობრივი პორიზონტების ჩამოყალიბებას. აღნიშნულზე ვრცლად, იხ. ბრეგვაძე, ლაშა : აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია : სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016 : 28-36. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე იხ. Maurer, Kathrin : "Communication and Language in Niklas Luhman's Systems-Theory", Pandaemonium germanicum , 2010 : 1-21. აღნიშნული თეორიის თანახმად, თანამედროვე საზოგადოების ნიშანი არის არა იერარქიულობა (კლასობრივი თუ ფენობრივი სტრუქტურა), არამედ ფუნქციები/ფუნქციური დიფერენციაცია. საინტერესოა, რომ ლუმანისთვის ენა გაგებულა, როგორც მედიუმი, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ და ფსიქიკურ სისტემებს შორის გაგებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და არა, როგორც გონითი, თავისთავად ცნობიერი ფენომენი, რომელიც თავად ახდენს კომუნიკაციების კონსტრუირებას. ლუმანისათვის კომუნიკაცია დახურული, აბსტრაქტიზებული სისტემაა. კომუნიკაცია ნიშნავს ინფორმაციის გადაცემისა და გაგების სინთეზს, იგი ასახავს მგრძობელობას გარედან ჩარევისადმი და არ არის დაკავშირებული ენასთან. ყველაფერი კომუნიკაციაა, იგი არის დაკვირვებაც და ოპერაციაც. გადანყვეტილებათა მიღების პროცესში "გაგების" მისაღწევად და საბოლოოდ მისი ლეგიტიმაციისათვის მთავარია არა პიროვნებათა ფსიქოლოგიური თუ სხვა სუბიექტური მახასიათებელი, არამედ გადანყვეტილებათა ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, ანუ იმაზე, თუ რამდენადაა გარკვეული საკითხები საზოგადოების მიერ შემუშავებულ წესებად აღქმული. "როცა საქმე ეხება სასამართლოში დაპირისპირებულ მხარეებს, დავაში მონაწილენი არა მოსამართლის ფსიქოლოგიურ კონსტიტუციაზე, არა ნათესაობის და ძმაცულობის წესებზე, არამედ სასამართლო პროცესის (პროცედურების) რიგითობაზე, საკუთარი პრობლემების განზოგადების შესაძლებლობაზე, ანუ, ლუმანის სიტყვებით, ლეგიტიმურობის გენერალიზაციაზე ფიქრობენ." საინტერესოა სისტემის დეფინიცია ლუმანის მიერ : "ტრაიბელი ხსნის თუ რას გულისხმობს ლუმანის სისტემაში: ლუმანის თანახმად, აღნიშნავს ტრაიბელი, სისტემის ცნება ავტომატურად არ უკავშირდება საზოგადოების ცნებას. მანქანაც სისტემაა და მასაც აქვს წესრიგის შინაგანი სტრუქტურა. ლუმანის აზრით, სისტემა განსხვავებული ელემენტების უბრალოდ რელაციის შედეგად არ წარმოიშობა. სისტემას „გარე“ და „შიდა“ განსხვავების სტაბილიზაცია წარმოშობს. ტრაიბელს სისტემის ლუმანისეული გაგების ასახსნელად ოჯახის მაგალითი მოჰყავს. ოჯახი იმიტომაც არის სისტემა, რომ არსებობს „არაოჯახი“, ანუ ოჯახისაგან განსხვავებული წარმონაქმნი. ის, რაც ოჯახთან მიმართებაში გარემოა, სხვა შემთხვევაში შესაძლოა თვითონ წარმოადგენდეს სისტემას. აქედან ცხადია, რომ სისტემა კომპლექსურობის რედუქციას, მის გამარტივებას ახდენს. საზოგადოება სისტემებისაგან რომ არ

დისტანცირებულად აყალიბებენ ძირითად პრინციპებს, რომლებზე წვდომაც ხორციელდება თავად საზოგადოების (მინი-საზოგადოებების - ეკონომიკის, სამართლის, ხელოვნების, მეცნიერების და ა.შ.) მიერ. სამართლებრივი პლურალიზმი განაპირობებს "რამდენიმე სამართლის" არსებობას და, შესაბამისად, სამართლის დამდგენი რამდენიმე სუბიექტის არსებობასაც. მათში შეგვიძლია მოვიპოვოთ, როგორც ჩვეულებითი, ისე საეკლესიო თუ სხვა ლოკალურ ჯგუფებში არსებული, ასევე ტრანსნაციონალური კომპანიებისა თუ გლობალური სექტორის მსხვილი მოთამაშეების მიერ ქმნილი სამართალი.¹¹ შესაბამისად, სამართლებრივი მონიზმისგან განსხვავებით, რომელიც სამართლად აღიარებს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შემოღებულ და დამკვიდრებული ნორმატიული წესების ერთობლიობას, სამართლებრივი პლურალიზმი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს გარეთ "შექმნილ" სამართალზე, რომელიც საზოგადოებრივი ხასიათისაა და არსებობს სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად; მისი შემოღება, განმტკიცება და მასზე კონტროლიც არსებული "სოციალური ჯგუფების" შიგნით მიმდინარეობს.

იმისათვის, რომ სამართლებრივი პლურალიზმის შინაარსი უკეთ გავიაზროთ, საჭიროა მისი კონტრ-თეზისის, დაპირისპირებული სამართლებრივი მოძღვრების ანალიზი. აღნიშნულს წარმოადგენს სამართლებრივი მონიზმი, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სამართლის პოზიტივიზმსა და ნორმატივიზმთან.¹² პოზიტივიზმის თანახმად, სამართლის მოქმედების საფუძველს აყალიბებს სახელმწიფო ხელისუფლების ნება-სურვილი,¹³ ანუ სახელმწიფოა ერთადერთი უფლებამოსილი სუბიექტი, რომელსაც შეუძლია დაადგინოს, თუ რა არის სამართალი და შემდგომ დააფუძნოს იგი. ხოლო ნორმატივიზმის თანახმად, რომლის ფუძემდებელიც ჰანს კელზენია, სამართლის წმინდა თეორია მხედველობაში იღებს მხოლოდ პოზიტიურ სამართალს, რომელიც იქმნება ადამიანის მოქმედების საფუძველზე. იგი უგულებელყოფს ნორმებს, რომლებიც მომდინარეობს სხვა, მაგალითად, ზეადამიანური ავტორიტეტისგან.¹⁴ შესაბამისად, სოციალური ნორმების, საზოგადოებრივი კონსტიტუციების არსებობა სხვადასხვა დონეებზე, როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ მასშტაბებში, ორივე თეორიის თანახმად, შეუძლებელია,

შედგებოდეს და სისტემები თავის თავს სხვა სისტემისაგან (გარემოსაგან) ვერ ასხვავებდნენ, შეუძლებელი იქნებოდა ასეთ სამყაროში ცხოვრება, რადგან იგი მეტად კომპლექსური (სამყარო განსხვავებების გარეშე) იქნებოდა." აღნიშნულთან დაკავშირებით ვრცლად იხ. ჯგერენაია, ემზარ : "ნიკლას ლუმანის სისტემების თეორია", ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა, თბილისი, 2008.

¹¹ ბრეგვაძე, ლაშა : "კონსტიტუციური პლურალიზმი : გლობალური კონსტიტუციონალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში", ადამიანი და კონსტიტუცია, N1, 2006 : 11-13. ავტორი სამართლებრივ პლურალიზმს განმარტავს, როგორც სხვადასხვა დონის კომუნიკაციების არსებობას მსოფლიო საზოგადოებაში, რითაც ყალიბდება თითოეული სამართლებრივი დონის შინაგანი ფრაგმენტირება დამოუკიდებელ რეჟიმად (გვ.12).

¹² სამართლის პოზიტივიზმისა და ნორმატივიზმზე ვრცლად იხ: Corpus Juris - სამართალმცოდნეობის საკითხები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, წიგნი I, თბილისი, 2015 : 14-23.

¹³ ხუბუა, გიორგი. : სამართლის თეორია, თბილისი, 2004 : 34.

¹⁴ კელზენი, ჰანს : "რა არის სამართლის წმინდა თეორია?", სამართლის ჟურნალი N2, 2011 : 302.

რადგან იგი წარმოშობილია სახელმწიფოს გარეთ,¹⁵ მისი შემქმნელი სოციალური ერთობების კომუნიკაციებია, სახალხო გონია, სოციალური ურთიერთობების მრავალჯერადი პროცესების სპონტანური გააზრებანია, რაც, გარკვეულწილად, არის კიდევ კელზენისეული "ზეადამიანური ავტორიტეტი".

მიუხედავად ამისა, ჩვენ სამართალს სხვა შინაარსობრივი მოცემულობით ვაკვირდებით; კერძოდ, თუ სამართალს განვიხილავთ, როგორც საზოგადოების შემადგენელ, საზოგადოებრივი წარმოშობის ერთ-ერთ აუტოპოიეტურ (თვითორგანიზებად) ქვესისტემას, იგი უნდა წარმოვიდგინოთ, არა როგორც პოლიტიკური სუვერენის, გაბატონებული კლასის ან რომელიმე სოციალური სისტემის მიერ კონსტრუირებული მოვლენა, არამედ, როგორც დამოუკიდებელი, თავისი სიმწყობრისა და შინაარსის მქონე სოციალური რეჟიმი.¹⁶ ხოლო თვითორგანიზებულობა, თავის მხრივ, განაპირობებს "სიმრავლეს", ანუ პლურალიზმს. შესაბამისად, შეუძლებელია, მხოლოდ ერთი რომელიმე აქტორის, თუნდაც ისეთი დომინანტის, როგორც სახელმწიფოა, მიერ შემოღებული წესების ერთობლიობა იწოდებოდეს სამართლად და უგულებელვყოთ ისეთი პრინციპების არსებობა, როგორსაც აყალიბებს, მაგალითად, საეკლესიო სამართალი, რომელზეც ვერ ვიტყვი, რომ გააჩნდეს სამართლის ფუნქციონირებისათვის რაიმე ნაკლი; აღნიშნული წესები კონკრეტული "ერთობის" შიგნით აღქმულია, როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი, მათი დარღვევა "ისჯება" და, ასევე, არსებობს ფუნქციონალურად და სტრუქტურულად დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც "პასუხისმგებელია" წესების შესრულებასა და მათი დარღვევისდა გამო "სანქციების დაწესებაზე".¹⁷ სამართალი, ამ შემთხვევაში, არის თავისთავადი სისტემა და მის შინაგან განვითარებაზე პასუხისმგებლობა a priori ვერ დაეკისრება სახელმწიფოს, როგორც, გარკვეულწილად, ხელოვნურ კონსტრუქტს, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა,

¹⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა კონსტიტუციის სამი სახის – სამართლებრივი, რეალური და იდეალური კონსტიტუციების არსებობის საკითხი, სადაც სამართლებრივი კონსტიტუცია წარმოადგენს სპეციფიკურ კანონს, რომელიც ახდენს ძალაუფლების გადანაწილების რეგულირებას, რეალური კონსტიტუცია არის კონსტიტუცია მოქმედებაში, მიმდინარე სოციალურ პროცესებში ჩართული ძალაუფლების სისტემა და სტრუქტურა, ხოლო იდეალური კონსტიტუცია განსაზღვრავს იმ მოცემულობას, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოება, ანუ იგი ადგენს ჯერარსულ კონსტიტუციურ წესრიგსა და მის მასშტაბებს. აღნიშნულზე უკეთ იხ. ბრეგვაძე, ლაშა : "კონსტიტუციური პლურალიზმი : გლობალური კონსტიტუციონალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში", ადამიანი და კონსტიტუცია, N1,2006. ავტორი იმეორებს კონკრეტულ სტატიაში გამოთქმულ აზრს : Allot, Philip : Eunomia : New Order for a New World, Oxford University Press, Oxford, 2001 : 135-136.

¹⁶ ბრეგვაძე, ლაშა : აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია : სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში, თბილისი, 2016 : 6. სამართალზე, როგორც საზოგადოების აუტოპოიეტურ ქვესისტემაზე იხ. იგივე, გვ.36-48.

¹⁷ საეკლესიო სამართლის, კერძოდ საეკლესიო სამართლის პროცესის პრინციპების შესახებ, იხ: ჩიკვაიძე, დავით : საეკლესიო სამართლის პროცესი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2012 : 14-19. აღნიშნულ სამეცნიერო ნაშრომში საუბარია საეკლესიო სამართლის ისეთ პრინციპებზე, როგორებიცაა ყველა ბრალდების დამტკიცების პრინციპი, ერთი შეცოდებისთვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის პრინციპი, სასულიერო პირის ხარისხით ჩამოქვეითების დაუშვებლობის პრინციპი და სხვა.

მოქალაქეთა ერთობას - "საზოგადოებრივი ხელშეკრულებით" წარმოშობილი კონკრეტული ტერიტორიისა და სოციო-კულტურული ნორმების მქონე პრიმატს.¹⁸

გათვალისწინებით ზემოთქმულისა, ლოგიკურია, რომ არსებობს პარალელურად მოქმედი რამდენიმე სამართალი, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ეროვნულ, ასევე მის გარეთაც, გლობალურ დონეზე. ამიტომ, საჭიროა, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს რამდენიმე დონე, რომლებშიც სამართალი ოპერირებს. ისინი შეიძლება დავეყოს, როგორც : ლოკალური, ეროვნული, საერთაშორისო, სუპრანაციონალური და ტრანსნაციონალური სამართლის დონეები.¹⁹

1.1.1. სამართლებრივი დონეები მსოფლიო საზოგადოებაში

ა) ლოკალური სამართალი არის კონკრეტული სოციალური ჯგუფების "მოქმედი სამართალი", რომელიც უმეტესად საზოგადოებრივი იძულების შედეგად ფუნქციონირებს. იგი მეტწილად დაუნერვლი წესების, პრინციპების ერთობლიობაა, რომლებიც განმტკიცებულია განმეორებადი ქცევებითა და ჩეულებებით. სოციალური ჯგუფები, იქნება ეს შექმნილი პროფესიული, რელიგიური, კრიმინალური თუ სხვა ნიშნით, ანიჭებენ ჩეულებებსა და "ავტორიტეტების" მიერ "მონონებულ" წესებს სავალდებულოდ შესასრულებელ ხასიათს, რაც ერთობაში შემავალი ინდივიდებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმები.

ბ) ეროვნული და საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა მიერ დადგენილი და განმტკიცებული სამართლის ნორმების ერთობლიობაა. ეროვნული სამართალი უშუალოდ კონკრეტული სახელმწიფოს სამართალია, რომელსაც მიეკუთვნება სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, შრომის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და ა.შ. ხოლო საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლის მიხედვითაც ხდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რეგლამენტირება. იგი მიიღება სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთშეთანხმებების საფუძველზე.

¹⁸ "საზოგადოებრივი ხელშეკრულებაზე" ვრცლად იხ. რუსო, ჟან-ჟაკ : საზოგადოებრივი ხელშეკრულება, CIPDD, 1997. ასევე : Shaapera, Simon Aondohemba : "Evaluating the Social Contract Theoretical Ideas of Jean Jacques Rousseau: An Analytical Perspective on the State and Relevance to Contemporary Society", African Journal of Political Science and International Relations, Vol.9(2), 2015 : 36-41. საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფცია გულისხმობს, რომ სახელმწიფო შეიქმნა ადამიანთა გონივრული ურთიერთობის შედეგად იმ იდეით, რომ იგი - "სახელმწიფო ორგანიზაცია" დაიცავს ყველას ინტერესს თანაბრად. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია თომას ჰობსისა და ჯონ ლოკის იდეები. იხ. Laskar, Elahi Manzoor : "Summary of Social Contract Theory by Hobbes, Locke and Rousseau", Symbiosis International University, 2013.

¹⁹ სამართლის დონეების შესახებ იხ. ბრეგვაძე, ლაშა : "კონსტიტუციური პლურალიზმი : გლობალური კონსტიტუციონალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში", თბილისი, 2006 : 13. ნაშრომის შემდეგი ქვეთავი უმეტესად გადმოცემს აღნიშნულ სტატიაში მიმოხილულ თემას სამართლებრივი დონეების შესახებ.

გ) სუპრანაციონალური სამართალი, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მსგავსად, განეკუთვნება "ოფიციალურ" სამართალს, თუმცა იგი დაკავშირებულია კონკრეტულ შემოსაზღვრულ "სივრცესთან", რომლის შიგნითაც ენიჭება მას უშუალოდ მოქმედი სამართლის მნიშვნელობა(რეგიონალური მოქმედება). აღნიშნულის მაგალითია "ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება"(NAFTA),²⁰ რომელიც მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის კონკრეტულ ქვეყნებში არეგულირებს ვაჭრობის საკითხებს. სუპრანაციონალური რეჟიმები გამოირჩევიან დამოუკიდებელი ორგანოების არსებობით, რომლებიც ფუნქციონალურად ინანილებენ კონკრეტულ საკითხებს, მაგალითად, დავების გადამწყვეტი ორგანო NAFTA-ში, ან ევროკავშირის სასამართლო სისტემა.

დ) ტრანსნაციონალური სამართალი არის სახელმწიფოს მიღმა მოქმედი სამართალი, რომელიც კერძო ავტონომიისა და თვითრეგულირებადი პროცესების მეშვეობით განიცდის სოციალურ ცვლილებებს. იგი ნაკლებად ემორჩილება საჯარო სფეროს კონტროლს. ტრანსნაციონალური სამართლის საუკეთესო მაგალითია "lex mercatoria", გლობალური კომერციული სამართალი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩვეულებების, კერძო ინიციატივებისა თუ ქცევების სპონტანური გააზრების შედეგად ჩამოყალიბებული ნორმების საფუძველზე²¹ ქმნიდა სამართალს და ახდენდა მის მოდიფიკაციას. ასევე ტრანსნაციონალურ სამართლებრივ წესრიგად მიიჩნევა "მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია" (WTO), რომელიც მსოფლიო ვაჭრობის პოლიტიკასა და დინამიკას განსაზღვრავს დამოუკიდებლად, ან "თითქმის დამოუკიდებლად" და წარმოადგენს გლობალურ-მმართველობით სისტემას.²²

ტრანსნაციონალური სამართლებრივი დონე ხასიათდება დამოუკიდებლობით სახელმწიფო გავლენებისგან, სადაც ტრანსნაციონალური რეჟიმები დაკავებული არიან ავტონომიური კონსტიტუციების შექმნით, რომელზე წვდომაც მათთვის იგივეა, როგორც სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლისთვის სისხლის სამართლის ნორმების გამოყენება ან კერძო პირისათვის საკუთარი უფლებების დაცვა საქალაქო სასამართლოში, ანუ მარტივი და ბუნებრივი. შესაბამისად, არ არსებობს ზემდგომი ან შუამავალი ორგანო, რომელიც, მაგალითად, ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის არსებული დავების მოგვარებაში კერძო არბიტრაჟს ჩაანაცვლებდა უკეთესი მონესრიგების მქონე დავების გადამწყვეტი ორგანოთი, რადგან

²⁰ კანადა, მექსიკა და შეერთებული შტატები არიან NAFTA-ს წევრები, NAFTA-ზე, როგორც სუპრანაციონალურ ორგანიზაციაზე, იხ. Brow, Brian and Anderson, Greg : Building Without Architecture : Regional Governance in Post-NAFTA North America, NY, 2015 : 1-31.

²¹ სპონტანური გააზრებით ნორმების ჩამოყალიბების შესახებ, იხ. Thornhill, Christopher : "A Sociology of Constituent Power : The political Code of Transnational Societal Constitutions", Indiana Journal of Legal Studies, 2013 : 567.

²² მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაზე, როგორც ტრანსნაციონალურ რეჟიმსა და გლობალურ-მმართველობით სისტემაზე, იხ. Lamy, Pascal : "The WTO's Contribution to Global Governance", The WTO and Global Governance, United Nations University Press, 2008 : 39-55. გლობალური მმართველობითი დონის დაფუძნება ნიშნავს, რომ გადამწყვეტილებათა მიღების პროცესი ინაცვლებს ახალ პოლიტიკურ ცენტრებისაკენ, ნაციონალური სახელმწიფოდან გლობალური რეჟიმებისაკენ.

ტრანსნაციონალური სამართლის ნორმები, შესაბამისად, ამ ნორმების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილებები, არის უფრო ეფექტური და ნეიტრალური. მთავარი განმსაზრეელი ფაქტორი მათი დაფუძნებისა არა სახელმწიფოს ნებაა, რომელიც ეროვნულ სამართალში მოქალაქეებზე "მაღლა" დგას და გამოირჩევა ძალდატანებითი და რეპრესიული ბუნებით, არამედ კონკრეტული კერძო სუბიექტების მიზნები, რომ მაქსიმალურად სწრაფად, მარტივად და სარფიანად მოაგვარონ წარმოშობილი დავები.

ტრანსნაციონალური სამართლის დამკვიდრებისა და ფუნქციონირების პროცესი შეიძლება აღინეროს ამგვარად : სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ სექტორებში სოციალურ მოქმედებათა სამართლებრივი რეგულირება კერძო სუბიექტების მიერ თავს აღწევს ეროვნული სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებულ სამართლებრივ წესრიგს, გადის რა არსებული ჩარჩოდან, მათში ხორციელდება სამართლის თვითდეკონსტრუქცია, რაც თავის მხრივ, აზრს უკარგავს და ძალას აცლის სახელმწიფო სამართლის მიერ დამკვიდრებულ ისეთ ცნებებს, როგორებიცაა სამართლის ლეგიტიმაცია პოლიტიკური კონსტიტუციების მიხედვით, კანონშემოქმედება საპარლამენტო ორგანოების მიერ, სამართლის წყაროების შიდასახელმწიფოებრივი განსაზღვრულობა და ა.შ.²³ მარტივად რომ ითქვას, ტრანსნაციონალური რეჟიმებისთვის აღმავალი ხაზით იმატებს თვითდაკმაყოფილების ტენდენციები, სამართლის დაფუძნება და წვდომა მასზე, ხოლო დაღმავალი ხაზით კლებულობს სახელმწიფოს როლი მათი ურთიერთობების სამართლებრივი მონესრიგების სფეროში.

1.2. პოლიცენტრული გლობალიზაცია

როგორც უკვე ვახსენეთ, გლობალიზაციის პროცესი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კონსტიტუციონალიზმის ცნების ახლებური გააზრებისათვის.²⁴ უდავოა, რომ მსოფლიო საზოგადოება ვითარდება არა ჩაკეტილ წრესა და სივრცეში, არამედ მრავალ ფუნქციონალურად თუ სტრუქტურულად განსხვავებულ რეჟიმთა „ურთიერთობების“ შედეგად. სწორედ აღნიშნული რეჟიმები აყალიბებენ ავტონომიურ გლობალურ

²³ ტრანსნაციონალური სამართლის დამკვიდრების შესახებ იხ. ტობინერი, გიუნთერ : "გლობალური კერძო რეჟიმები : ნეოსპონტანური სამართალი და ავტონომიურ სექტორთა დუალისტური კონსტიტუცია?", სამართლის ჟურნალი N2,2016 : 309.

²⁴ გლობალიზაციაზე, კერძოდ მოდერნულობის გლობალიზაციაზე, იხ. Giddens, Anthony : The Consequences of Modernity, Stanford University Press, 1990: 63-78. გიდენსი გლობალიზაციას განმარტავს, როგორც გაძლიერებას მთელი მსოფლიოს მომცველი სოციალური ურთიერთობებისა, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს "შორ მანძილზე" მყოფ "ადგილებს", რაც გამოიხატება იმაში, რომ ლოკალური შედეგები განპირობებულია მრავალი მილით დამორებულ ადგილას წარმართული პროცესებით. კონკრეტული თემის განხილვის ფარგლებში, უპრიანია აღინიშნოს, რომ გლობალიზაცია პირველადი განმაპირობებელი ფაქტორია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის იმ სახით ფუნქციონირებისა და ავტორიტეტულობისა, როგორც იგი ღღესაა. აღნიშნულზე უკეთ, იხ. Rodrik, Dani : "Globalization, Trade And Developing Countries", The WTO and Global Governance, United Nations University Press, 2008 : 202-215.

სექტორებს და მათი ურთიერთკავშირი განაპირობებს გლობალიზაციის „პოლიცენტრულ“ იდეას.²⁵ მთავარი კითხვა აღნიშნულთან მიმართებით მდგომარეობს შემდეგში : არის თუ არა თანამედროვე პროცესები „მართული“ ერთი რომელიმე წარმმართველი, დომინანტი სოციალური რეჟიმის მიერ თუ მრავალი განსხვავებული „ცენტრი“ კვებავს თანამედროვე მსოფლიო პროცესებს?

პოლიცენტრიზმი პრინციპია, რომელიც მრავალი ცენტრის არსებობის პირობებში დასაშვებად მიიჩნევს ერთი მთლიანი, ყოვლისმომცველი სისტემის წარმოშობა-განვითარებას,²⁶ ხოლო გლობალიზაცია განიმარტება, როგორც „მრავალმიმართულებიანი ფენომენი, რომელიც მოიცავს საქმიანობისა და ურთიერთქმედებათა სხვადასხვა სფეროს, მათ შორის - ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ტექნოლოგიურ, სამხედრო, სამართლებრივ, კულტურულ და გარემოს დაცვის პრობლემებს. თითოეული ამ სფეროთაგანი მოიცავს ურთიერთობებისა და საქმიანობის განსხვავებულ მახასიათებლებს“.²⁷

პოლიცენტრული გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი იდეა, რომელიც, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტიცაა მისი კრიტიკისა, მდგომარეობს იმაში, რომ გლობალიზაცია, ზოგადად, და სამართლის გლობალიზაცია, კერძოდ, განიხილება, როგორც ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის შედეგი.²⁸

ზოგადად, ეკონომიკისა და საბაზრო ურთიერთობების დომინირების საკითხი, აქტუალური იყო გლობალიზაციამდელ ეპოქაშიც. ცნობილი რუსი მეცნიერი ევგენი პაშუკანისი თავის წიგნში "სამართლის ზოგადი თეორია და მარქსიზმი" საზოგადოებას უწოდებს ბაზარს : "სახელმწიფოებრივი მანქანა ნამდვილად არეალიზებს თავის თავს, როგორც "საერთო ნება", როგორც "სამართლის ხელისუფლება" და სხ., რამდენადაც საზოგადოება წარმოადგენს ბაზარს ... ბაზრისათვის პირველადნი არიან გაცვლაში მონაწილე საქონლის-მფლობელები. ხელისუფლების წესრიგი არის უკვე წარმოქმნილი , მეორადი, რაღაც, რაც გარედან ემატება უკვე არსებულ საქონლისმფლობელებს."²⁹

ეკონომიკით განპირობებული გლობალიზაციის ამგვარი ფორმის ალტერნატივა კი არის პოლიცენტრული გლობალიზაცია, სადაც უმნიშვნელოვანესი წარმმართველი

²⁵ პოლიცენტრიზმის იდეაზე უკეთ იხ. Scholte, Jan Aart : "Globalization and Governance: From Statism to Polycentrism", CSGR Working Paper N.130/04, coventry, 2004.

²⁶ პოლიცენტრული სისტემის გამაერთიანებელ რგოლს, კონკრეტული თემის განხილვის მიზნებისთვის, წარმოადგენს მსოფლიო საზოგადოება.(მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოება), როგორც საზოგადოებრივი სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტი გლობალურ სივრცეში.

²⁷ Held, David : Democracy and the Global Order: From the Modern State to Cosmopolitan Governance, Polity Press Ltd., Cambridge, 1995: 62.

²⁸ ტობინერი, გიუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", თბილისი, 2017, 361-362.

²⁹ პაშუკანისი, ე.ბ. : სამართლის ზოგადი თეორია და მარქსიზმი, თბილისი, 1931, 111-112.

პროცესი საზოგადოების ფუნქციონალური დიფერენციაციაა.³⁰ თითოეული ავტონომიური ფუნქციონალური ქვესისტემა თავს აღწევს რა საკუთარ ტერიტორიულ მიწებს, ახდენს საკუთარი თავის გლობალურ კონსტრუირებას, რაც მხოლოდ ეკონომიკის ქვესისტემით წარმართული ვერ იქნება. იგი ასევე მოიცავს კულტურას, მეცნიერებას, თავდაცვას, ტექნოლოგიას, ჯანდაცვას და ა.შ. რაც შეეხება, სამართალს, პოლიტიკასა და სოციალურ უზრუნველყოფას, ისინიც მონაწილეობენ პროცესში, თუმცა უფრო განუვითარებელი სახით.³¹

შესაბამისად, თუ დავუშვებთ იმას, რომ გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს ურთიერთდაკავშირებული, თუმცა ფუნქციონალურად განსხვავებული და დამოუკიდებელი რეჟიმების კომუნიკაციით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიოს გადამფარავი ურთიერთობების "მონესრიგება", უფრო უკეთ თუ ვიტყვით, "სამართლით მონესრიგება", მათი ნორმატიულ ჩარჩოებში მოქცევა და მათ ქმედებებზე "სახელმწიფო პასუხის მოთხოვნა" უფრო მეტად სუსტდება, რაც განაპირობებს სოციალური რეჟიმებისა და სამართლის "დანყვილებს" (მაგალითად, ეკონომიკური წესრიგისა და სამართლის კონსტიტუციური პრინციპების დონებზე "დანყვილებს") ახლებურ მოცემულობას, სადაც უფრო მეტად გლობალური კერძო რეჟიმები არიან შემოქმედნი სამართლის, ვიდრე ერი-სახელმწიფო. აღნიშნული ლოგიკურიცაა, რადგან მაშინ, როდესაც გლობალიზაციის პროცესი არ იყო ასეთი ყოვლისმომცველი, სახელმწიფო ძალაუფლება მობილიზებული იყო სახელმწიფოს "შიგნით" მიმდინარე პროცესებზე, რაც ანიჭებდა მას შესაძლებლობას, ყოფილიყო სამართალშემოქმედი ერთადერთი სუბიექტი (ან უპირატესად აღქმულიყო ამგვარად), ხოლო მას შემდეგ, რაც "ძალაუფლების წყაროები", იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური, გლობალიზაციის პროცესთა თანხვედრაში, გადანაცვლებულ იქნა სახელმწიფო დონის გარეთ, სამართალიც, გლობალურ დონებზე და გარეგანი მონესრიგების სახით, უფრო მეტად იქცა "ძალაუფლების ცენტრების", ჩვენს შემთხვევაში, გლობალური კერძო რეჟიმების მიერ კონსტრუირებულ მოვლენად.³²

³⁰ ტერმინი ფუნქციონალური დიფერენციაცია შემოღებულია ლუმანის მიერ, რაც ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე საზოგადოების შემადგენელ ცალკეულ სუბსისტემებს, როგორებიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება, მედია, ტექნოლოგია, ოჯახი, რელიგია, განათლება, მედიცინა, სპორტი და სხვა - ეკისრებათ ერთი და უნიკალური ფუნქციის შესრულების როლი; ყოველ სუბსისტემას - განსხვავებული. ისინი არიან ავტონომიური სისტემები, რომლებიც ოპერირებენ თავიანთი ლოგიკითა და ბინალური კოდით. ბინალური კოდი, მაგალითად, მეცნიერებისთვის, არის სწორი/მცდარი., სამართლისთვის - სამართალი/უმართლობა. გათვალისწინებით ფუნქციათა სხვაობებისა, ლოგიკათა წინააღმდეგობრიობისა "ერთობა/ინტეგრაცია" შეუძლებელია. აღნიშულზე ვრცლად, იხ. Ziemann, Benjamin : " The Theory of Functional Differentiation and the History of Modern Society. Reflections on the Reception of Systems Theory in Recent Historiography", White Rose University Consortium, 2007 : 220-229.

³¹ ტობინერი, გიუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართალუს ჟურნალი N2,2017 : 362.

³² გლობალური კერძო რეჟიმების შესახებ იხ: ტობინერი, გიუნთერ : "გლობალური კერძო რეჟიმები: ნეოსპონტანური სამართალი და ავტონომიურ სექტორთა დუალისტური კონსტიტუცია?", სამართლის

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა, ტოიბნერისეული მოსაზრება, რომელიც უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში წარმართულ პროცესებს უკავშირებს ჩვენს მიერ ზემოქაჩამოთვლილ შედეგებს : "საუკუნეების განმავლობაში სამართალი მიჰყვებოდა ეროვნულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ლოგიკას და იყო ხილვადი ნაციონალურ მართლწესრიგთა სიმრავლეში. თითოეულ მათგანს ჰქონდა საკუთარი ტერიტორიული იურისდიქცია. თუმცა, უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში, სწრაფად მზარდი ექსპანსიის პირობებში, ტრანსნაციონალურმა რეჟიმებმა, მათ შორის კი ყველაზე თვალსაჩინოდ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ, მოახერხეს ავტონომიურ მართლწესრიგებად თვითდაფუძნება გლობალურ დონეზე. გავრცელებული მოსაზრებების საპირისპიროდ, გლობალურ სამართლებრივ რეჟიმთა აღმოცენება სულაც არ გულისხმობს მართლწესრიგთა ინტეგრაციას ან კონვერგენციას. ნაცვლად ამისა, საზოგადოებრივი ფრაგმენტაცია იმგვარად მოქმედებს სამართალზე, რომ დიფერენცირებულ საზოგადოებრივ სფეროთა პოლიტიკური მონესრიგება მოითხოვს საგნობრივად სპეციფიკური პოლიტიკური სივრცეების დანაწევრებას, რომლებიც ახდენენ თავისთავად იურიდიული კაციას." ³³

1.3. დიგიტალიზაცია და პრივატიზაცია

მე-18 და მე-19 საუკუნეების ეროვნულ სახელმწიფოთა კონსტიტუციური საკითხი დაკავშირებული იყო რეპრესიული პოლიტიკური ძალაუფლების დისციპლინირებასთან, ხოლო დღევანდელობაში სოციალურ დინამიკათა დისციპლინირების თემაა აქტუალური.³⁴ სწორედ აღნიშნულის ილუსტრაციაა ორივე პროცესი, დიგიტალიზაცია და პრივატიზაცია, რომელიც გლობალიზაციის თანხვედრად მიმდინარეობს.

1.3.1. დიგიტალიზაცია

დიგიტალიზაცია, შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ინტეგრაცია დიგიტალური ტექნოლოგიებისა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც უფრო მეტად იძენს სიხშირესა და ყოვლისმომცველობას.³⁵ იგი თანამედროვე მსოფლიო წესრიგის საზღვრებს კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ზღვრულად ავლენს. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ, რომელიც ისტორიულად ორიენტირებული იყო ლოკალური პრობლემების მოგვარებაზე, გაძნელებულია ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ სამართლის დაწესება, აღსრულება და კონტროლი, რადგან

ჟურნალი N2,2016. უნდა აღინიშნოს, რომ სამართალი იმდენად არის გარედან კონსტრუირებული, რამდენადაც შინაგანი ლოგიკის შესაბამისად იგი ამას საჭიროებს.

³³ ტოიბნერი, გიუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართლუს ჟურნალი N2,2017 : 363.

³⁴ ტოიბნერი, გიუნთერ : "საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი : სახელმწიფოზე ცენტრირებული კონსტიტუციური თეორიის ალტერნატივა?", სამართლის ჟურნალი N1,2018, : 312.

³⁵ დიგიტალიზაციაზე ვრცლად იხ: Crunig, James : "Paradigms of Global Public Relations in Age of Digitalisation", PRism, 2009. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://www.prismjournal.org/fileadmin/Praxis/Files/globalPR/GRUNIG.pdf>. (ნანახია 2019 წლის 1 ივლისს).

ტექნოლოგიური ურთიერთობები არ ექცევა არც სახელმწიფოს და არც სახელმწიფოთა გაერთიანებების საზღვრებში. შესაბამისად, კონსტიტუციური პრინციპების დამკვიდრება, მათზე კონტროლი და აღსრულება, უმეტესად უკავშირდება თავად "ტექნოლოგიური სფეროს" ოპერირებას საკუთრივ თავის თავთან და თუ საჭიროა, სხვა სექტორებთანაც, მაგრამ უკვე ნაკლებად სახელმწიფოსა და სახელმწიფო სუვერენის მქონე აქტორებთან.

ჩვენს თანამედროვედ, კომუნიკაციის დიგიტალიზაციასთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემებს პირისპირ ეჯახება მსოფლიო საზოგადოება. კონკრეტული მაგალითია პოსტ-პროვაიდერებისა და კონტენტ-პროვაიდერების პროფესიული ურთიერთობანი, სადაც პოსტ-პროვაიდერები სთავაზობენ კონტენტ-პროვაიდერებს ვებ-გვერდის განთავსების შესაძლებლობას, რაც მოექცა პროკურორებისა და კერძო კოლექტიურ მომჩივანთა დაინტერესების სფეროში. უფრო კონკრეტულად, მომჩივანები თავიანთ პრეტენზიებს აფუძნებდნენ ვებ-გვერდების მასალებზე, სადაც დატანილი იყო არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის და ნაცისტური პროპაგანდის ელემენტები. საბოლოოდ, პარიზის უზენაესი ინსტანციის ტრიბუნალმა (Paris Tribunal De Grande Instance) 2000 წლის 20 ნომბრის განკარგულებით, დაავალა კორპორაცია Yahoo Inc., შეეზღუდა წვდომა ფრანგი მომხმარებლებისათვის ნაცისტური პროპაგანდის საგნების აუქციონზე.³⁶

მიუხედავად პრეცედენტული სამართლის არსებობისა, ინტერნეტ პროვაიდერები, ნაკლებად რეგულირებადი სექტორის პრინციპებიდან გამომდინარე, კვლავ არღვევენ ადამიანის უფლებებს, რაც წამოჭრის საკითხს იმის შესახებ, თუ ვის აქვს დიგიტალურ კომუნიკაციაზე წვდომის უფლება. ანუ, დებატების საგანია არა მხოლოდ ისეთი საკითხები, როგორებიცაა - ნაციონალური ნორმების მოქმედება და იმპლემენტაცია ინტერნეტის ტრანსნაციონალურ სივრცეში, ძირითადი უფლებების ჰორიზონტალური მოქმედება ან კერძო პროვაიდერთა სახელმძღვანელო იძულება, არამედ უფრო ზოგადი და ფუნდამენტური საკითხი, თუ რომელმა სუბიექტმა უნდა გადანაცვლოს უნივერსალური პოლიტიკური უფლების განხორციელება, დიგიტალურ კომუნიკაციაზე წვდომის მინიჭება.³⁷

1.3.2. პრივატიზაცია

რაც შეეხება პრივატიზაციას, იგი შეგვიძლია განვმარტოთ, "როგორც ლეგიტიმირებისა და სოციალური რეგულირების მექანიზმის გადანაცვლება საჯარო

³⁶ პოსტ-პროვაიდერებისა და კონტენტ-პროვაიდერების ურთიერთობათა შესახებ იხ. ტობინერი, გუნთერ : "საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი : სახელმწიფოზე ცენტრირებული კონსტიტუციური თეორიის ალტერნატივა?", სამართლის ჟურნალი N1, 2018, თბილისი, 2019 : 311. სასამართლო გადანაცვეტილება : TGI Paris, Ordonnance de référé du 20 Nov. 2000. იხ. ვებ-გვერდზე: <http://www.juriscom.net/txt/jurisfr/cti/tgi-paris-20001120.html>.

³⁷ იხ. იქვე : გვ.312

სფეროდან კერძო სფეროზე; დომინირებულ პოლიტიკურ სუბიექტთა თუ ინსტიტუტთა ჩანაცვლება კერძო ორგანიზაციული წარმონაქმნებით, "პოლიტიკური საჯარო მთავრობების" კონცეფციის ჩანაცვლება "კერძო მართვის" კონცეფციით (Public Government vs. Private Governance)".³⁸

რახან "საჯარო სექტორის" როლი მცირდება თანამედროვე საზოგადოებაში და "საჯარო მომსახურების" განწევა უკვე მეტი ინტენსივობით ევალუატირებათ კერძო ორგანიზაციებს, იგი იწვევს სახელმწიფო ფუნქციების ბუნებრივ დამცრობას, რაც გამოიხატება კერძო აქტორებისათვის, ისტორიულად "სახელმწიფოს საქმედ" მიჩნეული, მოვალეობების დაკისრებაში. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ მოვალეობების გადანაცვლება ასევე იწვევს იმ დამოკიდებულებების ცვლილებას, რაც არსებობდა "მოვალეობების შემსრულებელი ნორმების" დადგენასთან დაკავშირებით, ანუ ცვლილება საჯარო მმართველობისა კერძო მართვის კონცეფციით. იძლევა იმის საშუალებას, რომ კერძო მართვის სამართლებრივი ბაზა უფრო იყოს თვითრეგულირებადი, ვიდრე გარედან, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დარეგულირებული.

1.4. ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა

რახან ჩვენი ინტერესის სფერო უფრო მეტად ტრანსნაციონალური სამართალია, ანუ სამართალი, რომელიც მოქმედებს გლობალური დამოუკიდებელი რეჟიმების თვითრეგულირებადი ფორმით, იმისათვის, რომ პროცესები აღვიქვათ უფრო ნათლად, საბოლოოდ უნდა ვთქვათ უარი სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთგანპირობებულობაზე.

გლობალური სამართლებრივი პლურალიზმი სახავს საზოგადოების მიერ სამართლის შექმნის იდეას, სადაც საზოგადოებრივი სამართალი, საზოგადოებრივი კონსტიტუციები უპირისპირდება სახელმწიფო სამართალს და ამ დაპირისპირებას ტრანსნაციონალურ დონეზე გარკვეული შედეგები მოაქვს. სამართალი აღიქმება საზოგადოებრივად და არა სახელმწიფოებრივად განპირობებულ ქვესისტემად და იგი მოქმედებს ყველგან, სადაც სახეზეა საზოგადოების, შესაბამისად, სოციალური ურთიერთობების არსებობა.³⁹

³⁸ ბრეგვაძე, ლაშა : "კონსტიტუციური პლურალიზმი : გლობალური კონსტიტუციონალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში", თბილისი, 2006; ავტორის შენიშვნა: პრივატიზაციის პროცესების მნიშვნელობაზე თანამედროვე სოციალური სისტემების ტრანსფორმაციისთვის იხ : Teubner, Gunther : "After Privatization? The Many Autonomies of Private law", Current Legal Problems, Vol.51, 1998: 393-424; Teubner, Gunther: "Contracting Worlds The Many Autonomies of Private law", Social & Legal Studies, Vol.9(3), 2000: 399-417.

³⁹ სამართლის საზოგადოებრივად განპირობებულობის შესახებ იხ. ბრეგვაძე, ლაშა : "ტრანსნაციონალური სამართლის გენეალოგია: მსოფლიო საზოგადოების ფრაგმენტირებული ნორმატიული წესრიგები", ბესარიონ ზოიძე - 60, საიუბილეო კრებული : 91.

გათვალისწინებით ამისა, თემის განხილვის შემდგომ ეტაპებზე, ყურადღება გამახვილდება ეროვნული სახელმწიფოს მიღმა არსებული სამართლებრივი წესრიგის ანალიზზე, რაც, თავისთავად, მეტყველებს იმაზე, რომ არ ვიზიარებთ სამართლებრივი მონიშნის ცნების შინაარსს და ერთმანეთისგან მკაფიოდ ვმიჯნავთ პროცესებს, რომლებიც ერთი მხრივ, მართულია სახელმწიფოს მიერ, ხოლო მეორე მხრივ, მართულია კერძო აქტორთა ქმედებებით.

თავი II : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი

საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმის იდეა, და მეტწილად, მისი განხორციელებაც, სათავეს იღებს უფრო ადრე, ვიდრე გლობალიზაციის პროცესები იმ ხასიათით წამოჩნდებოდა, როგორც იგი დღესაა.⁴⁰ "ნორმატიული კონსტიტუციების" შექმნის დროები (1776 ამერიკა, 1789 საფრანგეთი) არ ემთხვევა ტერმინ კონსტიტუციის ჩამოყალიბებას; ადრეულ პერიოდებში კონსტიტუცია მოქმედებდა არა როგორც ნორმატიული, არამედ როგორც ემპირიული კონცეპტი.⁴¹

განსახილველი თემის ფარგლებში, საზოგადოება უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ყოვლისმომცველი სოციალური სისტემა, რომელიც ახდენს ყველა კომუნიკაციის კვლავწარმოებას და აყალიბებს შემდგომ კომუნიკაციათა აზრობრივ ჰორიზონტებს; იგი სხვა სოციალურ სისტემებს შორის კომუნიკაციური "ურთიერთობების" დამყარების გამტარი მოცემულობაა. ფუნქციონალური დიფერენცირების მოდელით იგი ყალიბდება, როგორც გლობალური სისტემა, რომელიც თვითორგანიზებადია, როგორც თავისთავად, ისე მისი "დანაყოფების", მინი-საზოგადოებების დონეზე.⁴²

საზოგადოების ფრაგმენტირებამ, რაც გლობალიზაციამდელია, განაპირობა ავტონომიური კონსტიტუციების ჩამოყალიბება, ხოლო გლობალიზაციამ საბოლოო დარტყმა მიაყენა სახელმწიფოს როლს კონსტიტუციონალიზმის პროცესის განსაზღვრასა და კონსტიტუციების შექმნაში.⁴³ მიუხედავად იმისა, რომ ლოკალური გაერთიანებები, "მინი-საზოგადოებები" გარკვეულ წესებს, თავისი ხასიათიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ ნორმებად აყალიბებდნენ, რაც

⁴⁰ გლობალიზაციამდელი საზოგადოებრივი სამართლის მაგალითია ჩვეულებითი სამართალი. ჩვეულებითი სამართლის, როგორც სამართლის წყაროს შესახებ იხ. ხუბუა, ვიორგი : სამართლის თეორია, თბილისი, 2004 : 58.

⁴¹ Dieter, Grimm : "The Constitution in the Process of Denationalization", Constellations, Vol.12, No4, , Blackwell Publishing Ltd., Oxford, 2005 : 262.

⁴² საზოგადოების, როგორც ყოვლისმომცველი სოციალური სისტემის შესახებ იხ. ლუმანი, ნიკლას : "მსოფლიო საზოგადოება როგორც სოციალური სისტემა", სამართლის ჟურნალი N1, 2017 : 374.

⁴³ Teubner, Gunther : Constitutional Fragments : Societal Constitutionalism and Globalisation, Oxford University Press, Oxford, 2012 : 6.

კონსტიტუციურად მიიჩნეოდა უმეტესად მხოლოდ ფრაგმენტირებული საზოგადოების კონკრეტული ერთობისთვის, გლობალიზაცია გახდა ის მოცემულობა, რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფო აქტორის ძალაუფლების იმგვარი შესუსტების მოდელი, რომ იგი აქტუალურ სასაუბრო და სამსჯელო თემად იქცა როგორც არასამეცნიერო, ისე სამეცნიერო წრეებში.

ვფიქრობ, უკვე აღარ არის აქტუალური კითხვა, თუ ვის აქვს კონსტიტუციის შექმნის უფლება. საინტერესოა ანდრამ შაიოს მოსაზრება(რა თქმა უნდა, იგი საუბრობს "კლასიკურ" კონსტიტუციაზე), რომელიც კონსტიტუციის შექმნას უკავშირებს "მთელი ხალხის" თანხმობას : "ვის აქვს უფლება შექმნას და წარადგინოს კონსტიტუცია? და ვისი სახელით? ვის ეკუთვნის დამფუძნებელი ხელისუფლება? ან სხვაგვარად თუ ვიტყვით, ვისი კონსტიტუცია იქნება მიღებული? კლასიკური კონსტიტუციონალიზმის თანახმად, რომლის ისტორიაა ჯერ კიდევ რუსოს საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიებზე აღრე იწყება, კონსტიტუცია ჩვეულებრივი კანონისგან იმის გამოა განსხვავებული, რომ მას მხარს უჭერს და ეთანხმება მთელი ხალხი, და იგი, ფაქტობრივად, ან თეორიულად მაინც, მისაღები შეთანხმებაა საზოგადოების მთელი ხალხისათვის. გაცილებით მკაცრი და ოდნავ მეტაფიზიკური ფორმულირების თანახმად, კონსტიტუციური წყობა ეს ისეთი (უპირველესად სახელმწიფოებრივი) ორგანიზაციაა საზოგადოებისა, რომელიც შეესაბამება განსაზღვრულ ზოგად მოთხოვნებს, როგორცაა "თანასწორობა", "საარსებო მინიმუმის დონეზე არსებობის გარანტია" და თავისუფლება. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი ყველა მოქალაქის ფაქტობრივი თანხმობის მოპოვება. საკმარისია დამტკიცდეს, რომ ახალი სოციალური წყობის თავდაპირველ სტადიაზე არავინ იქნება გაჭირვებაში. რეალური კონსტიტუციების შექმნისას ორივე ეს მიდგომა თავის როლს ასრულებს."⁴⁴

აღნიშნული მოსაზრება საჭიროებს დეკონსტრუქციას⁴⁵ თანამედროვე პროცესებთან მიმართებით. პირველ რიგში, მოქალაქე, როგორც უფლება-მოვალეობების სუბიექტი სახელმწიფოს შიგნით, უნდა წარმოვიდგინოთ, უფრო მეტად, როგორც საზოგადოების წევრი, კონკრეტული ვიწრო ერთობის, ვიდრე სახელმწიფო ან გლობალური სამოქალაქო საზოგადოების წევრი-ინდივიდი და არა, როგორც მოქალაქე, რომელიც

⁴⁴ შაიო. ანდრამ : ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003 : 21.

⁴⁵ დეკონსტრუქციაზე სამართლის შიგნით იხ. Teubner, Gunther : "The King's Many Bodies : The Self Deconstruction of Law's Hierarchy", Law and Society Review, 1997. 763-787. დეკონსტრუქცია(ტერმინი დამკვიდრებული ფრანგი ფილოსოფოსის - ჟაკ დერიდას მიერ) ნიშნავს იდეურად, კულტურულად კონსტრუირებული ცნებებისათვის ფარდის ახდას. ცნებათა შორის არსებობს ფარული ლოგიკა, რომელიც ეფუძნება ბინალური ოპოზიციების არსებობას, რაც განმსაზღვრელია იმისა, რომ არ არსებობს ცნებებს შორის "ურთიერთობა" დომინირების გარეშე. ბინალური ოპოზიციებია : კულტურა/ბუნება, სუბიექტი/ობიექტი, სამართალი/უმართლობა და ა.შ. ლინგვისტური, შესაბამისად შინაარსობრივი, უმუსტობების დადგენა წინაპირობაა სწორი გაგებისა, ზუსტი მნიშვნელობის აღქმისა. ამასთან დაკავშირებით იხ.Derrida, Jacques : "Letter to a Japanese Friend", Derrida And Differance, Wood & Bernasconi, Wawrick, Parousia Press, 1985 : 1-5. წერილში დერიდა ორპიროვნად საუბრობს დეკონსტრუქციაზე : "რა არ არის (რას არ ნიშნავს) დეკონსტრუქცია? რა თქმა უნდა, ყველაფერი! რა არის(რას ნიშნავს) დეკონსტრუქცია? რა თქმა უნდა, არაფერი." ტერმინი დეკონსტრუქცია, თავის თავში, მოიცავს თავისი თავის დეკონსტრუქციას მისი ენობრივი განმარტებისგან.

კლასიკური განმარტებით უპირისპირდება "უცხოელის" ან "მოქალაქეობის არმქონეს" ცნებებს. ასევე, მნიშვნელოვანია, "მთელი ხალხის" იდეის ჩანაცვლება დიფერენცირებული და ფრაგმენტირებული საზოგადოების კონკრეტულ სექტორებში, სოციალურ ჯგუფებში იდენტიფიცირებულ ადამიანთა ერთობით. რაც შეეხება თავისუფლებისა და თანასწორობის განსაზღვრულ ზოგად მოთხოვნებს, მართალია, იგი მეტწილად იდეური შემადგენლობისაა და, ასევე მნიშვნელოვანია, ლოკალური თუ გლობალური ერთობებისთვის, მაინც უნდა დაკონკრეტდეს შესაბამისი "მინი-საზოგადოების" კონკრეტული მოთხოვნილებებით, მაგალითად, ეკონომიკის გლობალიზაციისათვის მნიშვნელოვანია, როგორც "თანასწორობა", ასევე კაპიტალის მიმოქცევის კონკრეტული წესები, რომლებიც კლასიკური კონსტიტუციების გარეთაა დარჩენილი, რადგან იგი "მეორეულ" მოთხოვნას უფრო წარმოადგენს მათთვის. ასევე, საინტერესოა, თავად წიგნის (ხელისუფლების თვითშეზღუდვა) და კონკრეტული თავის (კონსტიტუცია, როგორც შიშის და აღიარების შედეგი) სათაურები. ხელისუფლების თვითშეზღუდვა თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციისა და პრივატიზაციის პროცესების გათვალისწინებით, გადაიქცა "საზოგადოებების თვითშეზღუდვად", "სოციალურ რეჟიმთა თვითშეზღუდვად", რადგან ძალაუფლების ცენტრები მათ მხარესაა გადანაცვლებული. ხოლო, რაც შეეხება, შიშისა და აღიარების ფაქტორებს, იგი შეგვიძლია დავუკავშიროთ ექსპანსიური სოციალური სისტემების გამრავლებას, მათ ერთმანეთთან კონკურენციასა და კონკრეტული სოციალური სისტემების მიერ დომინირების მცდელობას⁴⁶ (მაგ, ეკონომიკური რეჟიმის დომინირება ხელოვნებაზე, სპორტზე, მეცნიერებაზე, სამართლის ეკონომიკით განპირობებულობის პრობლემა), ანუ შიშის მიზეზი დღეს უფრო მეტად არის არა სახელმწიფოს მიერ ისეთი გაუზრებელი თუ გააზრებული ქმედებების ჩადენის შესაძლებლობა, რომლებიც გამოიწვევს კატასტროფებს, შელახავს ადამიანის უფლებებს და ა.შ., არამედ უფრო მეტად კერძო აქტორების, კერძო გაერთიანებების, ტრანსნაციონალური რეჟიმების არასწორი კომუნიკაციების შედეგად მომდინარე საფრთხეები.

გათვალისწინებით იმისა, რომ საზოგადოების პლურალიზაცია სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს და, უფრო მეტიც, ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლური საზოგადოება მთლიანად პლურალისტულია, ეჭვგამაძვარებელი აღარ დგას საკითხი ფრაგმენტირებული საზოგადოების, როგორც სოციალური ერთობების, შესაძლებლობისა, საკუთრივ წარმართული კომუნიკაციური პროცესებით დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებები. ჩვენთვის საინტერესოა მოთხოვნილება

⁴⁶ ექსპანსიური სოციალური რეჟიმების შესახებ იხ. ტოიბნერი, გიუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართლულ ჟურნალი N2, 2017 : 368. ტოიბნერი აღნიშნავს : "ინდივიდისა და ინსტიტუციური ინტეგრირების საგანგებო საფრთხეში ჩაგდება კომუნიკაციური მატრიცის მიერ მომდინარეობს არა მარტო პოლიტიკიდან, არამედ ასევე ცალსახად ყველა სოციალური სექტორიდან, რომლებიც ხასიათდებიან ექსპანსიური ტენდენციებით. ეკონომიკის მატრიცისათვის მარქსმა ეს დანვრილებით ნათელყო იმგვარი ცნებებით, როგორებიცაა: გაუცხოება, კაპიტალის ავტონომია, სამყაროს კომოდიფიკაცია, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია."

სამართალზე, რომელიც, მართალია, გარკვეულწილად კმაყოფილდება სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმატიულ წესრიგზე წვდომით, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ავტონომიური სამართლებრივი წესრიგების, საზოგადოებრივი მართლწესრიგების არსებობა. უფრო კონკრეტულად კი, საზოგადოებრივ კონსტიტუციად მოიაზრება იმ წესების, დამფუძნებელი უზენაესი ნორმა-პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ მოქმედი სამართლის როლს ასრულებს კონკრეტულ საზოგადოებრივ რეჟიმთა შიგნით.

თუმცა, მიუხედავად თანამედროვე ტენდენციებისა, სახელმწიფოსა და საზოგადოების გამიჯვნის საკითხი დღემდე პრობლემატურია, ამიტომ, საჭიროა, მათი სხვადასხვა პოლუსზე განლაგება, რათა საბოლოოდ ვუთხრათ უარი სახელმწიფოსა და საზოგადოების იგივეობის იდეას.

2.1. სახელმწიფოსა და საზოგადოების განსხვავება

სახელმწიფოსა და საზოგადოების განსხვავების იდეა მე-18 საუკუნის დასასრულიდან იღებს სათავეს.⁴⁷ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შევაჯერებთ კანტისა და ჰეგელის ნააზრევს, რომლითაც განისაზღვრა განვითარების სამომავლო პორიზონტები.

კანტი ყურადღებას ამახვილებს რა ადამიანის უფლებებსა და ავტონომიურობის პრინციპზე, აცხადებს, რომ სახელმწიფო აღმოცენდება თავისუფლების მფარველობის მიზნით. თუმცა იგი მკაფიოდ არ მიჭნავს ერთმანეთისგან საზოგადოებასა და სახელმწიფოს, უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევებში ერთ სივრცეში აქცევს მათ. რესპუბლიკური სახელმწიფო, რომელიც კანტისთვის არის სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობის განსახიერება, ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს : საზოგადოების წევრთა , (როგორც "ადამიანთა"⁴⁸) თავისუფლებას, სამართლის ერთიან საერთო სისტემაზე "ყველას" დამოკიდებულებას (როგორც "დაქვემდებარებულთა") და სამართლის წინაშე თანასწორობას (როგორც მოქალაქეთა).⁴⁹ თუმცა, მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების უდიდესი როლისა სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და მართვის საკითხებში, სახელმწიფო მაინც ინარჩუნებს გამაერთიანებლის სტატუსს. ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნებაში იგი მოიხსენიებს "საზოგადოებას, ანუ სახელმწიფოს".

რაც შეეხება ჰეგელს, იგი გამოყოფს სოციალური არსებობის სამ მომენტს, რომელიცაა ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო.⁵⁰ ჩვენთვის

⁴⁷ ლუმანი, ნიკლას : "სახელმწიფოსა და საზოგადოების განსხვავება", სამართლის ჟურნალი N2, 2015.

კონკრეტულ ქვეთავში გადმოცემული იდეები უმეტესად ეფუძნება ამ სტატიას.

⁴⁸ "ადამიანის" ცნება საჭიროა, რადგან კანტი მას განასხვავებს "მოქალაქის" ცნებისგან.

⁴⁹ Kant, Immanuel : Toward Perpetual Peace : A Philosophical Sketch, 1795.

⁵⁰ Hegel. G.W.F. : Philosophy of Right. Third Part - "Ethical Life", 1820.

მნიშვნელოვანი სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ მისი იდეები დაკავშირებულია "უნივერსალურ ეგოიზმსა" და "უნივერსალურ ალტრუიზმთან". სამოქალაქო საზოგადოება „უნივერსალური ეგოიზმის“ სფეროდ აღიქმება, სადაც ინდივიდები საკუთარ ინტერესებს სხვებზე მაღლა აყენებენ. ხოლო სახელმწიფო, როგორც ეთიკური საზოგადოება, ურთიერთთანაგრძნობის, „უნივერსალურ ალტრუიზმის“ იდეით ფუნქციონირებს. იგი საბოლოოდ დიალექტიკის მეშვეობით სახელმწიფოსა და საზოგადოების განსხვავებამდე კვლავ მთლიანობით მიდის, აუცილებლობისა და თანხმობის სახელმწიფოს დამკვიდრებით.

"ამდენად, 1800 წლისთვის სახეზე იყო დარწმუნების საკმარისი საშუალება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის განსხვავების შემოსაღებად და განსამტკიცებლად. ამასთან, არ არსებობდა არანაირი ცნება, რომელიც აღნიშნავდა განსხვავების მთლიანობას - თუ ამისათვის ჰეგელთან ერთად ისევ სახელმწიფოს ცნებას ან, მოგვიანებით, სოციოლოგებთან ერთად ისევ საზოგადოების ცნებას არ მიმართავდნენ. ამკარად იგულისხმებოდა, რომ საჭირო იყო უარის თქმა განსხვავების მთლიანობის ფორმულასა და „ამითი, საერთო კონსტრუქციის რაციონალობის ფორმულაზე."⁵¹

სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთმოცულობის იდეა საბოლოოდ ეკონომიკისა და პოლიტიკის გადამფარავმა პროცესებმა გაანეიტრალა. პოლიტიკამ სამართლის მეშვეობით მოიპოვა პოლიტიკური ხელისუფლებისადმი ქმედითი ხასიათის მინიჭება, ასევე მან საკუთარი ინსტიტუციები მიმართა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, ფორმირებისა და გამყარებისაკენ, ხოლო ეკონომიკამ გაცვლისა და მოლაპარაკებების ნაცვლად, კონკურენციის სისტემით საკუთრება დაუქვემდებარა ბაზრის "გათვლებს",⁵² ანუ შეიქმნა ისეთი მოდელი, სადაც საზოგადოება იმაზე მეტად იყო დამოუკიდებელი, თვითრეგულირებადი და "აღქმადი დამოუკიდებლად", რომ იმავე მოცულობით აღარ საჭიროებდა სახელმწიფოს, როგორც "მზრუნველი" და "მომწესრიგებელი" ინსტიტუტის არსებობას.

შესაბამისად, რახან დაჩქარებულმა სოციალურმა დიფერენცირებამ გამოიწვია პოლიტიკისა და ეკონომიკის განსხვავების ჩამოყალიბება, საჭირო გახდა "სახელმწიფოსა" და "საზოგადოების" შინაარსის განსხვავებულობის დადგენაც, რამაც განაპირობა ის, რომ პოლიტიკის სისტემამ იდენტიფიცირება მოახდინა, როგორც "სახელმწიფომ" და თავისი თავი განასხვავა "საზოგადოებისგან". ეს განსხვავება უკვე თავად სისტემის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რათა ერთი მხრივ, ლეგიტიმურად განხორციელდეს სახელმწიფო ხელისუფლება პოლიტიკური მმართველობის მიერ, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოება წარმოჩენილ იყოს, როგორც თავისთავადი და დამოუკიდებელი ერთობა, რომელიც იყალიბებს საკუთარ

⁵¹ ლუმანი. ნიკლას : "სახელმწიფოსა და საზოგადოების განსხვავება", სამართლის ჟურნალი N2, 2015 : 227.

⁵² პოლიტიკასა და ეკონომიკაში წარმართული პროცესების შესახებ იხ. იქვე. გვ.226.

თვითმყოფადობას, რაც აღიარებულია "პოლიტიკურ-სამართლებრივი" აქტით - კონსტიტუციით, ანუ, "სახელმწიფოს მიერ სზოგადოების დაფასებით აქტით". ხოლო გლობალურ დონეზე, "სახელმწიფო არის მსოფლიო საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ლოკალური მოსამართლი".⁵³

2.2. მსოფლიო საზოგადოება და მსოფლიო სამართალი

მსოფლიო საზოგადოების იდეა დაკავშირებულია კანტისეულ მსოფლიო მოქალაქის ცნებასთან. კანტის აზრით, "უცხოელი" ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ აღქმული უნდა იყოს არა როგორც მომდინარე საფრთხე, არამედ როგორც ძირითადი უფლებების მატარებელი სუბიექტი, რომელსაც უნდა მიეცეს შესაძლებლობა, საკუთარი თავი სურვილისამებრ მიაკუთვნოს ნებისმიერ საზოგადოებას. შესაბამისად, ბარიერები, რომლებიც დაწესებულია სხვადასხვა ქვეყნების მიერ მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით, ხელს უშლის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაცხოვრებას. კანტი თვლის, რომ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია სახელმწიფოთა გაერთიანების შექმნით (league of peace), რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობის დაცვას, მაგრამ უპირატესად არა როგორც სახელმწიფო სუვერენის მქონე სუბიექტები, არამედ, როგორც მოქალაქეთა გამაერთიანებელი ინსტიტუტები. ასევე, იგი ყურადღებას ამახვილებს "სახელმწიფოთა გაერთიანების სამართალზე" (law of nations"), რომლის მთავარი მიზანიც უნდა იყოს დამოუკიდებელ და თანასწორ სახელმწიფოთა ფედერაციული ერთობის ჩამოყალიბება.⁵⁴ კანტი თვლის, რომ ინდივიდები უნდა აღიქმებოდნენ არა მხოლოდ როგორც კონკრეტული სახელმწიფოთა მოქალაქეები, არამედ როგორც პოლიტიკურად კონსტრუირებული მსოფლიო საზოგადოების წევრები.⁵⁵

მიუხედავად იმისა, რომ კანტის იდეები მე-18 საუკუნის ბოლოს გარკვეულწილად ჰიპოთეტური ხასიათის იყო, დღეს შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ ევროპის კავშირის დაფუძნებით შესაძლებელი გახდა კოსმოპოლიტური წესრიგის დამკვიდრება ერთი რეგიონის შიგნით. "ევროპის საზოგადოება", რომელსაც აყალიბებს ევროკავშირში შემავალი ქვეყნების მოქალაქეები, არის "მსოფლიო საზოგადოების" იდენტური, გათვალისწინებით იმისა, რომ ევროპის კავშირის წევრი მოქალაქეებისათვის მოხსნილია ბარიერები, რომლებიც შეეხება გადაადგილებას, ვაჭრობას, კულტურული ურთიერთობების დამყარებას და ა.შ. ევროპის კავშირის სამართალიც (მაგ. უნიფიცირებული სამართლებრივი დოკუმენტები ატომური

⁵³ ლუმანი. ნიკლას : "ევროპა როგორც მსოფლიო საზოგადოების პრობლემა", სამართლის ჟურნალი N1, 2012 : 307.

⁵⁴ Kant. Immanuel : Toward Perpetual Peace : A Philosophical Sketch, 1795.

⁵⁵ Habermas, Jürgen. "A Political Constitution for the Pluralist ?", nales de la Cátedra Francisco Suárez, 2005 : 121-132 .

ენერჯის ევროპული გაერთიანების, ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების, ევროპული კავშირის ძირითადი უფლებების და სხვათა შესახებ) არის "კოსმოპოლიტური სამართლის" რეალურად შემოღება, რაც, თავის მხრივ, კონსტიტუციონალიზაციის პროცესის წარმოებად უნდა აღვიქვათ საერთაშორისო დონეზე.

მსოფლიო სამართლის ცნების დამკვიდრების მიზანშეწონილობას ხაზს უსვამს ჰარვარდის და ემორის სამართლის სკოლების პროფესორი ჰაროლდ ბერმანი. იგი საუბრობს რა ისეთ სფეროებზე, როგორცაა მსოფლიო ეკონომიკა, მსოფლიო ტექნოლოგია, მსოფლიო წვდომის კომუნიკაცია, მსოფლიო მეცნიერება, მსოფლიო ლიტერატურა, აყალიბებს აზრს იმის შესახებ, რომ გათვალისწინებით აღნიშნულისა, რატომაც არ არის შესაძლებელი, დავამკვიდროთ მსოფლიო სამართლის ცნება. ბერმანის აზრით, "მსოფლიო სამართალი" ჩაანაცვლებს საერთაშორისო სამართლისა (რომელმაც, თავის მხრივ ერთა სამართალი (jus gentium) ჩაანაცვლა) და ტრანსნაციონალური სამართლის ცნებებს, რადგან იგი თავის თავში მოიაზრებს ორივე მათგანს. საერთაშორისო სამართლის ცნება, რომელიც შემოთავაზებული იყო ჯერემი ბენტამის მიერ, წარმოადგენს "ორმხრივ გარიგებებს სუვერენულ სახელმწიფოებს შორის", რომლის გარეთაც არის მოქცეული როგორც ბუნებითი სამართალი, ისე სავაჭრო და საზღვაო სამართლის ნორმები, რომლებიც სახელმწიფო საზღვრების მიღმა დადებულ კერძო გარიგებებს აწესრიგებს, ხოლო რაც შეეხება ტრანსნაციონალურ სამართალს, მისი დეფინიციის ავტორის, ფილიპ ჯესპის აზრით, იგი "ეროვნულ საზღვრებს გადაცილებული მოქმედებებისა თუ მოვლენების მარეგულირებელ ყველა სამართალს მოიცავს. იგი მოიცავს როგორც საერთაშორისო საჯარო, ასევე კერძო სამართალს, ისევე როგორც სხვა ნორმებს, რომლებიც ზუსტად ვერ თავსდება ამ სტანდარტულ კატეგორიებში"⁵⁶ ბერმანი ყურადღებას ამახვილებს რა მსოფლიო სამართალზე, როგორც, ნაწილობრივ, მსოფლიო ეკონომიკის სამართალზე, ასევე, რომ ბენტამისეული კონცეფცია, რომელიც მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს განიხილავდა სამართლის შემქმნელ სუბიექტებად, დღეისობით გამოუსადეგარია, რადგან იგი არ იაზრებს როგორც ბუნებითი სამართლის, ისე სავაჭრო და საზღვაო სამართლის, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ტრანსნაციონალური საზოგადოების ჩვეულებით სამართალს, მნიშვნელობებს, ხოლო ჯესპის დეფინიცია ხარვეზულია იმის გამო, რომ ეროვნული სახელმწიფოს შიგნით განხორციელებულ განსაზღვრული სახის აქტივობებს უგულებელყოფს. შესაბამისად, მას სახელმწოდება "მსოფლიო სამართალი" მიაჩნია ცნებად, რომელიც გააერთიანებს სახელმწიფოთაშორის სამართალს, ერთი მხრივ,

⁵⁶ Jessup , Philip C. : Transnational Law, 1956 :1.

კაცობრიობის საერთო სამართალთან, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა მსოფლიო თანამეგობრობის ჩეულებით სამართალთან.⁵⁷

2.3. პერიფერიული სამართალი

გათვალისწინებით იმისა, რომ "მსოფლიო საზოგადოებისა" და "მსოფლიო სამართლის" ცნებები უფრო მეტად დაკავშირებულია "საყოველთაო გაერთიანების" იდეასთან, ხოლო ფრაგმენტირებული საზოგადოების მრავალი სექტორის მთლიანობა, გათვალისწინებით მათი ფუნქციონალური დიფერენციაციისა, დღეისობით წარმოუდგენელიც კია, ჩვენი ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს არა სამართლის ცენტრებზე (რაც, თავისთავად, ნიშნავს "მრავალის გამაერთიანებელ ერთ მოცემულობას"), არამედ სამართლის პერიფერიებზე.

დომინირებული სამართალწარმოების გადანაცვლება ეროვნულ სახელმწიფოში პოლიტიკურად ინსტიტუციონალიზებული სამართლის ცენტრებიდან, რაშიც შეგვიძლია მოვიაზროთ საკანონმდებლო ორგანო და სასამართლო, სამართლის პერიფერიებისაკენ, იმ საზღვრებისაკენ, რომლის ჰორიზონტსაც ავლენს გლობალიზებული სოციალური სექტორების საზღვრები, განაპირობებს ცენტრისგან დაშორებული სამართლებრივი წესრიგის არსებობას.⁵⁸

"რეგულაციები და ნორმები იწარმოება არა მარტო სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებებით, არამედ ასევე ახალი, ნახევრად საჯარო, კვაზიკერძო თუ კერძო აქტორების მიერ, რომლებიც პასუხობენ გლობალური ბაზრის მოთხოვნებს. სახელმწიფოსა და კერძო დაწესებულებებს შორის მომრავლდნენ თვითრეგულირებადი უფლებამოსილი ორგანოები, რამაც გააფერმკრთალა განსხვავება სუვერენობის საჯარო სფეროსა და ცალკეულ ინტერესთა კერძო სივრცეს შორის"⁵⁹

კერძო რეჟიმთა სამართალი, რა თქმა უნდა, პერიფერიულია. იგი შეგვიძლია შევადაროთ ჩეულებით სამართალს, სადაც ასევე დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალია, სუვერენის პოზიტიური სამართალწარმოება ძალას კარგავს და ნორმათა შემუშავება საზოგადოებრივი ხასიათისაა, თუმცა განსხვავებით ჩეულებითი სამართლისგან, სადაც არაფორმალური ქცევების განმეორებითი გააზრების

⁵⁷ მსოფლიო სამართლის ცნებისა და მისი მახასიათებლების შესახებ ვრცლად იხ. ბერმანი, ჰაროლდ.ჯ. : "მსოფლიო სამართალი", სამართლის ჟურნალი N1, 2015 : 452-457.

⁵⁸ პერიფერიული სამართლის შესახებ უკეთ იხ. ტოიბნერი, გიუნთერ : "გლობალური კერძო რეჟიმები: ნეოსპონტანური სამართალი და ავტონომიურ სექტორთა დუალისტური კონსტიტუცია?", სამართლის ჟურნალი N2, 2016 : 308.

⁵⁹ ტოიბნერი, გიუნთერ : "საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი : სახელმწიფოზე ცენტრირებული კონსტიტუციური თეორიის ალტერნატივა?", სამართლის ჟურნალი N1, 2018 : 326; ციტატა მოყვანილია სტატიიდან Guéhenno, Jean-Marie: „From Territorial Communities to Communities of Choice: Implications for Democracy“, in: Streeck, Wolfgang (Hg.): Internationale Wirtschaft, nationale Demokratie: Herausforderungen für die Demokratietheorie, Frankfurt am Main: Campus, 1998: 137-150, 141. :

საფუძველზე, მარტივად და ერთგვაროვნად, იქმნება სამართალშემოქმედების სისტემა, კერძო რეჟიმთა სამართალი ვითარდება სპეციალიზებულ ფორმალურ ორგანიზაციებში მიმდინარე პროცესების მეშვეობით.⁶⁰ უფრო მარტივად, თუ ჩვეულებით სამართალში, მაგალითად, "სასისხლო კონფლიქტების" მოგვარების წესი ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში ერთგვაროვანი ქცევის შედეგად, რასაც განაპირობებდა ამგვარი "ურთიერთობების" წარმოშობის შემდეგ მათში ჩაბმული მხარეების მიერ ერთი და იმავე "მოქმედებების" გამოყენება, კერძო რეჟიმების მიერ სამართლებრივი ნორმების დაფუძნების პროცესი დაკავშირებულია კონკრეტული ტრანსნაციონალური ორგანიზაციების მიერ, რომელთაც გააჩნიათ გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა, რაშიც მოიაზრება აღმასრულებელი, ტექნიკური, დავების მომწესრიგებელი და სხვა ორგანოების არსებობა, სისტემურად წარმართული ქცევების (მოლაპარაკებების, დავების გადაწყვეტის, ბაზრის კვლევის) შედეგად, გარკვეული წესებისათვის, რომლებიც მოიპოვებს მონონებასა და თანხმობას, უშუალოდ მოქმედი სამართლის სტატუსის მინიჭება.

თავი III : ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციების აღმოცენება

ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციის ცნება დაკავშირებულია აქამდე განხილულ საზოგადოებრივ კონსტიტუციონალიზმთან. მართალია, სიტყვა "საზოგადოებრივი" უკავშირდება როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ სოციალურ ერთობებს, თუმცა ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციის და ასევე ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციონალიზმის, როგორც პროცესის შინაარსი უპირველესად გულისხმობს მათ გლობალურ ხასიათს. "სახელმწიფოს გარეთ" - სახელმწიფოთა გაერთიანებებისა თუ ტრანსნაციონალური რეჟიმებისათვის შექმნილი სამართლებრივი სივრცე, უფრო უკეთ, ძირითადი ნორმა-პრინციპების ერთობლიობა, წარმოშობს იმ მოცემულობას, რომელშიც კონსტიტუციას ენიჭება ზესახელმწიფოებრივის მნიშვნელობა.

ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციების დიფერენცირების მიზნით, საჭიროა, ისინი წარმოვიდგინოთ ორი სახით : 1. კონსტიტუციური ტიპის დოკუმენტები, რომლებიც წარმოშობილი არიან სახელმწიფოთა შეთანხმებების შედეგად და სამართლებრივი მონესრიგების საზღვრებს აღგენენ სახელმწიფოთა გაერთიანებებისათვის. მაგ: გაეროს წესდება 2. კონსტიტუციები (ან კონსტიტუციონალიზაციის პროცესები), რომლებიც აღმოცენებული არიან(ან ამჟამად აფუძნებენ საკუთარ თავს) მონყვეტილად და დამოუკიდებლად სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოებრივი

60 იქვე, გვ.310. ავტორის აზრით, მოცემული საკითხის საუკეთესო ანალიზად კვლავ რჩება: Theodor Geiger, *Vorstudien zu einer Soziologie des Rechts* (Neuwied: Luchterhand, 1987), (Berlin: Duncker & Humblot, 1964).

გაერთიანებისგან და რომელთა მოქმედების სფერო უკავშირდება გლობალური მსოფლიო საზოგადოების დიფერენცირებულ სექტორებს, მაგალითად : მსოფლიო მცენიერებას, მსოფლიო სპორტს, მსოფლიო ეკონომიკას და ა.შ.

3.1. ოფიციალური შესახელმწიფოებრივი კონსტიტუციები

3.1.1. ევროპის კავშირის სამართალი

კლასიკური საერთაშორისო სამართლისგან განსხვავებით, სუპრანაციონალური სამართალი, რომელსაც განეკუთვნება ევროპის კავშირის სამართალი, შემოსაზღვრულია რეგიონალური მოქმედებით, კონკრეტული გეოპოლიტიკური საზღვრებით. ევროპის კავშირი, მართალია, არის სახელმწიფოთა გაერთიანება, თუმცა, თემის განხილვის მიზნებისათვის, იგი უფრო მეტად უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც "ევროპის საზოგადოების გაერთიანება".

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის კავშირის კონსტიტუცია, როგორც ერთიანი დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა ყველა ნორმა-პრინციპს ყოველი მნიშვნელოვანი რეგულირებადი ურთიერთობისა, არ არსებობს (თუმცა ევროპის კავშირის კონსტიტუციის პროექტს წევრი ქვეყნების მიერ ხელი მოეწერა 2004 წელს⁶¹), ევროპის კავშირის სამართალი მაინც არის კონსტიტუციური, ძირითადი პრინციპების განმსაზღვრელი წევრი-სახელმწიფოებისათვის. აღნიშნულს განაპირობებს რამდენიმე მიზეზი : 1. ევროპის კავშირის სამართალი აღგენს რიგი კომპეტენციების გადანაწილების სტრუქტურას ეროვნულ სახელმწიფოსა და გაერთიანებას შორის, რაც გამოიხატება იმაში, რომ რიგი კომპეტენციებისა, რომლებიც ისტორიულად მიეკუთვნებოდა სახელმწიფოს გამგებლობის სფეროს, გადანაცვლებულია სუპრანაციონალურ დონეზე. 2. ევროპის კავშირის სამართლის ნორმები უზენაესია ეროვნული სახელმწიფოს ნორმებზე 3. ევროპის კავშირის სამართლის ნორმებზე აპელირება ეროვნული სასამართლოს დონეზეც კი შესაძლებელია ევროპის კავშირის მოქალაქის მიერ, რომელიც ამასთანავე, კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეცაა.

62

3.1.2. გაეროს წესდება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, როგორც კონსტიტუცია, შეიცავს ფუნდამენტურ ნორმა-პრინციპებს "მსოფლიო საზოგადოების" (world community)

⁶¹ შეთანხმების ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე : https://europa.eu/european-union/sites/europa.eu/files/docs/body/treaty_establishing_a_constitution_for_europe_en.pdf (ნანახია 2019 წლის 1 ივლისს).

⁶² Stone, Alec : "What is a Supranational Constitution? An Essay in International Relations Theory", The Review Of Politics, Vol.56, N3, 1994 : 441-474.

სამართლებრივი მოწყობისა.⁶³ მართალია, იგი წარმოადგენს "საერთაშორისო ხელშეკრულებას", თუმცა მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გათვალისწინებით მოქმედების არეალისა, უზენაესობისა, დამფუძნებელი ხასიათისა და პრინციპობრივი მოწყობისა, უფრო მეტად აღიქმება, როგორც კონსტიტუციური დოკუმენტი, როგორც "კონსტიტუცია მსოფლიო საზოგადოებისათვის". აღნიშნულ იდეას ავითარებს იურგენ შაბერმასი. იგი თვლის, რომ წესდება უნდა წარმოვიდგინოთ, არა როგორც მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმების შედეგი, სადაც წევრი-სახელმწიფოები წარმოადგენენ სუბიექტებს, არამედ როგორც კონსტიტუციური წესრიგის შემქმნელი დოკუმენტი, სადაც სახელმწიფოები წარმოდგენილი არიან მოქალაქეებთან ერთად. ისინი აყალიბებენ და განსაზღვრავენ მსოფლიო საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის კონსტიტუციურ სტრუქტურას.⁶⁴

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების მოსაზრება, რომ ნამდვილი კონსტიტუციონალიზაციის პროცესი მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორც ამას ტოიბნერი აღნიშნავს, საჭიროებს სწორად ხაზგასმას, რაც მიგვიყვანს იმ აზრამდე, რომ საერთაშორისო პოლიტიკის თანდათანობითი კონსტიტუციონალიზაცია მსოფლიო საზოგადოების ერთ-ერთი ქვეკონსტიტუციაა, რასაც ვერ ექნება პრეტენზია ყოვლისმომცველობასა და პირველობაზე.⁶⁵ არსებობა მრავალი კონსტიტუციისა : საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუცია, გლობალური ეკონომიკის კონსტიტუცია, დიგიტალური კონსტიტუცია, რელიგიური გაერთიანების კონსტიტუცია და ა.შ., გვარწმუნებს იმაში, რომ "ნამდვილი კონსტიტუციონალიზაციის პროცესი" ნამდვილია მრავალი განსხვავებული ლოკალური თუ გლობალური სისტემისათვის.

3.2. კონსტიტუციონალიზაციის პროცესი ტრანსნაციონალურ რეჟიმებში

გლობალური კერძო რეჟიმები, სოციალური სისტემები, როგორებიცაა ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნოლოგია, მასმედია, მედიცინა, განათლება და სხვა, ადგანან რა გლობალიზაციის საკუთარ გზას, უვითარდებთ ძლიერი მოთხოვნა ნორმებისადმი, რასაც სამთავრობო ინსტიტუტებისადმი კი არ მიმართავენ, არამედ თვითნარმოების შედეგად აყალიბებენ საკუთარ სამართალს, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ,

⁶³ Sloan, Blaine : "The United Nations Charter as a Constitution", Pace International Law Review, vol.1/ iss1/3,1989 : 62.

⁶⁴ Habermas, Jurgen : "Does the Constitutionalisation of International Law Still Have a Chance? The Constitutionalization of International Law, Polity Press Ltd., Cambridge : 161.

⁶⁵ საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციასთან დაკავშირებით იხ. ტოიბნერი, გიუნთერ : "საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი : სახელმწიფოზე ცენტრირებული კონსტიტუციური თეორიის ალტერნატივა?", სამართლის ჟურნალი N1,2018, 324.

გლობალური სამართალი.⁶⁶ სამართლის დაფუძნების პროცესი ტრანსნაციონალურ რეჟიმებში მიმდინარეობს კერძო აქტორების, გლობალური "მოთამაშეების" მიერ გარკვეული წესებისადმი მნიშვნელობების მინიჭების გზით. განსხვავებით კლასიკური კონსტიტუციებისგან, იგი უმეტესად არ წარმოებს პოლიტიკური სტატუსის მოპოვებისა და გამყარების, ძალაუფლების ლეგიტიმაციისა და ლიმიტაციის ისტორიულად განსაზღვრული მიზნებით. მთავარი განმსაზღვრელია სურვილი, მაქსიმალურად ნეიტრალური პირობების შექმნით, საზოგადოებაში ოპერირებად ყველა "მოთამაშეს" შეეძლოს თანაბარზომიერად და სამართლიანად მიიღოს კუთვნილი წილი, იქნება ეს კაპიტალი, განათლება, სამედიცინო მომსახურება თუ სხვა ბენეფიტი.

იმისათვის, რომ პროცესმა მიიღოს ინსტიტუციონალიზებული სახე, დაეფუძნოს რაიმე "ხელშესახებს", იყოს "დოკუმენტირებული" და მომავალში თავისი თავი დააფუძნოს, როგორც კონსტიტუცია, იგი იქმნება კერძო სტრუქტურების სახით, რომლებშიც მოიაზრება : კერძო არბიტრაჟები, ეთიკის კომიტეტები, სამედიცინო ორგანოები, კერძო ხელშეკრულებები და ა.შ.⁶⁷ დროთა განმავლობაში, კერძო გადაწყვეტილებები იღებს იმგვარ პრეცედენტულ ხასიათს, რომ იგი ყალიბდება არა "მეორეულ", არამედ "პირველად" სამართლად.

სამართლის, როგორც თვითორგანიზებადი პროცესის, რომელიც ავტონომიურად იდგენს საკუთარ საზღვრებს, ნათელი მაგალითია "lex mercatoria" (სავაჭრო სამართალი). იმ კითხვაზე, თუ სად ხდება კონკრეტული სამართლებრივი ნორმების წარმოება : ეროვნულ პოლიტიკასა და საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში, საერთაშორისო სასამართლოებში თუ ეროვნული სახელმწიფოს სასამართლო პროცესებზე, გლობალურ ეკონომიკასა თუ სხვა გლობალურ სოციალურ პროცესებში სავაჭრო სამართალი, გათვალისწინებით საკუთარი მრავალსაუკუნოვანი არსებობისა, მოყოლებული შუა საუკუნეებიდან დღემდე, კონკრეტულ კითხვას პასუხს ცემს გლობალურ პროცესებზე მითითებით. "კერძო" სამართლებრივი წესრიგები (კონტრაქტები და ასოციაციები), მულტინაციონალური კორპორაციების სახელშეკრულებო წესები და მათი ორგანიზაციული რეჟიმები წარმოქმნიან მოქმედ სამართალს სახელმწიფოს ნებისა და კონტროლის გარეშე.⁶⁸

"lex-mercatoria"-ში სწორედ სახელშეკრულებლო პრაქტიკა სცილდება ეროვნულ საზღვრებს და ახდენს უბრალო ეროვნული სამართლის წარმოების გლობალურ - სხვადასხვა საერთაშორისო ბიზნეს-გარიგებები, საერთაშორისო პროფესიული ასოციაციების სტანდარტული კონტრაქტები, საერთაშორისო ორგანიზაციების

⁶⁶ ტოიბნერი, გიუნთერ : "გლობალური კერძო რეჟიმები: ნეოსპონტანური სამართალი და ავტონომიურ სექტორთა დუალისტური კონსტიტუცია?" სამართლის ურნალი N2,2016 : 307.

⁶⁷ გლობალური კერძო რეჟიმების მიერ კონსტიტუციური ნორმების დაფუძნების თაობაზე იხ. იგივე. გვ.310-314.

⁶⁸ სავაჭრო სამართალში ნორმათა დაფუძნების მახასიათებლებზე ვრცლად იხ. ტოიბნერი, გიუნთერ : "გლობალური ბუკოვინა - სამართლებრივი პლურალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში" სამართლის სერია N1, 2005.

სტანდარტული ხელშეკრულებანი და საინვესტიციო პროექტები განვითარებად ქვეყნებში - ტრანსფორმირებას. ამასთანავე, როდესაც მოცემული კონტრაქტები იძენენ ტრანსნაციონალურ მოქმედებას ისინი იმთავითვე კარგავენ არა მარტო ნაციონალურ საფუძველს, არამედ ყოველგვარ კავშირსაც სამართლებრივ წესრიგთან.⁶⁹

გათვალისწინებით იმისა, რომ სახელმწიფოს მიღმა არსებული კონსტიტუციების ჩამოყალიბება ლოგიკური შედეგია სამართლის ქმნადობის პროცესისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მაგალითად, "lex mercatoria"- ში ტრანსნაციონალურ კერძო კომპანიათა სახელშეკრულებლო გარიგებანი, კონტრაქტები, რომლებიც განაპირობებს ტრანსნაციონალური რეჟიმის შემდგომ განვითარებას, როგორც სამართლებრივს, ისე პოლიტიკურს, სოციალურს თუ ეკონომიკურს, წარმოადგენს კონსტიტუციების წარმოშობის წინა "მასალას". ის ნორმა-პრინციპები, რომლებიც შესაბამისი გარიგებებსა თუ კონტრაქტებშია გაწერილი და რომლებიც დააფუძნებენ საკუთარ თავს, როგორც "სამართალს", არა მხოლოდ გარიგებათა მონაწილე კერძო კომპანიებისათვის, არამედ შესაბამის სფეროში ოპერირებადი ყველა აქტორისათვის (ან მეტ-ნაკლებად ყველასთვის) წარმოადგენენ კონსტიტუციურ ნორმებს.⁷⁰

მართალია, მათი აღქმა "კონსტიტუციურ ნორმებად" გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული, რადგან ისინი არ გამოირჩევიან კლასიკური სამართლებრივი ტექნიკითა და ბუნებით, არ არიან ასახული ერთიან დოკუმენტში, საარბიტრაჟო სასამართლოს ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც დაფუძნებულია მათზე, ეროვნული სახელმწიფოს სააღსრულებლო პროცესებითა და ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებით შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს, მათ არ გააჩნიათ საკუთარი ტერიტორია და ორგანიზაციული ძალაუფლება, მიუხედავად ამისა, დენაციონალიზებულ გლობალიზებულ ფრაგმენტირებულ საზოგადოებაში "კერძო კონსტიტუციების" ჩამოყალიბების პროცესი ისეთი ინტენსივობით მიმდინარეობს, რომ გარკვეული ბუნდოვანება ვერ იქნება იმედგაცრუების საფუძველი. პირიქით, ბუნდოვანება შეიძლება იყოს ახალი სამართლებრივი წესრიგის ერთ-ერთი თვისება, რადგან თუ ეს წესრიგი უფრო მეტად კერძო ხასიათსაა, თუ კლასიკური

⁶⁹ იქვე, გვ.201

⁷⁰ კერძო აქტორთა მიერ შემუშავებული სამართლებრივი ნორმების ინკორპორაციაზე საჯარო მმართველობის, როგორც გლობალურის, ისე ლოკალურის მიერ, საუბარია სტატიაში : De Bellis, Maurizia : "Public Law and Private Regulators in the Global Legal Space", International Journal of Constitutional Law, Vol.9, Iss.2, 2011 : 425-448. ნაშრომში გადმოცემული მთავარი თეზისის კონკრეტული მაგალითია ფინანსური სტაბილურობის საბჭო (FSB), ოფიციალური ორგანო, რომელიც დაფუძნდა ლონდონის "დიდი ოცეულის" სამიტის შემდგომ. იგი რეორგანიზაცია 1999 წელს დაფუძნებული ფინანსური სტაბილურობის ფორუმის (FSF), რომლის განსაზღვრული ძირითადი პრინციპებიც თავდაპირველად შემუშავდა კერძო კორპორაციათა მიერ, ფორუმებისა თუ არასამთავრობო გაერთიანებების ფარგლებში. საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები საწარმოებისათვის დადგენილია International Accounting Standards Board (IASB) -ის მიერ, რომელიც წარმოადგენს კერძო ორგანიზაციას (გვ.433). ნაშრომში ასევე საუბარია მსო-ს კონკრეტულ შეთანხმებებზე, რომლებიც აწესებენ სტანდარტებს ნაციონალური მართლწესრიგებისათვის (435-441).

დამოკიდებულებების (კერძო-საჯარო) გადააზრება ხდება იმგვარად, რომ კერძო ანაცვლებს საჯაროს, მაშინ ლოგიკურიცაა, რომ სახელმწიფოებრივ ბიუროკრატიულ და მკაცრად ნორმატიზირებულ სამართლებრივ წესრიგთან შედარებით, კერძო აქტორების მიერ შექმნილი სამართლებრივი სისტემა, კერძო ნებაზე დაფუძნებული და ნაკლებად მბოჭავი, აღსრულების მექანიზმების ნაკლებად მზლუდავი ხასიათით, მოგვეჩვენოს უფრო ბუნდოვნად.

უკანასკნელ იდეასთან მიმართებით, საინტერესოა, ტოიბნერის მოსაზრება, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს კონსტიტუციონალიზაციის პროცესებს სახელმწიფო და სამოქალაქო დონეზე: "სამოქალაქო კონსტიტუციის ელემენტები არ ინარმოება ერთგვარი დიდი აფეთქებით, კონსტიტუციის დამფუძნებელი საბჭოს შთამბეჭდავი რევოლუციური აქტით – ამერიკული თუ ფრანგული მოდელის შესაბამისად. ეკონომიკის, კვლევის, ჯანდაცვის, განათლებისა თუ პროფესიების გლობალურ რეჟიმებს არც ერთი ისეთი დიდებული სადამფუძნებლო ტექსტი არ გააჩნიათ, რომელიც განასახიერებდა კოდიფიკაციას სპეციალური კონსტიტუციური დოკუმენტის სახით. ნაცვლად ამისა, სამოქალაქო კონსტიტუციათა ფორმირება მიმდინარეობს ხანგრძლივ მინისქვეშა ევოლუციურ პროცესებში, რომლებშიც საზოგადოებრივ სექტორთა იურიდიფიცირება ასევე მზარდი რაოდენობით ავითარებს კონსტიტუციურ ნორმებს, თუმცა ეს კონსტიტუციური ნორმები კვლავინდებურად ჩართულია სამართლის ნორმათა საერთო წყებაში. პოლიტიკური კონსტიტუციის ბრწყინვალეობა იმდენად დამაბრმავებელია ეროვნულ სახელმწიფოში, რომ სამოქალაქო სექტორთა ინდივიდუალური კონსტიტუციები უჩინარია ან, საუკეთესო შემთხვევაში, წარმოჩენილია პოლიტიკური კონსტიტუციების ნაწილად. მაგრამ, ასევე გლობალურ დონეზე ისინი წარმოდგენილია მხოლოდ ლატენტურად და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნეველად."⁷¹

თავი IV : მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, როგორც თვითკონსტიტუციური რეჟიმი

4.1. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნება და ძირითადი პრინციპები

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO - შემდგომში - მსო) წარმოადგენს მსოფლიო სავაჭრო სისტემის მთავარ აქტორს, რომლის გაცხადებული მიზნებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეკონომიკური გაჯანსაღება. აღნიშნული მიზნების

⁷¹ ტოიბნერი, გუნთერ : "საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი : სახელმწიფოზე ცენტრირებული კონსტიტუციური თეორიის ალტერნატივა?, სამართლის ჟურნალი N1,2018 : 327.

მისაღწევად იგი საკუთარ ქმედით ფუნქციებს აფუძნებს რამდენიმე პრინციპზე, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია : ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, დავების გადაწყვეტა კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით, ქვეყნებში პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის უზრუნველყოფა, შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად ტარიფული მეთოდების გამოყენება, საერთაშორისო და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ერთობლივი დაგეგმვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე და კეთილსინდისიერი დათმობების წახალისება.⁷²

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ოფიციალურად დაფუძნდა 1994 წლის 15 აპრილს მარაკეში ხელმოწერილი სადამფუძნებლო ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო ეს უკანასკნელი ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვარს. მიუხედავად ამისა, მსოფლიო სავაჭრო სისტემის დაფუძნების ათვლის წერტილი არ ემთხვევა აღნიშნულ თარიღს. ოფიციალურად, 1948 წლიდან 1998 წლამდე ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმება (GATT) იძლეოდა ამ დროისათვის ძირითად წესებს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების შესახებ.

GATT-ის ხელმოწერის შემდეგ სახელმწიფოები აგრძელებდნენ აქტიურ მუშაობას არსებული სისტემის კიდევ უფრო მეტად დახვეწისა და განვითარების მიმართულებით. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსებამდე საერთაშორისო თანამეგობრობა ჩაერთო მოლაპარაკებების რვა რაუნდში, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა "კენედის მოლაპარაკებათა რაუნდმა", სადაც GATT-ის ფარგლებში შემოიტანეს ანტიდემპინგური რეჟიმი. ასევე, მნიშვნელოვანი იყო "ტოკიოს რაუნდი", სადაც ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერების ერთობლივი ძალებით დაძლევის პირველი მცდელობა გამოიკვეთა. გარდატეხა კი პროცესებში შეიტანა "ურუგვაის რაუნდის" მოლაპარაკებებმა, რომელმაც განიხილებოდა მომსახურების, ინტელექტუალური საკუთრების, სოფლის მეურნეობის და ტექსტილის საკითხები. საბოლოოდ, ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებების შედეგად დაფუძნდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, დაარსდა დავების განხილვის სისტემა, ვაჭრობის პოლიტიკის მიმოხილვის მექანიზმი, რისი უმთავრესი მიზანიც იყო ინტეგრირებული სამართლებრივი სისტემის შექმნა მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში. მსო-ს სადამფუძნებლო დანართის, დავების განხილვის წესებისა და პროცედურების დამდგენი ხელშეკრულების ამოქმედებით შესაძლებელი გახდა დავების განხილვის ეფექტიანი სისტემის დაფუძნება, რამაც სახელმწიფოთა ვალდებულებების ჯეროვნად აღსრულების პრაქტიკას დაუდო სათავე.⁷³

⁷² Understanding The WTO : Basics - Principles of The Trading System, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე - https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/TIF_e/fact2_e.htm (ნანახია 2019 წლის 20 ივნისს).

⁷³ ფარსადანიშვილი, ნინო : საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015 : 11

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სამართლის მრავალი სწავლულისათვის, წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტს, იგი დაარსებულია სახელმწიფოთა შეთანხმების მიერ და მნიშვნელოვან სუბიექტებს სწორედ სახელმწიფოები წარმოადგენენ, ჩვენ მას განვიხილავთ, როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც პროცესების ანალიზის შედეგად აყალიბებს იმ სამართლებრივი წესრიგს მსოფლიო ვაჭრობაში, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფოთა კლასიკური დომინირებისგან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილურობა, პირველ რიგში, უკავშირდება არა პოლიტიკურად კონსტრუირებული სისტემის შექმნას, არამედ სამართალზე დაფუძნებული სისტემის ფუნქციონირებას. შესაბამისი სამართლებრივი წესრიგის ობიექტია სავაჭრო ურთიერთობანი და არა მხოლოდ სახელმწიფოთა ურთიერთობანი, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ სუბიექტის (ან კვაზი-სუბიექტის) სტატუსი ენიჭებათ არა მხოლოდ სახელმწიფოებს, არამედ კერძო კომპანიებსაც, რომლებიც ამყარებენ ეკონომიკურ კავშირებს გლობალურ დონეზე.⁷⁴

გათვალისწინებით ამისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართლებრივ რეჟიმად შეგვიძლია აღვიქვათ დამოუკიდებლად არსებულ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიო ვაჭრობის ტენდენციებს, ადგენს ძირითად ნორმა-პრინციპებს, რომლებიც მიუხედავად კონტროლისა და აღსრულების დოკუმენტირებულად სუსტი მექანიზმისა, უმეტეს შემთხვევებში, შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის ნორმებად აღიქმებიან სუბიექტების მიერ. აღნიშნულ პროცესებს, რომლებიც წარმართულია სახელმწიფოებისა და კერძო აქტორების მიერ და რომელთა შედეგობრივი გამოხატულებაა ძირითადი სავაჭრო ნორმების ჩამოყალიბება, შეგვიძლია ვუწოდოთ მსოფლიო ეკონომიკის, ან უფრო ზუსტად, მსოფლიო ვაჭრობის კონსტიტუციონალიზაციის პროცესები.

4.2. მსო-ს ზოგადი სტრუქტურა და გადაწყვეტილებათა მიღების მახასიათებლები

4.2.1. მსო-ს ზოგადი სტრუქტურა

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ზოგადი სტრუქტურა განისაზღვრება მმართველობითი ორგანოებით, რომელთაც გააჩნიათ სამი იერარქიული დონე. სტრატეგიული გადაწყვეტილებები უმაღლეს დონეზე მსო-ში მიიღება მინისტრთა კონფერენციის მიერ, რომელიც იკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც. მინისტრთა კონფერენციის დაქვემდებარებაში იმყოფება გენერალური საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია მიმდინარე საქმიანობის შესრულებაზე. აღნიშნული საბჭოს

⁷⁴ "საჯარო-კერძო" ურთიერთკვეთის შესახებ, სადაც კერძო ორგანიზაციები განიხილებიან, როგორც მხარეები, საუბარია წიგნში : Shaffer, Gregory C. : Defending Interests. Public-Private Partnerships in WTO Litigation, The Brookings Institution Press, 2003, 10-18.

ფარგლებში წელიწადში რამდენჯერმე უწინევაში იკრიბებიან წევრი ქვეყნების წარმომადგენლები (როგორც წესი ელჩები და წევრი ქვეყნების დელეგაციის მეთაურები). გენერალური საბჭოს შემადგენლობაში შედის 2 სპეციალური ორგანო: დავების განმხილველი და სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანოები. მსო-ში ასევე შედის სამი დამოუკიდებელი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე საბჭო. ესენია : საქონლით ვაჭრობის, მომსახურებით ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საბჭოები. ასევე, არსებობს 4 კომიტეტი, რომელიც მუშაობს შემდეგ საკითხებზე: ვაჭრობა და გარემოს დაცვა, ვაჭრობა და განვითარება, საგადაამხდლო ბალანსის გამო შეზღუდვა და ბიუჯეტი, ფინანსები და ადმინისტრაცია.⁷⁵

4.2.2. გადაწყვეტილებათა მიღება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

4.2.2.1. გადაწყვეტილებათა მიღება კონსენსუსის საფუძველზე

მსო-ში გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსის საფუძველზე.⁷⁶ "ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების" (შემდგომში GATT) დანაწესს კონსენსუსის შესახებ იმეორებს "მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ" შეთანხმების ("მარაკეის შეთანხმება") მე-9(1)მუხლი.⁷⁷ ერთსულოვნება საჭიროა ზოგად პრინციპებში შესწორებების შესატანად. დებულების ინტერპრეტაციისთვის და წევრი ქვეყნების ვალდებულებებისგან გასათავისუფლებლად საჭიროა მეოთხედი ხმების რაოდენობა (პრინციპით ერთი ქვეყანა - ერთი ხმა). სხვა შემთხვევაში კონსენსუსი წარმოადგენს დადგენილ წესს, თუ სპეციალური მითითება არ არსებობს.

4.2.2.2. გადაწყვეტილებათა მიღება დავების განმხილველი ორგანოს მიერ

მსო-ს დავის გადაჭრის მექანიზმი წარმოადგენს მრავალხრივი სავაჭრო სისტემის უსაფრხოების ცენტრალურ ელემენტს. იგი წესრიგდება "დავების განხილვის წესებისა და პროცედურების შესახებ შეთანხმებით" (Understanding on rules and procedures

⁷⁵ მსო-ს ზოგადი სტრუქტურის შესახებ, იხ. ვებ-გვერდი

https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/org2_e.htm (ნანახია 2019 წლის 23 ივნისს).

⁷⁶ მსო-ში კონსენსუსის შესახებ, იხ. Footer, Mary E. : "The Role of Consensus in GATT/WTO Decision Making", Northwestern Journal of International Law & Business, Vol.17, Iss.1, 1997 : 653-680. ასევე ვებ-გვერდი : https://www.wto.org/english/res_e/publications_e/ai17_e/wto_agree_art9_jur.pdf (ნანახია 2019 წლის 23 ივნისს).

⁷⁷ "The General Agreement On Tariffs And Trade" (1986) - ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე -

https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/gatt47.pdf (ნანახია 2019 წლის 5 ივლისს)"Agreement Establishing

The World Trade Organization" (1995) - ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე

https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/04-wto.pdf (ნანახია 2019 წლის 5 ივლისს).

governing the settlement of disputes - DSU - შემდგომში DSU)⁷⁸. მსო-ს წევრები ვალდებულებას იღებენ, ცალმხრივად არ განიხილონ სავაჭრო წესების დარღვევის საკითხები. მსო-ს გენერალური საბჭო, როგორც დავის განმხილველი ორგანო, იკრიბება იმისთვის, რომ გადაწყვიტოს წევრ-სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები. მხოლოდ მას აქვს უფლება, დანიშნოს დავის განხილვა, მიანიჭოს სააპელაციო განაცხადებები, ჩაატაროს გამოკვლევა და მიიღოს ზომები რეკომენდაციების დაუცველობის შემთხვევაში. დავის გადაჭრის პირველი ეტაპი გულისხმობს კონსულტაციებს, რომელთა უშედეგოდ წარმართვის შემთხვევაში, მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს პანელის დანიშვნა, ხოლო დავების განმხილველ ორგანოს შეუძლია, უარი თქვას პანელის დანიშვნაზე ან მისი გადაწყვეტილების დამტკიცებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კონსენსუსი აღნიშნულის შესახებ წევრ-სახელმწიფოებს შორის. პანელის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია ორივე მხარეს, რომლის საბოლოო გადაწყვეტილებასაც უნდა დაეთანხმოს დავების განმხილველი ორგანო, თუ კონსენსუსი უარყოფის შესახებ არ იქნა მიღწეული.⁷⁹

საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, მხარე, რომელიც წააგებს, ვალდებულია საკუთარი მოქმედება მოიყვანოს რეკომენდაციებსა და ნორმებთან შესაბამისობაში. დამარცხებული მხარე უნდა დაემორჩილოს პანელის ან სააპელაციო პალატის რეკომენდაციებს. მან უნდა ჩამოაყალიბოს თავისი განზრახვა, რომ შეასრულებს რეკომენდაციებს გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის განმავლობაში. თუ ის აღნიშნულ ვადაში არ განახორციელებს მოქმედებას, მაშინ უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა, ხოლო უკანასკლენის შეუსრულებლობის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს კომპენსაციის სახე და ოდენობა მოსარჩელე მხარესთან შეთანხმებით. თუ 20 დღის განმავლობაში არ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა კომპენსაციის გადახდის თაობაზე, მოსარჩელე უფლებამოსილია, დავების განმხილველ ორგანოს მოსთხოვოს ნებართვა სავაჭრო სანქციების დაწესების შესახებ დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ. დავების განმხილველმა ორგანომ გონივრული ვადის ამონრვიდან 30 დღის ვადაში უნდა გასცეს ამგვარი უფლებამოსილება; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მსო-ს წევრთა კონსენსუსი მოთხოვნის წინააღმდეგ.⁸⁰

⁷⁸ Understanding on rules and procedures governing the settlement of disputes - DSU) - ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე - https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/dsu_e.htm (ნანახია 2019 წლის 23 ივნისს).

⁷⁹ დავების განხილვის პროცედურების შესახებ, იხ. About WTO - A Unique Contribution : Principles: equitable, fast, effective, mutually acceptable; ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/disp1_e.htm (ნანახია 2019 წლის 20 ივნისს).

⁸⁰ ფარსადანიშვილი, ნინო : საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2015 : 72.

4.3. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონსტიტუციური რეჟიმი

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არის როგორც შედეგი, ისე მიზეზი მზარდი ეკონომიკური ინტეგრაციისა. ეკონომიკის გლობალიზაცია წარმართველი პროცესია ახალი სამართლებრივი მონესრიგების საკითხებში, რაც განმაპირობებელია იმისა, რომ გლობალურ დონეზე საჭირო ხდება შემუშავება ისეთი წესებისა, რომლებიც გააუქმებენ დაბრკოლებებს, წარმოშობილს ეროვნულ დონეზე დაფუძნებული სამართლით ან საერთაშორისო სამართლის ფუნქციონირების ხარვეზით, ან ჩამოაყალიბებენ დამოუკიდებელ სამართლებრივ სისტემას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად განიხილება "მოთხოვნა დამატებით საერთაშორისო სამართალზე", რაც განპირობებული იყო საერთაშორისო სამართალში ვაჭრობის მომწესრიგებელი ნორმების კოლიზურობითა და არაეფექტურობით.⁸¹

გათვალისწინებით ამისა, მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებთან მიმართებით დგება საჭიროება როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ინტეგრაციისა, სადაც ნეგატიური ინტეგრაცია განიხილება, როგორც იმ ბარიერების გაუქმება, რომლებიც ზღუდავს საქონლისა და მომსახურების შეუფერხებლად გადაადგილებასა თუ მიწოდებას, ხოლო პოზიტიური ინტეგრაცია დაკავშირებულია არსებული ინსტიტუტების ცვლილებითა ან ახლის შექმნით, სუვერენულობის მქონე ინსტიტუტის დაფუძნებასთან, რაც თავისი სტრუქტურით, შეიძლება იყოს ორგანიზაცია.⁸²

სწორედ პოზიტიური ინტეგრაციის მოთხოვნილება განაპირობებს ისეთი სამართლებრივი წესრიგის შექმნას, რომელიც იარსებებს დამოუკიდებელი რეჟიმის სახით და საკუთარ წესებს დააფუძნებს, როგორც კონსტიტუციურ ნორმებს. გათვალისწინებით იმისა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას გააჩნია ხარვეზული წინაპირობანი კონსტიტუციონალიზაციის პროცესის ამოცნობისათვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ მსო საკუთარ თავს არ აცხადებს კონსტიტუციურ რეჟიმად, მისი სტრუქტურა არ მოიცავს ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც ქმნიან სავალდებულოდ შესასრულებელ სამართლებრივ დანაწესებს ორგანიზაციის წევრების მიმართ, იგი ექსპლიციტურად არ აყალიბებს სისტემას ძალაუფლების გადანაწილების ან

⁸¹ მსო-ს დაფუძნებისა და საერთაშორისო სამართლის ქმედითი ფუნქციონირების ურთიერთდაკავშირებულ მიზნებზე იხ. Tratchman, Joel P. : "Global Commercial Constitutionalization : The World Trade Organization", Handbook of Global Constitutionalism, Edward Elgar Publishing, 2017, 397-398. მაგალითად, ჯეფრი დუნოფი კონსტიტუციური დისკურსის შემოღების საკითხს მსო-ს სპეციალისტების მიერ უკავშირებს დამცველობით რეაქციას საერთაშორისო სამართლის იურისტების მიერ, რომელთაც საერთაშორისო სამართალი არ მიაჩნიად ქმედითი ფუნქციონირების სისტემად. აღნიშნულზე უკეთ, იხ. : Dunoff, Jeffrey L. : "The Politics of International Constitutions : The Curious Case of World Trade Organization", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009, 204-205.

⁸² ნეგატიური და პოზიტიური ეკონომიკური ინტეგრაციის შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით იხ. ვებ-გვერდი <http://www.learnueurope.eu/index.php?cID=306> (ნანახია 2019 წლის 5 ივლისს).

კონტროლისა და ბალანსისა სავაჭრო რეჟიმებს შორის,⁸³ ასევე, იგი საკუთარ თავს, გაცხადებულ დონეზე, არ აფუძნებს, როგორც საერთაშორისო სამართლის კლასიკური სუბიექტი,⁸⁴ - (გადანწყვეტილებები მიიღება საერთო კონსენსუსის საფუძველზე, მიღებული გადანწყვეტილებების შეუსრულებლობა ინვესს სანქციების დაწესების შესაძლებლობას და არ არსებობის ძალდატანებითი აღსრულების მექანიზმი) როგორც, მაგ: ევროპის კავშირი ან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კონსტიტუციონალიზაციის პროცესის ელემენტების მიკვლევა მასში მაგალითი იქნება ჩვენს მიერ წინა თავებში განხილული საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმის იდეისა; უფრო უკეთ, რახან საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმის იდეა დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში დაკავშირებულია დიფერენცირებული და ფრაგმენტირებული სისტემის არსებობასთან, რომლის ქვესისტემების სახითაც გვევლინება ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნოლოგიები და ა.შ., მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონსტიტუციონალიზაციის ტენდენციები, შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც ეკონომიკის, უფრო ვიწროდ, სავაჭრო ურთიერთობების კონსტიტუციონალიზაცია⁸⁵. აღნიშნული პროცესები კი უმეტესად მიმდინარეობს ისეთი ორგანიზაციული მონაცემების რეჟიმების შიგნით, რომელთა გარეგანი ბუნება არ წარმოშობს უეჭველ მოცემულობებს დამოუკიდებელ სამართლებრივ წესრიგად მათ აღსაქმელად.

კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება განისაზღვრება, "როგორც ახალი ცოდნის წარმოების მიზნით ადამიანთა მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობა, რომელიც მიმართულია კონსტიტუციური სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების, მათი რეალიზაციის პრაქტიკისა და კანონზომიერების, ამ ნორმების მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების შესწავლა-შემეცნებისაკენ."⁸⁶ იმისათვის, რომ მსჯელობა არ მოექცეს მხოლოდ ჰიპოთეტურ განსაზღვრებებში, უნდა ამოვიცნოთ კონსტიტუციონალიზაციის თუნდაც სუსტი საფუძვლები, სამომავლო პერსპექტივები, რომლებიც შესაძლებელს გახდის სავაჭრო ურთიერთობების კონსტიტუციონალიზაციის, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მოცემულობად წარმოდგენას. ამისათვის საჭიროა, გავაანალიზოთ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე რამდენიმე პროცესი. პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამართლის დაფუძნებაზე, რაც სტაბილური ნორმატიული

⁸³ Dunoff, Jeffrey L. : "The Politics of International Constitutions : The Curious Case Of World Trade Organization", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009 : 180.

⁸⁴ თავად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია საკუთარ თავს ახასიათებს, როგორც ორგანიზაციას, ფორუმს, "ადგილს", სადაც სახელმწიფოები მსჯელობენ სავაჭრო პოლიტიკაზე. ამასთან დაკავშირებით იხ. ვებ-გვერდი : https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact1_e.htm (ნანახია 2019 წლის 24 ივნისს).

⁸⁵ ეკონომიკისა და კონსტიტუციონალიზმის მახასიათებლების თანხვედრაზე (Constitutional Economis), რაც განსხვავდება ეკონომიკის კონსტიტუციონალიზაციისგან საუბრობს Joel P. Tratchman. იხ. Tratchman, Joel P. : "Constitutional Economics of World Trade Organization", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009, 206-229.

⁸⁶ ავტორთა კოლექტივი, კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005 : 26.

მოლოდინებისა და კონფლიქტების მოგვარების წინაპირობაა. გარდა ამისა, უნდა გავანალიზოთ პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთკვეთის ტენდენციები მსოფლიო სავაჭრო რეჟიმის შიგნით, რადგან კონსტიტუციური წესების დამკვიდრება უპირველესად დაკავშირებულია ძალაუფლებით განპირობებული პოლიტიკის შეზღუდვასთან. ასევე, ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს მსო-ს როლი საერთაშორისოსამართლებრივ სისტემაში; ამასთან დაკავშირებით, უნდა განვიხილოთ იერარქიულობის საკითხი, ანუ კითხვა უნდა დაისვას შემდეგნაირად: არის თუ არა მსო-ს სამართალი უზენაესი, როდესაც საქმე ეხება სავაჭრო ურთიერთობებს?

4.3.1. სამართლის დაფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

4.3.1.1. ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სამართალი⁸⁷

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კანონშემოქმედებითი პოტენციალი არ არის დაკავშირებული კლასიკური გაგებით ნორმატიული აქტების დადგენა-შემოღებასთან. ოფიციალურ დონეზე, მსო საკუთარ თავს აფუძნებს, როგორც "მოსამსახურე" ორგანიზაცია, რომელიც გარკვეული "მომსახურების" გაწევით, მოლაპარაკებათა წარმართვის ინიცირებითა და გამართული ორგანიზაციული მონაცემებით, შესაძლებელს ხდის, წევრმა-სახელმწიფოებმა სავაჭრო საკითხებთან დაკავშირებით შეძლონ კონსენსუსის მიღწევა.

მსო შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ხელშეკრულებებზე დაფუძნებული გლობალური კოოპერაციის ორგანიზაცია, სადაც წევრი-სახელმწიფოები საკუთარი მთავრობების ჩართულობით მონაწილეობას იღებენ სავაჭრო საკითხების განსაზღვრაში.⁸⁸ სწორედ ამიტომ, როგორც სტატიკური, ისე დინამიკური პოზიციიდან, სამართლის დაფუძნება ხელშეკრულებებზე დაყრდნობით არის ხარვეზული, რადგან იგი ვერ თავსდება სოციალური ინტეგრაციის იმ სწრაფ პროცესებთან, რომლებიც მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკაში.

ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დაფუძნებულ წესებს, რომლებსაც აღვიქვამთ სამართლებრივ ნორმებად, შეგვიძლია ვუწოდოთ "ხარვეზული ნორმები", რადგან ისინი არ გამოირჩევიან (გაცხადებული არ არიან) იმ თვისობრიობით, რაც შეიძლება ახასიათებდეს პირდაპირი მოქმედების ნორმებს, რომლებიც ადგენენ პრიმატს ქმედებისა და სამართლებრივი შედეგის დადგომის შესახებ. გათვალისწინებით ამისა, ისეთი თვითკმარი რეჟიმი, როგორცაა მსო, იმისათვის, რომ შეინარჩუნოს წარმატებული ორგანიზაციის სტატუსი და წარმართოს მსოფლიო სავაჭრო პოლიტიკა,

⁸⁷ მსო-ს ძირითადი ხელშეკრულებებია - ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმება (GATT), მომსახურებით ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმება (GATS) და შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა შესახებ (TRIPS).

⁸⁸ Bogdandy, Armin von : "Law And Politics in The WTO - Strategies to Cope with a Deficient Relationship", Max Plank Yearbook Of United Nations Law, Vol5,2001 : 614-615.

სახელშეკრულებო ნორმების მის მიერვე ჩამოყალიბებულ სავაჭრო სისტემასთან შეჯერებით აწარმოებს პროცესებს, რომლებიც აფუძნებენ და შემდგომში განამტკიცებენ მის დომინანტ სტატუსსა და თვითმწარმოებელ ბუნებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა ტოიბნერის მოსაზრება, რომელიც საუბრობს ნორმების ჩამოყალიბების თავისებურებებზე "თვითკმარი რეჟიმების მიერ : "თვითკმარი რეჟიმები აძლიერებენ საკუთარ თავს ავტოკონსტიტუციური რეჟიმების სახით. თვითკმარ რეჟიმთა განმსაზღვრელი მახასიათებელი არ არის უბრალოდ ის, რომ მათ შეუძლიათ საკმაოდ სპეციალიზებული პირველადი ნორმების ჩამოყალიბება, ანუ მატერიალური ნორმების შექმნა სამართლის მნიშვნელოვან სფეროებში, არამედ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ისინი ასევე აწარმოებენ საკუთარ საპროცესო ნორმებს სამართალწარმოების, სამართლებრივი აღიარების და სამართლებრივი სანქციების შესახებ: ეგრეთ წოდებულ მეორეულ ნორმებს. თუმცა ნორმათა ამგვარი რეფლექსიური ფორმირება ჯერ კიდევ არ ნიშნავს კონსტიტუციურ ნორმათა წარმოებას სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. მეორეული ნორმები მხოლოდ მაშინ გარდაიქმნიებიან კონსტიტუციურ ნორმებად, როდესაც შეძლებენ განავითარონ უფრო ახლო პარალელები პოლიტიკური კონსტიტუციის ნორმებთან მიმართებით. პოლიტიკური კონსტიტუციები არ შეიცავენ მხოლოდ უფრო მაღალი დონის სამართლებრივ ნორმებს. ნაცვლად ამისა, ისინი აყალიბებენ სტრუქტურულ შეკავშირებას სამართლისა და პოლიტიკის რეფლექსიურ მექანიზმებს შორის."⁸⁹

4.3.1.2. "პოლიტიკური" სამართალი

სამართალი გლობალურ დონეზე, გარკვეულწილად, პოლიტიკურად კონსტრუირებული მოვლენაა. თუ იგი ეროვნულ დონეზე ახდენს ძალაუფლების ლეგიტიმაციასა და ლიმიტაციას, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება, საზოგადოება და ინდივიდი თანაცხოვრებენ, საერთაშორისო არეალში სამართლებრივი წესები გლობალური მოთამაშეების მოქმედებების შეზღუდვის კენაა მიმართული (გაცხადებულად მაინც).

მსო-ს, როგორც პოლიტიკური ორგანოს ფუნქციონირება ეფუძნება წევრი-სახელმწიფოების მიერ საკუთარი სავაჭრო პოლიტიკის ჰარმონიზირების მიზანს მსოფლიო სავაჭრო პოლიტიკასთან მიმართებით. თავისთავად, მსო-ს ძირითადი პრინციპები, რომელთა "სამართალთან დაწყვილება" ხდება ხელშეკრულებებისა და დავების განმხილველი ორგანოს გადანაცვებების მიერ, წარმოადგენს გლობალიზებული სავაჭრო ურთიერთობების პოლიტიკურ ჩარჩოს.

⁸⁹ ტოიბნერი, გუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართლუს ჟურნალი N2,2017 : 365.

რეალური პოლიტიკური ავტონომიურობის, რაც დაკავშირებულია ორგანიზაციის მიერ სუვერენული სახელმწიფოების პოლიტიკური ხედვების პატივისცემასთან, განმსაზღვრელია "მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ" შეთანხმების მე-10(2) მუხლი⁹⁰, რომელიც განსხვავებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 108-ე და 109-ე მუხლებისგან,⁹¹ რომლებიც შესწორებების შესატანად აწესებენ წევრთა ორი მესამედის თანხმობას, სადაც მოიაზრება უშიშროების საბჭოს ყველა წევრი, იმავე მოქმედების განსახორციელებლად აწესებს ორგანიზაციის ყველა წევრის თანხმობას. გათვალისწინებით ამისა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოთა (სახელმწიფო აღქმულია, როგორც სავაჭრო ურთიერთობებში ჩართული მხარე, ე.წ. სავაჭრო საზოგადოება) პოლიტიკური სუვერენიტეტი უფრო მძლავრია მაშინ, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, განსხვავებით საერთაშორისო უსაფრთხოებისგან.⁹²

პოლიტიკის გატარებად უნდა მივიჩნიოთ ე.წ. ნებისდამრთველი ნორმის არსებობა, რომელიც მიუხედავად GATT-ის I მუხლის დანაწესისა, რომ იკრძალება მსო-ს წევრი-სახელმწიფოების მიერ განსხვავებული საგადასახადო რეჟიმის დადგენა პროდუქტის წარმომავლობის მიხედვით, უშვებს გამონაკლისს, რომლის საფუძველზეც დაბეგვრის სისტემაში შეღავათიანი პირობები წესდება განვითარებადი სახელმწიფოებისათვის.⁹³

ვფიქრობ, ასევე პოლიტიკური მახასიათებელია არაფორმალური მოლაპარაკებების როლი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რაც გულისხმობს იმას, რომ მსო-ში არაფორმალური ხასიათის ურთიერთობები წევრებს შორის განაპირობებს უფრო მეტი შეთანხმების მიღწევას, ვიდრე ამას ახერხებენ ფორმალიზებული ორგანოები - საბჭოები და კომიტეტები.⁹⁴ განსაკუთრებული მნიშვნელობა, გათვალისწინებით მსო-ს სუსტი ფორმალური სამართალშემოქმედებითი ბუნებისა, ენიჭებათ სწორედ არაფორმალურ მოლაპარაკებებს, რადგან ისინი არ ექცევიან ხელშეკრულებათა ნორმების მკაცრ ჩარჩოებში; შესაბამისად, აღნიშნული პროცესი უფრო მეტად მიმზიდველია მხარეებისათვის.

⁹⁰ "Agreement Establishing The World Trade Organization" (1995) Art.X - ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე - https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/04-wto.pdf (ნანახია 2019 წლის 5 ივლისს).

⁹¹ UN Charter (1945), Arts.108,109, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე : <https://www.un.org/en/sections/un-charter/un-charter-full-text/> (ნანახია 2019 წლის 5 ივლისს).

⁹² ეკონომიკური ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შედარებაზე ვრცლად იხ. Bogdandy, Armin von : "Law And Politics in The WTO - Strategies To Cope With a Deficient Relationship", Max Plank Yearbook Of United Nations Law, Vol.5, 2001 : 623.

⁹³ მსო-ს ფარგლებში შექმნილია შეღავათების განზოგადებული სისტემა (Generalized System Of Preferences -GSP), რომელიც ცვლის GATT-ის პირველი მუხლის მოქმედების ფარგლებს.

⁹⁴ მსო-ში არაფორმალური მოლაპარაკებების როლთან დაკავშირებით იხ. Dunoff, Jeffrey L. : "The Politics of International Constitutions : The Curious Case of World Trade Organizationn", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009 : 182. ამასთან დაკავშირებით ასევე იხ. Dunoff, Jeffrey L. : "Lotus Eaters: The Varietals Dispute, the SPS Agreement, and WTO Dispute Resolution", Health Regulation in the WTO 153, Cambridge University Press , 2006 :1-8

მიუხედავად იმისა, რომ მსო-ში მძლავრია პოლიტიკის გავლენა, მაინც შეინიშნება ტენდენციები ძალაუფლებაზე დაფუძნებული სისტემიდან სამართალზე დაფუძნებულ სისტემაზე გადასვლისა, რაც, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი მახასიათებელია.⁹⁵ შესაბამის მოსაზრებას ავითარებს პროფესორი ჯონ ჯექსონი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს რა მსო-ს ინსტიტუციურ არქიტექტურაზე, მთავარ როლს მსოფლიო ვაჭრობის კონსტიტუციური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში აკისრებს სისტემის მოდიფიკაციას : ძალაუფლებაზე დაფუძნებულიდან - წესებზე დაფუძნებულობამდე. იგი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ასეთი სისტემის ქვეშაა შესაძლებელი დეცენტრალიზებული საერთაშორისო ბაზრის უსაფრთხო ფუნქციონირება.⁹⁶

4.3.1.3. სამართალშემოქმედება დავების განმხილველი ორგანოს მიერ

მსო-ს დავების განმხილველ ორგანოს გააჩნია კვაზი-სამართალშემოქმედებითი როლი.⁹⁷ DSU - ასრულებს მნიშვნელოვან როლს წევრი-სახელმწიფოების მიერ მსო-ს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციისათვის. 2010 წლის მონაცემებით, ორგანიზაციის დაარსების 15 წლისთვის, DSU-ს ქვეშ ინიცირებულ იქნა 400-მდე დავა,⁹⁸ რამაც განაპირობა შეთანხმებებში განერილი რიგი სამართლებრივი ნორმების საკამათო შინაარსის განსაზღვრა და მათი აღქმა სავალდებულოდ შესასრულებელ მოცემულობებად. მაგალითად, აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულებაში განერილი რომელიმე დანაწესი ზოგადი ხასიათისაა დავების განმხილველი ორგანო ახდენს მის ინტერპრეტირებას. საქმეში U.S. - Stainless Steel (Mexico) სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ DSU-ს მე-3(2) მუხლით გათვალისწინებული დავების განხილვისას უსაფრთხოებისა და განჭვრეტადობის შენარჩუნება ნიშნავს იმას, რომ მსგავს სამართლებრივ საკითხს

⁹⁵ განვითარებადი სახელმწიფოების სასარგებლოდ მიღებული გადანყვეტილებები და მათი აღსრულება მონაშობს აღნიშნულს. ამასთან დაკავშირებით იხ. Dispute Settlement: Appellate Body, Farewell speech of Appellate Body Member David Unterhalter, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/unterhalterspeech_e.htm (ნანახია 2019 წლის 7 ივლისს).

⁹⁶ John Howard Jackson (1932-2015) - პროფესორი კალიფორნიის ბერკლის სამართლის სკოლაში, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტსა და მიჩიგანის უნივერსიტეტის სამართლის სკოლებში. მსო-ს ინსტიტუციური არქიტექტურის, როგორც კონსტიტუციური მოცემულობის შესახებ იხ. Jackson, John H. The World Trade Organization : Constitution and Jurisprudence (1998). ჯექსონის იდეებს კრიტიკულად გადმოცემს ჯეფრი დიუნოფი, რომელიც საუბრობს მსო-ს ორგანოების სუსტ სამართალშემოქმედებით თუ გადანყვეტილებების მიმღებ როლზე, ამასთან დაკავშირებით იხ. Dunoff, Jeffrey L. : "The Politics of International Constitutions : The Curious Case of World Trade Organizationn", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009 : 184-187.

⁹⁷ Tratchman , Joel P. : "Constitutional Economics of World Trade Organization", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009 : 222.

⁹⁸ Evans, David and Shaffer, Gregory - Introduction : Dispute Settlement at the WTO - The Developing Country Experience, Cambridge University Press, 2010 : 2.

დავების განმხილველი ორგანო გადაწყვეტს მსგავსი მდგომარეობის გამოყენებით.⁹⁹

საინტერესოა, რომ დავების განმხილველი ორგანო აკონკრეტებს და განმარტავს ისეთ თემებს, რომლებიც ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა "ძალაუფლების გადანაწილების" საკითხებში. მაგალითად: საქმეში - US-Corrosion-Resistant Steel Review სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ GATT-ის და მსო-ს დავების განმხილველი ორგანოს პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც განხილულა არა მხოლოდ მსო-ს სახელშეკრულებო ნორმების დარღვევის საკითხები, არამედ წევრი-სახელმწიფოების შიდა სავაჭრო კანონმდებლობის გავლენის შედეგები მიმდინარე სავაჭრო პრაქტიკასა და სამომავლო ვაჭრობაზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დავების განმხილველი ორგანოს წინაშე ვერ მოხდებოდა წევრი-სახელმწიფოს მსო-ს თვარგლებში აღებული ვალდებულებების დამრღვევი შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმის გასაჩივრება პანელისა და სააპელაციო პალატის წინაშე, უსაფრთხოებისა და განჭვრეტადობის პრინციპებზე აგებული სისტემა ჩამოშლებოდა. წევრ-სახელმწიფოთა მსო-სთან შეუსაბამო ქმედების აღმოფხვრის შესაძლებლობა დავების განმხილველი ორგანოს შეფასებით, დაკავშირებულია შიდა კანონმდებლობის პრიმატის დაქვემდებარებასთან მსო-ს ხელშეკრულებებისადმი.¹⁰⁰

სააპელაციო პალატის მიერ კონსტიტუციური ნორმების გენერირებასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებაა წარმოდგენილი პროფესორ დებორა კასის მიერ.¹⁰¹ მისი აზრით, სააპელაციო პალატა კონსტიტუციონალიზაციის პროცესს წარმართავს ოთხი განსხვავებული პროცესის შედეგად : 1. სააპელაციო პალატა "სესხულობს" კონსტიტუციურ წესებს, პრინციპებს და, ზოგადად, დოქტრინას სხვა სისტემებისგან და ახდენს მათ შერწყმას საკუთარი გადაწყვეტილებებით დაფუძნებულ სამართალთან 2. სააპელაციო პალატა აწარმოებს ნორმებს, რომლებიც საკუთარი გადაწყვეტილებების მიხედვით დაფუძნებულია მხოლოდ აშკარა და განსაზღვრულ მოცემულობებზე, სადაც განმსაზღვრელი ტერმინებია : მტკიცების ტვირთი და ფაქტების დადგენა. სააპელაციო პალატის მიერ ნორმების წარმოება ასევე დაკავშირებულია არასახელმწიფო აქტორების, არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობასთან დავების განხილვის პროცესში¹⁰², რომლებიც წარმოადგენენ

⁹⁹ ფარსადანიშვილი, ნინო : საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2015 : 75. გადაწყვეტილება - Appellate Body Report, US - Stainless Steel (Mexico), DS344, para. 160.

¹⁰⁰ იქვე, გვ.75; გადაწყვეტილება - Appellate Body Report, US - Corrosion-Resistant Steel Sunset Review, DS244, para. 82.

¹⁰¹ Deborah Z. Cass (1960-2013) - იყო საერთაშორისო სამართლის პროფესორი ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში.

¹⁰² არასამთავრობო აქტორების მონაწილეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საქმეზე Shrimp-Turtle(US - Shrimp and Shrimp Products, WT/DS58/AB/R) რომელიც შეეხებოდა ინდოეთის, მალაიზიის, პაკისტანისა და ტაილანდის საჩივარს აშშ-ს წინააღმდეგ, რათა მას შეეზღუდა კრევეტების იმპორტი არასწორი რეწვის გამო, რის შედეგადაც ნადგურდებოდა კუს პოპულაცია. სააპელაციო პალატამ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიანიჭა უფლება, წარმოდგენილიყვნენ ე.წ. "მესამე მხარის" სტატუსით. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/58abr.pdf (ნანახია 219 წლის 6 ივლისს).

"კონსტიტუციურ აქტორებს" ახალი სამართლებრივი სისტემისთვის. 3. სააპელაციო პალატა განიხილავს დავებს, რომლებიც კლასიკურად აღიქმება, როგორც დამახასიათებელი ეროვნული კონსტიტუციური პროცესისა, მაგალითად, როგორცაა საყოველთაო ჯანდაცვა. 4. სააპელაციო პალატა საკუთარ თავს აკავშირებს კონსტიტუციურ ღირებულებებთან, რაც ცხადი ხდება საკუთარი გადაწყვეტილებების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე; გადაწყვეტილებები წარმოადგენს, მართალია არა გაცხადებულად, მაგრამ ფაქტობრივად, უშუალოდ მოქმედ სამართალს მხარეებისათვის.¹⁰³

4.3.2. მსო-ს სამართალი კონკურენტულ სამართალთა შორის

იურისდიქციათა კონკურენციის საკითხი მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რა როლს ასრულებს მსო-ს სამართალი მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში და უჭირავს თუ არა მას პრიორიტეტული მდგომარეობა.

კონკურენციის საკითხი დღის წესრიგში დგება მაშინ, როდესაც ერთი და იგივე სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა არსებობს, ანუ, როდესაც მხარეებს შეუძლიათ სხვადასხვა მოქმედებებით, მაგალითად, დავების განმხილველი განსხვავებული ორგანოებისადმი მიმართვით, გადაწყვიტონ პრობლემა. საყურადღებოა, რომ თანმხვედრი საგნობრივი იურისდიქცია, დავების განხილვის სისტემაში, გააჩნია რამდენიმე ორგანიზაციას, რომელთაგანაც შეგვიძლია დავასახელოთ : მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო, საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო და ა.შ.¹⁰⁴

გათვალისწინებით იმისა, რომ ჩვენი ინტერესი შეეხება სავაჭრო ურთიერთობებს, მსჯელობა უნდა წარემართოს შესაბამისი სპეციალური კომპეტენციის ფარგლებში და არა მთლიანად მსოფლიო ეკონომიკური სისტემის აღწერით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია DSU- ს 23-ე მუხლი, სადაც მითითებულია, რომ სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში, ისინი ვალდებული არიან მიმართონ მსო-ში არსებულ დავების განმხილველ ორგანოს. დავების განხილვის მექანიზმი ცალსახად უთითებს, რომ მარაკემის შეთანხმებაში ჩამოთვლილი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებზე მხარეებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ მსო-ში არსებული სტრუქტურა და არა მის ფარგლებს გარეთ არსებული მშვიდობიანი

¹⁰³ Cass , Deborah Z.: "The "Constitutionalization" of International Trade Law: Judicial Norm- Generation as the Engine of Constitutional Development in International Trade" EJIL 12 (2001) : 39-75.. მტკიცების ტვირთსა და ფაქტებზე დაფუძნებულობაზე იხ. Headen, James and Sabune, Sheila : " Burden of Proof in WTO Dispute Settlement: Contemplating Predordenance of the Evidence; ICTSD, 2009. ასევე : Collins, David : "Instituionalized Fact Finding at the WTO", University of Pennsylvania Journal of International Economic Law, Vol.27, 2006 : 367-387.

¹⁰⁴ ფარსადანიშვილი, ნინო : საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2015 : 80.

გადაწყვეტის სხვა მექანიზმები. რაც შეეხება სხვა ორმხრივ თუ მრავალმხრივ შეთანხმებებს, სახელმწიფოები თავისუფალი არიან მათგან გამომდინარე პრობლემათა გადაწყვეტის მექანიზმების არჩევაში.¹⁰⁵

მარაკემის შეთანხმებაში ჩამოთვლილი ხელშეკრულებები აწესრიგებს სავაჭრო ურთიერთობების საკითხებს. გათვალისწინებით ამისა, მსო-ს სამართალი, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც მსოფლიო ვაჭრობის სპეციალიზებული სამართალი, რომელსაც გააჩნია უზენაესი ხასიათი კონკურენტულ სამართლებრივ სისტემებთან მიმართებით.

საერთაშორისო ასპარეზზე მსო-ს დომინირება, თავისთავად, აქტუალურს ხდის საკითხს ნაციონალურ მართლწესრიგთან მის კავშირზე. როგორც ევროპის კავშირის სამართალი, რომელსაც გააჩნია პირდაპირი ეფექტი ქვეყნების შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით და ოფიციალურად მიჩნეულია უპირატესად მასზე, მსო-ც, მართალია არაოფიციალურად, მაგრამ პრაქტიკულად, ყალიბდება იდენტური ძალაუფლების მქონე რეჟიმად, რომლის ფარგლებშიც მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაც წევრებს მიაჩნიათ, როგორც ვალდებულება¹⁰⁶

4.3.3. ეკონომიკური თავისუფლება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება

ეკონომიკური თავისუფლება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება, აღიარებულია არა მხოლოდ საერთაშორისო აქტებით, ასევე საქართველოს კონსტიტუციითაც, რომლის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად :

"ეკონომიკური თავისუფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია."¹⁰⁷

გათვალისწინებით იმისა, რომ მსო ეკონომიკური, კერძოდ გლობალური სავაჭრო ურთიერთობების მომწესრიგებელი მთავარი ორგანიზაციაა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ახდენს კონსტიტუირებას ეკონომიკური თავისუფლების წესისა, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე.

პროფესორი ერნსტ-ულრიხ პეტერსმანი¹⁰⁸ ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონსტიტუციონალიზაციის პირველადი საგანი არის არა ინსტიტუციური

¹⁰⁵ იქვე, გვ. 81-83.

¹⁰⁶ ნაციონალურ კანონმდებლობასა და პირდაპირ ეფექტთან დაკავშირებით იხ. Tratchman, Joel P. : "Global Commercial Constitutionalization : the World Trade Organization", Handbook of Global Constitutionalism, Edward Elgar Publishing, 2017: 400-401.

¹⁰⁷ საქართველოს კონსტიტუცია (1995), მუხლი 6. 6(2) - სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე. 6(3) - დაუშვებელია კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება.

¹⁰⁸ Ernst-Ulrich Petersmann - საერთაშორისო, ევროპული და ნაციონალური საჯარო სამართლის პროფესორი მრავალ უნივერსიტეტში (The University Of Saarland, The University of Michigan Law School, The UNiversity Of Lausanne, The University Of Stellenbosch), 1990-2007 წლებში სამართლებრივი კონსულტანტი GAT/WTO სამდივნოში.

სისტემატიზაცია, არამედ ნორმატიული ღირებულების წესების შექმნა. კონსტიტუციური წესები რეალურად აფუძნებენ, და ასევე, ზღუდავენ მოქალაქეთა უფლებებსა და ხელისუფლების ძალაუფლებას. ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის კონსტიტუციური სისტემების მიერ დაცვა და "ამოცნობა" ხელშეუვალი ადამიანის უფლებებისა, რაშიც იგი მოიაზრებს "ეკონომიკური თავისუფლების", "თავისუფალი ბაზრის"¹⁰⁹ (market freedom) უფლებას და ასევე სხვა ფუნდამენტურ უფლებებს, როგორც ფაქტობრივი ლიმიტაციის წესებს ძალაუფლებაზე.¹¹⁰

პეტერსმანი აღიარებს რა ეკონომიკური თავისუფლების უფლებას, როგორც საქონლის თავისუფალი წარმოებისა და გაცვლა-გასაღების სამართლებრივ ჩარჩოს, ფუნდამენტური უფლებების შინაარსში მას წარმოადგენს ინდივიდუალური ავტონომიურობისა და ადამიანის მიერ თვითგამორკვევის ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებლად თუ წინაპირობად. "ტრანსნაციონალური თავისუფალი ბაზრის პრინციპი", რომელიც მოიცავს პროცესებს საქონლის მიმოცვლისა, მომსახურების განვებისა, კაპიტალის დაგროვებისა და ამ ყველაფერში ადამიანების ჩართულობისა, სამართლებრივ წესრიგს ქმნის "ტრანსნაციონალური მოქალაქის უფლებებისათვის".¹¹¹

რადგან ეკონომიკური თავისუფლების უფლებას და თავისუფალი ბაზრის პრინციპს მრავალი მახასიათებელი გააჩნია, მათი "განხორციელება" მსო-ში ასევე მრავალგვარი გამოვლინებით ხასიათდება, რომელთაგან შეგვიძლია გამოვყოთ : მსო-ს ძირითადი პრინციპების დაფუძნება¹¹², დავების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებები, არაფორმალური მოლაპარაკებები, სადაც წევრები რეგულაციებზე მეტად ითვალისწინებენ ბაზარზე დამკვიდრებულ მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციებს, არასამთავრობო აქტორების მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. საბოლოოდ კი, გლობალურ დონეზე

¹⁰⁹ საბაზრო ეკონომიკის შესახებ იხ. ვეშაპიძე.შ. : ეკონომიკის საფუძვლები, 2015 : 75-58.

¹¹⁰ Dunoff, Jeffrey L. : " The Politics of International Constitutions : The Curious Case of World Trade Organizationn", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009, 188. ავტორი მიუთითებს პეტერსმანის შრომებზე : Petersmann, Constitutionalism and International Organizations, at 431.

¹¹¹ იქვე. გვ. 188. მითითება პეტერსმანის შრომებზე : Ernst-Ulrich Petersmann, How to Constitutionalize International Law and Foreign Policy for the Benefit of Civil Society? 20 Mich. J. Int'l L. 1, 17 (1998). Ernst-Ulrich Petersmann, Theories of Justice, Human Rights, and the Constitution of International Markets, 37 Loy. L.A. L. Rev. 407, 457 (2003). ამასთანავე, დიუნოფი აღნიშნავს, რომ მსო-ს ხელშეკრულებები ოფიციალურად არ აფუძნებენ ფუნდამენტურ უფლებებს. მას მაგალითად მოყავს პანელის გადაწყვეტილება(The Panel Report In The Section 301 Dispute), რომელშიც აღნიშნულია, რომ მსო არ ამკვიდრებს ახალ სამართლებრივ წესრიგს და მას არ გააჩნია "პირდაპირი ეფექტი", შესაბამისად, გაცხადებულად არ მკვიდრდება ახალი სამართლებრივი მოცემულობა წევრი-სახელმწიფოებისა თუ მათი მოქალაქეებისათვის. პანელის დასკვნა - United States – Sections 301–310 of the Trade Act of 1974, WT/DS152/R, para. 7.72 (Jan. 27, 2000).

¹¹² კონკრეტული მაგალითი აღნიშნულისა არის დისკრიმინაციის აკრძალვა. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით საქმეზე EC - Tariff Preferences, დადგინდა, რომ არადისკრიმინაციულობა ნიშნავს მსგავს სიტუაციაში მყოფი ყველა განვითარებადი სახელმწიფოსათვის შედავათის შეთავაზებას. გადაწყვეტილება - A.B. EC - Tariff Preferences, WT/DS246/AB/R, paras.152-154. გადაწყვეტილებაზე საუბარია ნაშრომში "საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით", გვ.121.

განხორციელებული ქმედებების პირველად მიზნად, ყველა შემთხვევაში, აღიქმება ინდივიდი, კონკრეტულ შემთხვევაში - "ტრანსნაციონალური მოქალაქე".

4.4. ბუნდოვანი კონსტიტუციონალიზაცია

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ, მართალია, შეძლო თვითდაფუძნება ავტონომიურ მართლწესრიგად გლობალურ დონეზე,¹¹³ თუმცა როდესაც ვსაუბრობთ კონსტიტუციონალიზაციაზე, გათვალისწინებით მისი კლასიკური განმარტების შინაარსიდან გამომდინარე,¹¹⁴ რომელსაც გვერდს ვერ აუვლით, გვჭირდება არგუმენტები, დადასტურებული ფაქტებით, რათა საბოლოო წერტილი დავუსვათ საკითხს გლობალური სავაჭრო სისტემის კონსტიტუციონალიზაციის შესახებ.

როგორც ტოიბნერი აღნიშნავს : "საკმაოდ განუსაზღვრელია თუ სად შეიძლება სამართლის პოზიტივიზების, ნორმატიულობის და მოქმედების შესახებ მხოტავი გადაწყვეტილებების ადგილმდებარეობის მიკვლევა. საითაც არ უნდა გავიხედოთ, რელევანტური გადაწყვეტილება მოქმედების შესახებ ყოველთვის სხვა ადგილიდან მომდინარეობს. გლობალურ კერძო რეჟიმებში, საადც ადგილი აქვს სოციალურ ნორმათა წარმოების ორგანიზებული და სამართალშემოქმედების სპონტანური პროცესების ტიპურ კომბინირებას, ნორმის პროდუცირება დეცენტრალიზებული პოლიტიკურ და კერძო სუბიექტთა სიმრავლემდე, რაც შეუძლებელს ხდის გადაწყვეტილებათა ფორმირების აშკარა ცენტრის აღმოჩენას. ამასთანავე, სამართლის წარმოება საკმაოდ ცირკულარულია: სუბიექტები მუდმივად მიმართავენ სამართლებრივ ნორმებს, რომელთა მოქმედების საფუძველი უკიდურესად სათუთაა. სწორედ სამართლად ჩამოყალიბების მუდმივი პრეტენზია - ან თუნდაც სამართლებრივი მითების მოშველიება - და არა, მაგალითად, კერძო სუბიექტთა ლობირებითა და ცენტრალური სამართალწარმოების ორგანოს მეშვეობით მიღებული გადაწყვეტილებაა ახალი სამართლის მოქმედების საფუძველი."¹¹⁵

გათვალისწინებით იმისა, რომ არც მსო-ს ინსტიტუციური მონყობა და არც მის მიერ სამართლის დაფუძნების მოცემულონა, ნორმათა უზენაესობისა და ადამიანის

¹¹³ ტოიბნერი, გიუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძველები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართლის ჟურნალი N2,2017 : 363.

¹¹⁴ მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ნაშრომში გადაფასებულ იქნა გარკვეული კლასიკური განმარტებანი სამართლის, სახელმწიფოსა და საზოგადოების შესახებ, ტერმინი "კონსტიტუციონალიზაცია" მაინც რჩება იმ განსაზღვრებად, რომელიც მომცველია ძალაუფლების მქონე აქტორთა უფლებების ლეგიტიმაციისა და მოქმედების ლიმიტაციისა დამფუძნებელი ხასიათის უზენაესი ნორმებით. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ტოიბნერის მოსაზრება, რომ გლობალური სამართალი არ უნდა შეფასდეს ეროვნულ სამართლებრივ სისტემათა სტანდარტებით. მაშინ, როდესაც გლობალურ სამართალს აკლია პოლიტიკური და ინსტიტუციონალური მხარდაჭერა, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალიზებულ სოციო-ეკონომიკურ პროცესებთან; აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხ. "გლობალური ბუკოვინა - სამართლებრივი პლურალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში".

¹¹⁵ ტოიბნერი, გიუნთერ : "გლობალური კერძო რეჟიმები : ნეოსპონტანური სამართალი და ავტონომიურ სექტორთა დუალისტური კონსტიტუცია?", სამართლის ჟურნალი N2,2016 : 313.

ფუნდამენტურ უფლებათა დადგენის მახასიათებლები, არ იძლევა მკაცრად იმის თქმის საშუალებას, რომ ამოცნობილ იქნა ნათლად დადასტურებული კონსტიტუციონალიზაციის პროცესი¹¹⁶ (მიუხედავად იმისა, რომ დავადგინეთ მსო-ს ნორმების უზენაესობა სხვა საერთაშორისოსამართლებრივ თუ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან მიმართებით, ორგანიზაციის წევრების მიერ გადაწყვეტილებების აღქმა, როგორც "სავალდებულოდ შესასრულებელი", დავების გადაწყვეტი ორგანოს მიერ ხელშეკრულებებში განსაზღვრული წესებისათვის სამართლებრივი ნორმების სტატუსის მინიჭება), უნდა დავამკვიდროთ ტერმინი "ბუნდოვანი კონსტიტუციონალიზაცია", რომელიც მიგვანიშნებს, რომ განსხვავებით ამერიკისა თუ საფრანგეთის კონსტიტუციური დოკუმენტებისა, სადაც საზოგადოების კონსტიტუციური მოწყობა ხორციელდებოდა წინასწარი მოცემულობებით, ანუ წინასწარ განერილი ძალაუფლების გადანაწილების მოდელით, წინასწარ შემუშავებული ადამიანის უფლებათა გარანტირებით, წინასწარ შექმნილი პოლიტიკური მოდელის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევით, ტრანსნაციონალურ რეჟიმთა კონსტიტუციური საფუძვლები ვერ იქნება წინასწარ განსაზღვრული სტატიკური მოცემულობები, რადგან საზოგადოების მამოძრავებელი გლობალიზებულ მსოფლიოში მხოლოდ ფუნქციონალური დიფერენციაციაა,¹¹⁷ ხოლო ფუნქციათა სტატიკურ ერთ სიბრტყეში მოქცევა, მათი "დანყვილება სამართალთან", რთულად ხერხდება და თუ თუ მაინც მიიღწევა, იგი მრავალმხრივი, ხანგრძლივი და ბუნდოვანი პროცესის შედეგია.

უფრო უკეთ თუ ვიტყვით, მოდერნულ საზოგადოებაში კონსტიტუცია ასრულებდა მშვიდობიანი თანაცხოვრების, ძალაუფლების გადანაწილების, სახელმწიფოს სუვერენულობის განმსაზღვრელ, "დოკუმენტირებულად განსაზღვრულ" ფუნქციას, ხოლო დღეს თავად ფუნქციები, მაგალითად ისეთი, როგორცაა ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნა, აყალიბებენ კონსტიტუციურ საზღვრებს, ანუ დინამიკური პროცესებით ცვლიან ან განამტკიცებენ თავიანთ მიზნებს; მიზნები განისაზღვრება მათ მიერ წარმართული კომუნიკაციური მოქმედებების მიერ და არა პირიქით.

¹¹⁶ მსო-ში კონსტიტუციური დისკურსის ხარვეზულ ბუნებაზე იხ. Dunoff, Jeffrey L. : "The Politics of International Constitutions : The Curious Case of World Trade Organizationn", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009 :180-184.

¹¹⁷ ფუნქციონალური დიფერენციაციის შესახებ იხ. ლუმანი, ნიკლას : "მსოფლიო საზოგადოება როგორც სოციალური სისტემა", სამართლის ჟურნალი N1, 2017 : 375-376. ლუმანის აზრით ყოველი სისტემა თვითკმარი და თვითქმნადია. მთავარი განმსაზღვრელია არა ინტეგრაცია, არამედ დიფერენციაცია.

თავი V : მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გარეგანი კონსტიტუციური შებოჭვის აუცილებლობა

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გარეგანი კონსტიტუციური შებოჭვის აუცილებლობას განაპირობებს ექსპანსიურ სოციალურ რეჟიმთა მომრავლება,¹¹⁸ რაშიც იგულისხმება ქვესისტემების მიერ გამოვლენილი ექსპანსიური ტენდენციები ერთმანეთისა და, ასევე, სისტემის შინაგანი წესრიგის მიმართ. მაგ. ეკონომიკური ქვესისტემის დომინირება გარემოზე, ეკოლოგიაზე, სადაც გარემო განიხილება, როგორც საშუალება მიზნის მიღწევისა, რომელიც დეტერმინირებულია დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკისა და კაპიტალის დაგროვების მიზნებიდან გამომდინარე. იგი ასევე წარმოშობს პრობლემას ადამიანის უფლებათა ჰორიზონტალურ ეფექტთან დაკავშირებით. ამის მიზეზია ის, რომ მულტინაციონალური კორპორაციების გავლენა საზოგადოებაზე იზრდება, ხოლო სახელმწიფოები ცდილობენ აირიდონ პასუხისმგებლობა იმით, რომ კერძო პირებსა და დანესებულებებზე მოახდინონ უფლებემოსილებების დელეგირება. შესაბამისად, გაფერმკრთალებულია ზღვარი კერძო და საჯარო დანესებულებებს შორის და კერძო დანესებულებების მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვა ტენდენციურ ხასიათს იღებს. განსხვავებით ვერტიკალური ეფექტისა, რომლითაც მიიჩნევა, რომ ადამიანთა დაცვა საჭიროა მხოლოდ "ყოველისშემძლე" სახელმწიფოსაგან, ჰორიზონტალური ეფექტი ითვალისწინებს რა კერძო აქტორების ძალაუფლებრივ შესაძლებლობებს, ინდივიდის უფლებათა შემლახავ სუბიექტად ასევე აღიქვამს კერძო მოთამაშეებს.¹¹⁹

5.1. ეკონომიკის გლობალიზაციის პრობლემა

ეკონომიკის გლობალიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია სოციალურ რეჟიმთა ურთიერთობების ინტეგრაციული თუ დიფერენციაციული ხასიათით წარმართვისა.¹²⁰ მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ახალი თვისებები, რომლებშიც შეგვიძლია მოვიაზროთ ნაციონალურ ეკონომიკათა ლიბერალიზაცია და მათი ურთიერთქმედება ვაჭრობისა და საერთაშორისო ინვესტიციების გზით, საბაზრო მეურნეობის უსწრაფესი ზრდა, მსოფლიო ეკონომიკის მთავარი აქტორების - ტრანსნაციონალური კორპორაციების, ბანკების, საინვესტიციო ჯგუფების აღმავალი

¹¹⁸ ექსპანსიურ სოციალურ სისტემათა შესახებ იხ. ტობინერი, გუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართლის ჟურნალი N2,2017: 368.

¹¹⁹ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ეფექტზე უკეთ, იხ. ქერაშვილი, სალომე : ძირითადი უფლებების გავლენა სახელმწიფოებზე სამართალზე: ევროპული გამოცდილების მნიშვნელობა ქართული სამართლისათვის, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2018 : 29-33. ჰორიზონტალურ ეფექტზე ტრანსნაციონალურ სექტორში იხ. "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართლის ჟურნალი N2,2017 : 359-360.

¹²⁰ ეკონომიკური გლობალიზაციის მაგალითია ტრანსნაციონალური უმსხვილესი კომპანიების მსოფლიო მასშტაბით ოპერირება (მანქანების, სმარტფონების, კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი კომპანიები). მსო-ს ძირითადი მიზანი ეკონომიკური გლობალიზაციის წახალისება და მხარდაჭერაა.

კოსმოპოლიტიზაცია - ახდენს სერიოზულ გავლენას მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე. მსოფლიო ეკონომიკა ხდება იმდენად ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული, რომ იგი მოითხოვს მუდმივად სტაბილურობის შენარჩუნებას, და არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო-პოლიტიკური კუთხითაც.¹²¹

ზოგადად, კაპიტალზე საუბრისას, უპრიანი იქნება, მარქსის ნააზრევის ხსენება და პრობლემის მისეული ახსნა; მარქსის მიერ ისტორიის მატერიალისტური გაგება, რომელიც მთავარ ადგილს იკავებს მის ფილოსოფიაში, დაფუძნებულია ჰეგელის ფილოსოფიაზე, რომლის ამოსავალი წერტილიც ისტორიის, როგორც ადამიანური რეალობის უწყვეტი დრამის გაგებაა. "გონის ფილოსოფიაში" ჰეგელი მსოფლიო ისტორიის წარმომქმნელ გონზე საუბრისას აღნიშნავს: "აქ როდიღა დგანან ერთ მხარეს საგნის მიმართ გარეგანი ქმედება, მეორე მხარეს კი ოდენ ვნებული საგანი, არამედ გონითი ქმედება მიმართულია თავის თავისთავში მოქმედ საგანზე - ისეთ საგანზე, რომელმაც თვითონ აიმაღლა თავისთავი იმამდე, რაც ამ ქმედებამ უნდა წარმოშვას, ასე რომ, ქმედებასა და საგანში ერთი და იგივე შინაარსი ძევს. ასე, მაგალითად, ამ ხალხმა და დრომ, რომლებზედაც ალექსანდრესა და ცეზარის საქმიანობა ზემოქმედებდა, როგორც თავის საგანზე, თვით ალჭურვეს თავისთავი იმ საქმის უნართ, რომელიც ხსენებულ ინდივიდებს უნდა შეესრულებინათ. დრომ იმდენადვე შეიქმნა ეს კაცები, რამდენადაც მათ შეიქმნეს დრო."¹²²

რახან ისტორიული დრამის ფილოსოფიური განმარტება საჭიროებდა რეალობის ცნებას, ანუ ცნებას, რომელიც განმარტავდა, თუ რა არის რეალობა, ჰეგელი ისტორიის რეალობას უთანაბრებს, ხოლო გათვალისწინებით იმისა, რომ ისტორია პროცესია, ასევე რეალობასაც პროცესად აღიქვამს. რეალობის, როგორც პროცესის ცნება შეიცავს იმ თეზისს, რომ გამოცდილება არ შეიძლება საკუთარ თავში ჩაიკეტოს. რეალობის, ანუ ისტორიის მომენტის დაშვებისას, ასევე ვუშვებთ სხვას, როგორც მასთან დაპირისპირებულს, რაც აყალიბებს დიალექტიკურ პროცესს - ანუ თეზისის, ანტითეზისის და სინთეზის მომენტებს.¹²³ ამ იდეებს იყენებს რა მარქსი, ასკვნის, რომ ისტორია არის შედეგი მატერიალური ყოფისა, და არა იდეათა ბრძოლისა. მარქსი ისტორიის განიხილავს, როგორც ადამიანურ მოთხოვნილებათა ასპარეზს, და, მამასადამე, როგორც "მუშებისა" და "პატრონების" ორ კლასს შორის ბრძოლის

¹²¹ სანიკიძე, გიორგი, კიურაძე, ნინო : თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები (მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია), ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", თბილისი, 2001 : 152. ეკონომიკის გლობალიზაციაზე უკეთ იხ. იგივე - გვ.148-160.

¹²² ჰეგელი, გ.ვ.ფ. : გონის ფილოსოფია, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, თბილისი, 1984 : 28-29.

¹²³ ფილოსოფიის ისტორია, თავი მეორე - გეორგ ჰეგელის ფილოსოფია, წიგნი II. თბილისი, 2008. ჰეგელის დამოკიდებულება ისტორიაზე გადმოცემულია მის ლექციათა ციკლში "ისტორიის ფილოსოფია".

(თეზისისა და ანტითეზისის დიალექტიკური დაპირისპირება) ასპარეზს. ისტორია მხოლოდ ეკონომიკურ ინტერესთა ბრძოლაა. (ისტორიული მატერიალიზმი).¹²⁴

დღევანდელი ეკონომიკის გლობალიზაცია, რომელიც იწვევს სახელმწიფოთა კაპიტალის გადანაცვლებას კერძო აქტორთა საკუთრებაში, მულტინაციონალური კომპანიების დომინირებას ეროვნულ სახელმწიფოზე, კაპიტალის არაპროპორციულ ზრდას უმსხვილესი კომპანიებისათვის, ხოლო ღარიბი სახელმწიფოების უფრო გაღარიბებას წარმოადგენს ე.წ. "კლასთა ბრძოლას", სადაც ერთმანეთს უპირისპირდება მულტინაციონალურ კომპანიათა გაერთიანება, სისტემა, რომლისთვისაც ფული სახმარი ღირებულების ნაცვლად წარმოადგენს ფეტიშის საგანს, და ინდივიდი, მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოების წევრი, რომელიც დერეგულიციური პოლიტიკის გამო, განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ იაფ მუშახელს.¹²⁵

"საზოგადოებრივი პროცესის უშუალო რეგულირების არარსებობას გარდაუვლად მივყავართ მდგომარეობამდე, რომელშიც მას არეგულირებს ბაზარი, შრომის პროდუქტები და საგნები. აქედან გამომდინარე, წარმოებითი ურთიერთობების გასაგნება არამხოლოდ "მისტიფიკაცია" ან ილუზიაა, არამედ თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის ერთ-ერთი თავისებურებაა."¹²⁶

ინდივიდუალური და ინსტიტუციური გაუცხოების საფრთხე, რაშიც იგულისხმება დაპირისპირებანი ინდივიდუალურ უფლებებსა და რეჟიმების კომუნიკაციურ პროცესთა შორის, რომლებიც შეიძლება იყვნენ ანონიმური და საჭიროებდნენ ამოცნობას¹²⁷, როგორც ამას აკეთებს მიშელ ფუკო, რომელიც ერთი შეხედვით "კარგ" ინსტიტუციებს, მაგალითად, სკოლებს, სამედიცინო დაწესებულებებსა და ყაზარმებს რეპრესიული და მჩაგვრელი შინაგანი ბუნებით უთანაბრებს ციხეებს, სადაც ზედამხედველობის, დისციპლინისა და დასჯის "ბუნებრივი" ელემენტები წარმართავს პროცესებს¹²⁸, მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით, მომდინარეობს ეკონომიკის ქვესისტემიდან, რომლის ზედნაშენიც არის იდეოლოგიური და პოლიტიკური

¹²⁴ იქვე, ნაწილი მეოთხე, თავი მესამე - მარქსი. ისტორიის მატერიალისტური გაგების შესახებ ვრცლად იხ. მარქსი. კ. ენგელსი. ფ. : რჩეული ნაწერები, ტ.1, თბილისი, 1975 : 624-625. აღსანიშნავია, რომ მარქსი საზოგადოებას წარმოადგენს, როგორც სისტემას, ხოლო საზოგადოებრივ ფორმაციას - სოციალურ სისტემას, რომელსაც საფუძველში აქვს მატერიალური დოვლათის წარმოების წესი, ანუ ეკონომიკური ქვესისტემა.

¹²⁵ კონკრეტული მაგალითებია : Adidas-ის დადანაშაულება ჩინეთში, სპორტული ბურთების დასამზადებლად იძულებითი შრომის გამოყენების გამო, ბანანის პლანტაციებში მძიმედ მომწამვლელი პესტიციდების გამოყენება, ვარემოს დაბინძურება და ადგილობრივ მოსახლეობათა ჯგუფებისადმი არაადამიანური მოპყრობა კორპორაცია Schell-ის მხრიდან ნიგერიაში.

¹²⁶ Rubin I.I. : Essays on Marx's Theory of Value, 1923.

¹²⁷ ტობინერი, გიუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართლუს ჟურნალი N2,2017 : 368.

¹²⁸ ძალაუფლების ფუნქციონირების შესახებ იხ. ფუკო, მიშელ : "პანოპტიკონი", EMC-ის სამოქალაქო აქტივიზმის პლატფორმა, 2013. ასევე, Foucault, Michel: "Discipline & Punish. The Birth of The Prison, A Division Of Random House, INC. New York, 1995.

განზომილებანი. თუმცა, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, სხვა ქვესისტემების მნიშვნელობის მხოლოდ ეკონომიკით განპირობებულობა, არ იქნება მართებული¹²⁹; ვერ უარვყოფთ სხვა სოციალურ რეჟიმთა მიერ წარმართული პროცესების გავლენას მთლიან სისტემაზე. შესაბამისად, მეცნიერების, ტექნოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სხვა მრავალი ძალაუფლების განმპირობებელი თუ შემქმნელი მოცემულობის დაკნინებით გავგიჭირდება რეალური სურათის დანახვა.

5.2. ადამიანის უფლებათა ჰორიზონტალური ეფექტი

ადამიანის უფლებათა ჰორიზონტალური ეფექტი მსო-ში მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმის გამო, რომ სავაჭრო ურთიერთობები არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი ძირითადი უფლების - ეკონომიკური თავისუფლების გამოვლინებას. სავაჭრო ურთიერთობების მთავარი მონაწილეები, სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც კერძო აქტორების მოთხოვნათა განმცხადებლები უფრო არიან, ვიდრე თავისთავადი მნიშვნელობის სუბიექტები, კერძო კომპანიებიცაა,¹³⁰ რომელთა ორგანიზაციულობის დონე, კაპიტალის რაოდენობა და ავტორიტეტი არანაკლებია ეროვნულ სახელმწიფოს იდენტურ მახასიათებლებზე. კერძო კომპანიები მსო-ს სამართლებრივ ბაზას იყენებენ თავიანთი კომერციული მიზნების დასაკმაყოფილებლად, რაც წარმოშობს მრავალ პრობლემას ადამიანის უფლებებთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ მსო გაცხადებულ დონეზე უარყოფს მისი ძირითადი უფლებებით შებოჭვის შესაძლებლობას, რადგან ინდივიდები არ არიან განხილული, როგორც ორგანიზაციის წევრები ან იმ უფლებით აღჭურვილი სუბიექტები, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას, მოითხოვონ დავის განხილვა და წარმოადგენდნენ მხარეებს, მის მიმართ მაინც მოქმედებს ჰორიზონტალური ეფექტი, რადგან მსო-ს სახელმწიფოებო წესები თუ სხვა გადაწყვეტილებანი, რიგ შემთხვევებში პირდაპირი, ხოლო ზოგჯერ არაპირდაპირი, არასახარბიელო შედეგის მომტანია ინდივიდებისათვის, მთლიან სავაჭრო სისტემაზე აპელირების გარეშე.

აღნიშნულის ნათელი დასტურია შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა შესახებ (შემდგომში - TRIPS), რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან. კონკრეტულად, იგი ეწინააღმდეგებოდა უფლებას მედიკამენტების ხელმისაწვდომობაზე.

¹²⁹ ეკონომიკური ქვესისტემის ისეთი სისტემური მოწყობაც კი - როგორცაა კაპიტალიზმი, შეიძლება იყოს "უცხო", "არაეკონომიკური" იდეათა განვითარების შედეგი; მაგალითად, მაქს ვებერი კაპიტალიზმის ჩამოყალიბებას უკავშირებდა არა ეკონომიკის შინაგან ძვრებს, არამედ პროტესტანტიზმს, კერძოდ კალვინისტურ მისწრაფებას გადარჩენის შესახებ, რამაც განაპირობა შრომის პრიმატის, როგორც სრული გადარჩენის შესაძლებლობის უპირობო ელემენტის დამკვიდრება. აღნიშნულის შესახებ ვრცლად იხ. ვებერი, მაქს: "პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება", თბილისი, 2004.

¹³⁰ ვრცლად საჯარო-კერძო ურთიერთმიმართებების შესახებ მსო-ში იხ. Shafter, Gregory C.: Defending Interests. Public-Private Partnerships In WTO Litigation, Brookings Institution Press, 2003 : 1-18.

TRIPS-ის მე-2 ნაწილის მე-5 ნაკვეთით რეგულირდება პატენტთან დაკავშირებული წესები. დოჰას მოლაპარაკებათა რაუნდამდე, რომელიც გაიმართა 2001 წელს, პატენტის მფლობელის უფლება აღიქმებოდა შემდეგნაირად, ნებისმიერი გამონაკლისისა თუ ქვეყნის საჭიროების გათვალისწინების გარეშე : " როდესაც პატენტის საგანს წარმოადგენს პროდუქტი, აუკრძალოს მესამე პირებს მისი მფლობელის თანხმობის გარეშე დაამზადოს, გამოიყენოს, შესთავაზოს გასაყიდად, გაყიდოს ეს პროდუქტი, ან მოახდინოს მისი იმპორტირება ამ მიზნით".¹³¹ იგი აწესებდა ისეთ მოცემულობას ღარიბი სახელმწიფოებისათვის, სადაც მათ, გათვალისწინებით მათი ფინანსური აქტივებისა, არ შეეძლოთ პატენტით ნაწარმოები ორიგინალი მედიკამენტების შექმნა, ხოლო გენერიკული მედიკამენტების, რომლებიც შედარებით იაფი ღირდა, შექმნა ეკრძალებოდათ. ამკრძალავი პერიოდი მოიცავდა 20 წელს. შესაბამისი ამკრძალავი წესების გამო ღარიბ ქვეყნებში შეიქმნა დეფიციტი მედიკამენტებისა, რომლებიც საჭირო იყო ისეთი დაავადებების სამართავად, როგორებიცაა ტუბერკულოზი, მალარია და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი/შიდსი. დოჰას მოლაპარაკებათა რაუნდის შედეგად გათვალისწინებულ იქნა შესაძლებლობა, რომ ეროვნული აუცილებლობისას, ექსტრემალური გარემოებების წარმოშობის გამო, სახელმწიფოს მიერ არაკომერციული დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია უფლების მქონე პირის ნებართვის გარეშე პატენტის სახის გამოყენება. მიუხედავად ამისა, ღარიბ სახელმწიფოებს მაინც ექმნებათ პრობლემები ძვირადღირებული მედიკამენტების პატენტის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირი ეფექტის სახით გავლენას ახდენს მათ მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე.¹³²

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია ძირითადი უფლებების აღიარება სამართლის სისტემის მიმართ, რომ მათ გააჩნდეთ პირდაპირი მოქმედების ეფექტი, როგორც სახელმწიფოს მოქმედებებზე, ისე კერძო აქტორებისა თუ კერძო-საჯარო ორგანიზაციების ინტერაქციებზე, რათა შემცირებულ იქნას მათი შელახვის შესაძლებლობები.

5.3. ტრანსნაციონალურ რეჟიმთა კოლიზია

"საზოგადოების თითოეული ავტონომიური ფუნქციონალური ქვესისტემა უსხლტება თავის ტერიტორიულ მიწებს და ახდენს საკუთარი თავის გლობალურად კონსტრუირებას"¹³³ - ამ წინადადებით შეიძლება აიხსნას მთელი თეორია

¹³¹ შეთხზება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა შესახებ - ნაკვეთი 5, მუხლი 28(1-ა). ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2507839?publication=0>.

¹³² TRIPS-ით დაწესებული შეზღუდვების გავლენაზე უფრო ვრცლად იხ. Mayne, Ruth and Bailey, Michael : "TRIPS and Public Health, The Next Battle", Oxfam International, 2002. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <https://oxfamlibrary.openrepository.com/bitstream/handle/10546/115047/bp15-trips-public-health-010302-en.pdf;jsessionid=864ADDED856B90930FEC822434A2B335?sequence=1>.

¹³³ ტობინერი, გიუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართლუს ჟურნალი N2,2017 : 362.

ტრანსნაციონალურ რეჟიმთა ფუნქციონალური ავტონომიურობის შესახებ. იმის შემდგომ, რაც ისინი საკუთარ თავს განამტკიცებენ, როგორც გარკვეული ფუნქციის მატარებელ რეჟიმს, უვითარდებათ ექსპანსიური მიზნები, რომელთაც წარმართავენ სხვა ფუნქციის მატარებელ სოციალურ რეჟიმებთან დაპირისპირებით.¹³⁴ აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ მსოფლიო ეკონომიკისა და მსოფლიო სპორტის მაგალითი - მათი ურთიერთკავშირი განპირობებულია პირველის დომინირებით მეორეზე, ანუ ის ფუნქციონალური მახასიათებლები, რომლებიც "ბუნებითა" ეკონომიკისთვის და მასში მოიაზრება კაპიტალის დაგროვება, საქონლის გაცვლა, მოგებაზე ორიენტირებულობა გადაქცეულია მსოფლიო სპორტის მამოძრავებელ ძალებად (ფეხბურთელების ასტრონომიული ფასები, სპორტსმენთა ხელფასები, პრაგმატული სპორტის დომინირება შემოქმედებითზე და სხვა მრავალი). იგივე ითქმის მსოფლიო ტექნოლოგიაზე, რომელიც ზღუდავს ინდივიდთა თავისუფლებას და აკეთებს ამას ტოტალურად. იგი საკუთარ ძირითად ფუნქციას, რაც გულისხმობს ტექნოლოგიური მიღწევების შედეგად უკეთესი კომუნიკაციის, ინფორმაციის გაცვლისა და მიღების სისტემის ჩამოყალიბებას, უმატებს ადამიანთა კონტროლისა და მათზე ინფორმაციის შეგროვების "ხელოვნურ", პოლიტიკურ ფუნქციებს.¹³⁵

ვფიქრობ, მსო-ს ფუნქციონირებას კონკრეტულ მომენტებში ასახავს რეჟიმთა დაპირისპირებას. კონკრეტულ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ პანელის გადანწყვეტილება საქმეზე - "tuna-dolphin",¹³⁶ სადაც დავის საგანს წარმოადგენდა მექსიკის მიერ ყვითელი თინუსის რენვა, რომელიც გადიოდა ექსპორტზე და რომლის დაჭერის დროსაც ბადეში ხშირად ეხვეოდა დელფინები. ამის გამო აშშ-მა გადაშენების პირას მყოფი სახეობების შესახებ კანონით აკრძალა თევზის რენვისთვის ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც საფრთხეში აგდებდა დელფინების სიცოცხლეს. შესაბამისად, ამ კანონის დარღვევით წარმოებულ პროდუქტზე დადებულ იქნა ემბარგო. 1991 წელს მექსიკამ საკითხის გადასაწყვეტად მიმართა პანელს, რომელმაც დაადგინა, რომ GATT-ის ნორმების შესაბამისად, ქვეყანას არ შეუძლია საკუთარი შიდა კანონმდებლობის აღსრულების მიზნით დაანესოს ვაჭრობაზე გარკვეული შეზღუდვები, მიუხედავად იმისა, საქმე ეხება თუ არა ამონურვადი

¹³⁴ ქვესისტემის დომინირების საუკეთესო მაგალითია საბჭოთა კავშირში პოლიტიკის ქვესისტემის ექსპანსიური ხასიათი სხვა ყველა რეჟიმთა მიმართ. ცნობილი ფაქტია, რომ ხელოვნება, სპორტი, ეკონომიკა, მეცნიერება და ა.შ. პოლიტიკით იყო განპირობებული.

¹³⁵ აღნიშნულის ნათელი მაგალითია Cambridge Analytica Data Scandal - "ფეისბუქის სკანდალი", რომლითაც საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ ფეისბუქი მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად აგროვებს და ინახავს მათზე ინფორმაციას, აქვს წვდომა მათ ვებ-ისტორიაზე და არ გააჩნია ზუსტი მექანიზმი მისი განადგურებისა. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ვებ-გვერდი - <https://static1.squarespace.com/static/56215673e4b08ff533e23bf1/t/5ae021122b6a283777f8cc9a/1524674903515/Facebook+-+Cambridge+Analytica+Scandal+-+A+Technological+Approach.pdf>.

¹³⁶ US - Restitctions on Imports of Tuna, (DS21/R - 39S/155).

რესურსების დაცვას.¹³⁷

პანელის კონკრეტული გადანაცვებები არის უფრო მეტი, ვიდრე ერთი დავის ფარგლებში გამოტანილი "მსჯავრი" გარემოს წინააღმდეგ. იგი სისტემურობის განმსაზღვრელია. იმ ტენდენციური მოქმედებების ილუსტრაციაა, რომელთაც განაპირობებს დომინანტი სოციალური რეჟიმის მოქმედებანი.

5.4. ექსპანსიის საწინააღმდეგო ძალები - ლოკალური საპროტესტო მოძრაობები

რეჟიმთა ექსპანსიურობის საწინააღმდეგო ძალად ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რახან თავად რეჟიმები გლობალური ბუნებისანი არიან, გააჩნია გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური დინამიკისადმი შეიძლება საკუთარი დინამიკის დაპირისპირებას.¹³⁸ აღნიშნული ილუსტრაციაა ნაშრომის მეორე თავში განხილული საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმისა. ლოკალური საპროტესტო მოძრაობები, გათვალისწინებით მათ მიერ მიღწეული წარმატებისა, შეიძლება აღმოჩნდნენ დემოკრატიული პოტენციალის რეალურად განმახორციელებელნი. მაგალითად, "უოლ-სტრიტის ოკუპაცია" (OWS), "არაბული გაზაფხული" (Arab Spring), სიეტლის პროტესტი (Seattle WTO Protests - პროტესტი ეკონომიკური გლობალიზაციის წინააღმდეგ), ანტიმილიტარისტული მოძრაობები - არიან საპროტესტო მუხტის მატარებელი ერთობები, რომლებმაც გაიარეს გზა ლოკალური დემონსტრაციებიდან ტრანსნაციონალურ კოლექტიურ მოქმედებებამდე. თუმცა, მიუხედავად გარკვეული პოზიტიური შედეგების დადგომისა, პოლიტიკური გადანაცვებების მიღებისა ტრანსნაციონალური კომპანიებისა თუ სახელმწიფოს გაუზრებელი ქმედებების წინააღმდეგ, საპროტესტო მოძრაობებს, განსხვავებით გლობალური არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, (მაგ. Amnesty International, Wild4Life), არ გააჩნიათ ბიუროკრატიული ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელი კოორდინირების სტრუქტურა, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია უშუალოდ კომუნიკაციის პროცესის წარმართვაში. ანუ, საპროტესტო მოძრაობებს აკლიათ ორგანიზაციული სტრუქტურა, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებს - სოციალური მუხტი.¹³⁹ შესაბამისად, საჭიროა ორივე თვისების - როგორც ფორმალური ორგანიზაციულობის, ისე

¹³⁷ ფარსადანიშვილი, ნინო : საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2015 : 87-88. ავტორი ასკვნის, რომ დავების განხილველი ორგანო მსო-ს ფარგლებში არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმებს გარემოს დაცვის შესახებ ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებს, რომ უფრო მეტად იცავს ეკონომიკას, ვიდრე ეკოსისტემას.

¹³⁸ ნაშრომის კონკრეტულ თავში გამოთქმული მოსაზრებანი ეფუძნება სტატის : ტოიბნერი, გიუნთერ : "გლობალური კერძო რეჟიმები : ნეოსპონტანური სამართალი და ავტონომიურ სექტორთა დუალისტური კონსტიტუცია?", სამართლის ჟურნალი N2, 2016.

¹³⁹ ტოიბნერის აზრით " ფორმალური ორგანიზაცია ვერ იქნება მიჩნეული იმ სოციალური დინამიკის ჩამნაცვლებლად, რომელიც შეიძლება შეედაროს გლობალიზებულ ბაზრებსა თუ პოლიტიკას"

სოციალური დინამიკის წარმოების არსებობა, რათა გლობალურმა სამოქალაქო საზოგადოებამ უკეთ წარმართოს პროტესტით ნასაზრდოები კომუნიკაცია, რაც წინაპირობაა დადებითი შედეგების მიღწევისა.

5.5. გარეგანი კონსტიტუციური შებოჭვა : ნორმა-პრინციპების დაფუძნება თუ უფრო ღრმა პრობლემა?

ერთი შეხედვით, მარტივია იმ პრობლემის გადაწყვეტა, რომელსაც ვაწყდებით მსო-ში წარმართული ხარვეზული პროცესებით. კონსტიტუციური ნორმა-პრინციპების დოკუმენტირება, რაც გაცხადებულად იქნება აღიარებული, როგორც მოქმედი სამართალი ორგანიზაციის შიგნით და მოქმედების პირდაპირი ეფექტით აღჭურვილი ორგანიზაციის გარეთ, კარგ ვარიანტად მოჩანს. თუმცა, მიუხედავად უნიფიცირებული სისტემის მიმზიდველობისა, კომუნიკაციურ პროცესთა სამართლით მოთვინიერება, გათვალისწინებით იმისა, რომ მათი მოქმედება დღეისობით არაბუნებრივი და საშიშაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ფული ეკონომიკურ სისტემაში, ძალაუფლება პოლიტიკის სისტემასა და მის ადმინისტრაციულ აპარატში, საფრთხეს უქმნის იმ სისტემის არსებობას, რომლის პირველადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტიც ადამიანია, ან უტოპიაა, ან ძნელად მისაღწევი მიზანი. უნიფიცირებული სამართლის სისტემის ალტერნატივა შეიძლება იყოს ავტონომიურ გლობალურ ქვესისტემათა პლურალიზმი, ანუ ავტონომიური სოციალური სფეროებისა და მათი შესაბამისი ფორმალური ორგანიზაციების კომბინირება (საპროტესტი მოძრაობები +არასამთავრობო ორგანიზაციები).¹⁴⁰

მართლაც, ნაციონალური სამართლის მზლუდავი ნორმების გვერდით ტრანსნაციონალური კომპანიების მონინალმდევე ძალად ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი ელემენტები - მედია, საჯარო დებატები, პროფესიული კავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სპონტანური პროტესტები, ინტელექტუალთა მოსაზრებები, რომლებიც მაქსიმალური ზენოლით იძულებულს ხდიან მათ, დაიდგინონ საჯარო ინტერესზე ორიენტირებული საკუთარი თავის მზლუდავი ნორმები¹⁴¹. უფრო კონკრეტულად, პრობლემათა შემცირების შესაძლო გზებზე, საუბარი გვექნება თემის განხილვის შემდგომ ეტაპზე.

¹⁴⁰ კომუნიკაციური პროცესების სამართლით შებოჭვის იდეას აკრიტიკებს ტოიბნერი, რომელიც მეტაფიზიკური შემეცნებით ადამიანის სხეულისა და სულის მთლიანობის პრობლემატიკამდე მიდის და კომუნიკაციური არაპუმანურობის დამძლევ პროცესად ირიტაციისა და რეკონსტრუქციის ქმედებები მიაჩნია. იდეები გადმოცემულია ნაშრომში : "ფრამენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა", სამართლუს ჟურნალი N2,2017 : 372-274.

¹⁴¹ Teubner, Gunther : "Transnational Economic Constitutionalism in the Varieties of Capitalism", The Italian Law Journal, Vol.01, N.02 : 248.

თავი VI : მსოფლიო საზოგადოების ავტონომიურ სექტორთა კონსტიტუციონალიზაციის სამომავლო პერსპექტივები

მსოფლიო საზოგადოების ავტონომიურ სექტორთა კონსტიტუციონალიზაციის სამომავლო პერსპექტივების დასადგენად უნდა გავაანალიზოთ ორი ურთიერთსაინანაღმდეგო მოსაზრება.¹⁴² პირველის თანახმად, რომელსაც მხარს უჭერს იურგენ ჰაბერმასი, უნდა შეიქმნას "პოლიტიკური კონსტიტუცია" მსოფლიო საზოგადოებისთვის, რომელიც, მართალია, აღიარებს, სუვერენულ სახელმწიფოთა უფლებებს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შეზღუდავს მათ ხარვეზულ გამოვლინებას.¹⁴³ ხოლო მეორე მოსაზრების თანახმად, რომლის ავტორიცაა გიუნთერ ტოიბნერი, უნიფიცირებული სამართლებრივი სისტემის შექმნა არარეალისტურია, გათვალისწინებით იმისა, რომ იგი კვლავ ცენტრირებულია სახელმწიფოზე, როგორც პროცესების განმსაზღვრელ მთავარ სუბიექტზე, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ იმპულსის მიმცემია საზოგადოებრივი კონსტიტუციებისათვის.¹⁴⁴

6.1. უნიფიცირებული კონსტიტუციური წესრიგი მსოფლიო საზოგადოებისათვის

მსოფლიო საზოგადოების კონსტიტუციური მოწყობა, ჰაბერმასის აზრით, უნდა დაეფუძნოს თანამშრომლობისა და თანაარსებობის მოტივებს, რომლითაც განისაზღვრება დამოკიდებულება ნაციონალურ მთავრობებსა და რეგიონალურ ან კონტინენტურ მმართველობებს შორის. მრავალდონიან გლობალურ სისტემაში,

¹⁴² ჰაბერმასი ამოდის კანტის იდეიდან კოსმოპოლიტური წესრიგის დაფუძნების შესახებ, სადაც აღამიანები აღიქმებიან, როგორც "მსოფლიო მოქალაქეები". საინტერესოა იდეოლოგიური სხვაობა მასსა და ლუმანს შორის: ლუმანის თანახმად, საზოგადოება ფუნქციონალურად დიფერენცირებული სისტემაა, რომლის ქვესისტემებიც ერთმანეთისა და მთელი სისტემის მიმართ ინარჩუნებენ ავტონომიურობას, შესაბამისად ყოველი სისტემა თვითქმნადი და თვითკმარია; მთავარი განმსაზღვრელი დიფერენციაციაა და არა ინტეგრაცია, ხოლო ჰაბერმასისთვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობაა მთავარი მოცემულობა - მისთვის სოციალური სისტემა ინტეგრირებული ორგანიზმია, რომელიც ნორმატიული ღირებულებითაა გაერთიანებული. ჰაბერმასისა და ტოიბნერის ხედვების სხვადასხვაობა უმეტესად განპირობებულია იმით, რომ ტოიბნერი იზიარებს ლუმანის მოსაზრებას სოციალური სისტემის "ერთიანობის" შეუძლებლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით იხ. Kjaer, Poul: "Systems in Context on the Outcome of the Habermas/Luhmann - debate", *Ancilla Iuris Yearbook*, 2006: 66-77.

2006. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.anci.ch/articles/ancilla2006_66_kjaer.pdf. ასევე იხ. ბრეგვაძე, ლაშა: "აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია: სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში", *თბილისი*, 2016: 137-143.

¹⁴³ კონკრეტულ თავში წარმოდგენილი ჰაბერმასის იდეები ეფუძნება სტატიას - Habermas, Jürgen: "The Constitutionalization of International Law and the Legitimation Problems of a Constitution for World Society", *Constellations*, An international Journal Of Critical And Democratic Theory, Vol.15, N.4, 2008: 444-455.

¹⁴⁴ Teubner, Gunther: *Constitutional Fragments: Societal Constitutionalism and Globalisation*, Oxford University Press, 2012: 45-49.

სახელმწიფოს ისეთი კლასიკური ფუნქციები, როგორებიცაა უსაფრთხოების, სამართლისა და თავისუფლების დაცვა გადაინაცვლებს სუპრანაციონალურ დონეზე - მოექცევა სუპრანაციონალური გაერთიანების ქვეშ (მაგალითის სახით, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ევროპის კავშირი), სადაც, წევრი-სახელმწიფოები, განურჩევლად მათი სიძლიერისა, იქნებიან თანაბარი უფლებებით აღჭურვილი სუბიექტები და იზრუნებენ მშვიდობის განმტკიცებასა და ადამიანის უფლებათა იგივეობრივ განმარტებასა და დაცვაზე. თუმცა, მიუხედავად ორგანიზაციული თუ სამართლებრივი სიძლიერისა, ფუნქციონალური სისტემების შიდა ლოგიკაზე გავლენა, სისტემამ უნდა იქონიოს ე.წ. "ტრანსნაციონალური მოლაპარაკებათა" გზით, გლობალური აქტორების ერთმანეთთან კომუნიკაციით, რა დროსაც უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფოს შიდა საკითხები, იქნება ეს კულტურული, რელიგიური თუ სხვა; სწორი კომუნიკაციური მოქმედებებით - ინფორმაციის გაცვლით, მოლაპარაკებებით წარმართვით, კონტროლისა და ბალანსისა გამართული სისტემის დაფუძნებით, შეიქმნება ფუნქციათა სწორად გადანაწილების მექანიზმი, რაც საზოგადოების ინტეგრაციის საფუძველია. შესაბამისად, ერთი მხრივ, ძალაუფლების მქონე ორგანიზაციის დაფუძნება, სადაც წევრი-სახელმწიფოები აღჭურვილი იქნებიან თანაბარი უფლებებით, რომლის აღიარებული კონსტიტუციური პრინციპები იქნება მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნება, კონფლიქტების მოგვარება მოლაპარაკებათა გზითა და ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა ხოლო, მეორე მხრივ, სწორი კომუნიკაციური მოქმედებების წარმართვა ინსტიტუციონალიზებულ რეჟიმებს შორის, შესაძლებელს გახდის ისეთი კონსტიტუციური წესრიგის დაფუძნებას, რომელიც გააერთიანებს მსოფლიო საზოგადოებას მშვიდობისა და კეთილდღეობის მიზნების გარშემო.¹⁴⁵

6.2. ავტონომიური კონსტიტუციური წესრიგი მსოფლიო საზოგადოებისთვის

საზოგადოების ავტონომიურ სექტორთა კონსტიტუციონალიზაციის, როგორც დიფერენცირებული ერთობების ავტონომიური იურიდიული კაცის. ან თავისთავადი დაწყვილების სამართლისა და სხვა ქვესისტემათა შორის, იდეას გვთავაზობს გიუნთერ ტოიბნერი. იგი საკუთარ მოსაზრებას, თვითორგანიზებული და თვითრეგულირებული სამართლებრივი წესრიგის არსებობის თაობაზე, აყალიბებს ორი თეორიის - "კონვერგენციის თეზისის" და "ფუნქციონალური ექვივალენტის" იდეის კრიტიკით;

"კონვერგენციის თეზისის" თანახმად, ინტერნაციონალიზაციის, ევროპეიზაციისა და გლობალიზაციის პროცესში ინდუსტრიულ სახელმწიფოთა ერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები ჩამოყალიბდება, შესაბამისად,

¹⁴⁵ Habermas, Jürgen : " The Constitutionalization of International Law and the Legitimation Problems of a Constitution for World Society", Constellations , An international Journal Of Critical And Democratic Theory, Vol.15, N.4, 2008 : 444-455.

სამართლის უნიფიკაცია აღნიშნული მახასიათებლების თანხვედრის პროცესში მიზანშეწონილია, ხოლო "ფუნქციონალური ექვივალენტის" იდეის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ინდუსტრიულ სახელმწიფოებს აქვთ განსხვავებული დოქტრინალური გამოცდილება და ნაციონალური მართლმწიფოების ითვალისწინებს ლოკალურ სოციო-კულტურული სამართლებრივი ნორმების არსებობას, ეს სახელმწიფოები და, შესაბამისად, მართლმწიფოები, დგანან ერთი და იმავე სტრუქტურული პრობლემების წინაშე. მსგავს პრობლემებს კი ისინი სხვადასხვა დოქტრინალური მექანიზმებით გადაჭრიან, რომლებიც წარმოადგენენ ფუნქციონალურ ექვივალენტებს იდენტური პრობლემების მოსაგვარებლად, ხოლო იმავე პრობლემებთან ბრძოლის პროცესი ერთსახოვანი სტრუქტურული მახასიათებლების ჩამოყალიბების წინა მოცემულობაა.¹⁴⁶

ტობინერი უარყოფს რა ორივე მათგანს, აღნიშნავს: "ექვემოთ ვაყენებ მოცემულ ვარაუდებს, რამეთუ ისინი არ ითვალისწინებენ სოციალურ მეცნიერებებში მიმდინარე დებატებს გლობალიზაციის შესახებ, რომელთა მეშვეობითაც დასტურდება, რომ სწორედ ორივე მოსაზრების საპირისპირო რამ ხდება. ამ უკულებელყოფილი დებატებიდან ჩანს, რომ გლობალიზაციისკენ მიმართული თანამედროვე ტენდენციები სულაც არ იწვევენ სოციალურ წესრიგთა თანხვედრას და სამართლის უნიფიკაციას. ნაცვლად ამისა, ახალი განსხვავებანი იწარმოება სწორედ გლობალიზაციის მიერ. ამ ტენდენციას შედეგად მოყვება მსოფლიო საზოგადოების ორმაგი ფრაგმენტირება ფუნქციონალურად დიფერენცირებულ გლობალურ სექტორებად და გლობალური კულტურების სიმრავლედ. კიდევ უფრო უარეს - შემდგომი შედეგია მოსახლეობის მთელი სეგმენტების ახალი გამოთიშვა მოდერნიზაციის პროცესებისგან. შესაბამისად, გლობალიზებული საზოგადოების სხვადასხვა სექტორი არ უპირისპირდება ერთსა და იმავე პრობლემებს, რაც მათი სამართლით უნდა მოგვარდეს, არამედ სრულიად განსხვავებულ პრობლემებს. შედეგია არა უნიფიცირებული, არამედ უფრო მეტად ფრაგმენტირებული სამართალი, როგორც თანამდევნი გლობალიზაციის პროცესებისა."¹⁴⁷

განსხვავებით სამართლის უნიფიკაციის იდეისგან, ტობინერის ნაზრევი არ გამოირჩევა კონკრეტულობით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თუ ქვესისტემათა ავტონომიურობის ტენდენციებს აღიარებ და მათზე აგებ მთელს იდეურ თეზისებს, ძნელია პრობლემათა გადაჭრის კონკრეტული გზის ჩვენება, გათვალისწინებით იმისა, რომ თავად ქვესისტემებიც არ ექცევიან მოვლენათა განვითარების მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში. მიუხედავად ბუნდოვანებისა, ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს წინა თავში განხილული სპონტანური და ორგანიზაციული შეკავშირება,

¹⁴⁶ ბრეგვაძე, ლაშა : აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია : სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში, თბილისი, 2016 :138.

¹⁴⁷ იქვე. გვ.138-139. თარგმანი შესრულებულია ნაშრომიდან : Teubner, Gunther : „Legal Irritants: Good Faith in British Law or How Unifying Law Ends up in New Divergences“, The Modern Law Review, Vol.61, 1998: 11-32, 13.

უფრო უკეთ : "გლობალიზაცია, როგორც შესაძლებლობა, უნდა ნიშნავდეს საზოგადოების ავტონომიური სექტორების "გლობალური სოფლებისთვის" კონსტიტუციითა ინსტიტუციონალიზებას, პოლიტიკისა და ეკონომიკისგან შედარებით დისტანციაში. ავტონომიურ სექტორებში ყალიბდება ნორმათა წარმოების პროცესების რეპოლიტიზაციის, რეგეგიონალიზაციისა და რეინდივიდუალიზაციის პოტენციალი. და გლობალური სამართლის მთავარი ყურადღება, ამ შემთხვევაში, უნდა მიექცეს ქვესისტემებში სოციალური ავტონომიის დუალიზმის გამყარებას, ანუ სპონტანური და ორგანიზებული სექტორების ორმხრივი კონტროლის დინამიკას."¹⁴⁸

6.3. გამოცდილებიდან განპირობებული დასკვნა

ვფიქრობ, მსოფლიო საზოგადოების ავტონომიურ სექტორთა კონსტიტუციონალიზაცია მომავალში, ანუ უფრო მეტი გლობალიზაციის პირობებში, ტოიბნერისეული ხედვების თანხვედრაში უფრო წარიმართება, ვიდრე ჰაბერმასის. ამას მაფიქრებინებს რამდენიმე მოცემულობა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია წარსული გამოცდილება და გლობალიზებული ავტონომიური სექტორების დღევანდელი ყოფა.

მართალია, ჰაბერმასი იბრძვის უკეთესი მსოფლიოსთვის, რომლისთვისაც ასევე იბრძოდა კანტი და ,გარკვეულწილად, მისი იდეების რეალურ ცხოვრებაში გატარებად უნდა მივიჩნიოთ ევროპის კავშირის, როგორც ევროპის საზოგადოების გაერთიანების, არსებობა, თუმცა, ვფიქრობ, ყოველივე ეს უფრო მეტად მცდელობაა საერთაშორისო სამართლის "გაჯანსაღების", ვიდრე ახალი სამართლებრივი წესრიგის დაფუძნებისა.¹⁴⁹ გაეროს, ეუთოს, დიდი რვიანის, აფრიკის ერთობის ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიზნები, მოყოლებული მათი არსებობის პირველი წლებიდან დღემდე, განიცდის ფრუსტრაციას, რაც გამოწვეულია მათი არასათანადო ფუნქციონირებით, იმ პრობლემების მოუგვარებლობითა, და გარკვეულ საკითხებში, კიდევ უფრო გაღრმავებით, რომელთა აღმოსაფხვრელადაც ისინი არიან შექმნილი. დღევანდელი მსოფლიოსთვის ისევ აქტუალურია თემები, რომლებიც მე-20 საუკუნის დასაწყისსა თუ შუა პერიოდში გაცხადებულად იქნა წარმოჩენილი, როგორც საერთაშორისო სამართლის მიერ მოგვარებადი; ომები, სამხედრო ინტერვენციები, ეკონომიკური უთანასწორობები, პოლიტიკური კრიზისები, ეკოლოგიური პრობლემები და სხვა დამაზარალებელი პროცესები, მიუხედავად მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და უნიფიცირებული სამართლებრივი სისტემების

¹⁴⁸ ტოიბნერი, გიუნთერ : "გლობალური კერძო რეჟიმები : ნეოსპონტანური სამართალი და ავტონომიურ სექტორთა დუალისტური კონსტიტუცია?" სამართლის ჟურნალი N2,2016: 321.

¹⁴⁹ საერთაშორისო სამართლის ხარვეზულ ფუნქციონირებასა და აღნიშნულის გამო კონსტიტუციონალიზაციის ტენდენციებზე იხ. Dunoff, Jeffrey L. : "The Politics of International Constitutions : The Curious Case of World Trade Organization", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009 : 204-205.

არსებობისა, კვლავ ახდენს დამთრგუნველ გავლენას ადამიანთა ცხოვრებაზე. ცხადია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ის ავტორიტეტი, რომელიც საჭიროა ძლიერი ქვეყნებისა თუ ტრანსნაციონალური აქტორების¹⁵⁰ ექსპანსიური ბუნების შებლუდვისათვის.

განსხვავებით უმრავლესი საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნების დროისა, როდესაც მთავარ პრობლემას წარმოადგენდა სახელმწიფო აქტორების, როგორც ნათლად იდენტიფიცირებადი საფრთხეების, შეკავება, დღეს, გლობალიზაციის კვალდაკვალ, საფრთხეები მომდინარეობს არა მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოებისგან, არამედ ანონიმური, მსოფლიოს გადამფარავი პროცესებისგან, მაგალითად, ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ავტონომიური სექტორებიდან. შესაბამისად, "ძველი მიდგომები", ვფიქრობ, ახალ პრობლემებს ვერ მოაგვარებს და მეტიც, შეიძლება, თვითორგანიზებადი პროცესების უნიფიცირებული სამართლით "მოთვინიერება", უფრო მეტი საფრთხის შემცველი იყოს, ვიდრე იგი ახლაა, ანუ მეტ-ნაკლებად ბუნებით მდგომარეობაში.

შესაბამისად, უნიფიცირებული სამართლებრივი წესრიგის იდეის უკუგდების შემდეგ, ლოგიკურია, მივეკედლოთ ტოიბნერის მოსაზრებას ავტონომიური ქვესისტემების ექსპანსიურ ბუნებათა წინააღმდეგ იმ მოქმედებების გამოყენების შესახებ, რომელთაც განიცადეს მეტ-ნაკლები წარმატება მათდამი ბრძოლისას. ესენია მსოფლიო საზოგადოების წიაღში წარმოშობილი პროტესტები, გაერთიანებები, სპონტანური ან ორგანიზაციული, შექმნილი პროფესიული თუ საყოველთაო ნიშნით, გლობალური პროცესების თანამდევი პროცესები, რომლებმაც იციან, თუ როგორ უნდა ებრძოლონ საფრთხეებს, რადგან საფრთხეებიც საზოგადოებრივი წარმომავლობისაა, ხოლო სახელმწიფო, სახელმწიფოთა გაერთიანება და მათი აპარატი, უფრო მეტად სტატიკურ მონაწილედგება "გაუნებელყოფაზე" ორიენტირებული, ვიდრე ყოველწამს განვითარებადი კომუნიკაციური პროცესების.

თავი VII : გლობალური კონსტიტუციონალიზმი სამართლიანი მსოფლიო წესრიგისთვის

გლობალური კონსტიტუციონალიზმი ინტერდისციპლინური დისკურსია, რომელიც მოიცავს შედარებით კონსტიტუციურ სამართალს, საერთაშორისო სამართალს, პოლიტიკის მეცნიერებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, პოლიტიკის თეორიასა და ფილოსოფიას. სამართლის მეცნიერებისთვის იგი საჭიროა იმდენად, რამდენადაც

¹⁵⁰ ტრანსნაციონალური აქტორები სახელმწიფოებთან ერთად განსაზღვრავენ გლობალურ პოლიტიკას. დამოკიდებულებებზე მათსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის იხ. Willetts, Peter : "Transnational Actors and International Organizations in Global Politics", The Globalisation of World Politics, Oxford University Press, 2001 : 356-383.

აკვირდება სამართლის დაფუძნებისა და ფუნქციონირების პროცესებს გლობალურ დონეზე, განსაზღვრავს მათ მახასიათებლებს, აღმოაჩენს სწორი კომუნიკაციის პრობლემებს და პროგნოზირებს სისტემის განვითარების სამომავლო პერსპექტივებს. ზოგისთვის იგი მხოლოდ სიტყვაკაზმული ჰიპოთეტური მსჯელობების ერთი დიდი გაუგებრობაა, ზოგისთვის მხოლოდ საერთაშორისო სამართლით განპირობებული მიმდინარეობა¹⁵¹, ხოლო ჩემთვის იგი წარმოადგენს მრავალმიმართულებიან ფენომენს, უპირველესად საზოგადოებრივ საწყისებზე წარმოშობილ ახალ სამართლებრივ წესრიგს, რომელიც დიდწილად დამოუკიდებელია სახელმწიფო აქტორთა დომინირებისაგან; მეტიც, იგი განსაზღვრავს შიდა სამართლის განვითარების პერსპექტივებს : რადგან დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში სახელმწიფოებს არ შესწევთ ძალა, იარსებონ იზოლირებულად, მათ უნდა გაიზიარონ მთელი მსოფლიოს მომცველი ისეთი კომუნიკაციური პროცესების კონსტიტუციური ბუნება, როგორსაც იყალიბებს, მაგალითად, ინტერნეტი, გლობალური კომპიუტერული ქსელი.

ყოველივე ამასთან კავშირშია ტრანსნაციონალური სამართლებრივი კულტურის იდეა, რომელიც სამართლის ევოლუციას წარმოგვიდგენს მრავლისმომცველ საზოგადოებრივ პროცესად, რომელშიც საზრისს აყალიბებენ ინსტიტუციები, პროცედურები და ფასეულობები, ნაცვლად ძალაუფლებით აპარატში გამოხატული სახელმწიფოს ნებისა. საინტერესოა ჰაროლდ ბერმანის აზრი აღნიშნულთან დკავშირებით : "სამართლის კონვენციური ნება, როგორც კანონებიდან და სასამართლო გადაწყვეტილებებიდან მომდინარე ნორმების ერთობლიობა - რაც ასახავს თეორიას სამართლის უმთავრეს წყაროდ კანონმდებლოს ("სახელმწიფოს") ნების მიჩნევის შესახებ - სრულებით არაადეკვატურია ტრანსნაციონალური სამართლებრივი კულტურის შესასწავლად. საუბარი დასავლური სამართლებრივი ტრადიციის შესახებ გულისხმობს სამართლის ცნების წამოყენებას, რომელიც არა ნორმების ერთობლიობის სახითაა წარმოდგენილი, არამედ როგორც პროცესი, საქმიანობა, რომელშიაც ნორმებს ენიჭებათ მნიშვნელობა მარტოოდენ ინსტიტუციებისა და პროცედურების, ფასეულობებისა და აზროვნების სტილის კონტექსტში. ამ უფრო ფართო პერსპექტივიდან, სამართლის წყაროები მოიცავს არა მარტო კანონმდებლის ნებას, არამედ ასევე გონსა და საზოგადოების მორალს, მის ჩვეულებებსა და ტრადიციებს."¹⁵²

¹⁵¹ მაგალითად, ანნე პეტერსი გლობალურ კონსტიტუციონალიზმს განილიხავს, როგორც საერთაშორისო სამართალში კონსტიტუციური პრინციპების დაფუძნების პროცესს. ვრცლად იხ. Peters, Anne : "The Merits of Global Constitutionalism", Indiana Journal of Legal Studies, Vol.16, Iss.2, Art.2, 2009.

¹⁵² ბრეგვაძე, ლაშა : აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია : სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში, თბილისი, 2016 : 179. ბერმანის აზრი ციტირებულია ნაშრომიდან : Berman, Harold J.: Law and Revolution. The formation of the Western Legal Tradition, Cambridge: Harvard University Press, 1983: 10. გლობალური სამართლებრივი კულტურის შესახებ ვრცლად, იქვე., გვ.175-246.

კონკრეტული თავის სათაური - "გლობალური კონსტიტუციონალიზმი სამართლიანი მსოფლიო წესრიგისთვის" იმედისმომცემი შინაარსისა, რაც შეიძლება გასაკვირიც იყოს, გათვალისწინებით იმისა, რომ ნაშრომის გარკვეული ნაწილი ეთმობა იმის აღწერას, თუ რაოდენ ძნელია ექსპანსიური სოციალური რეჟიმების შეკავება. თუმცა, რამ უნდა მოახერხოს მათი ძალაუფლების ლიმიტირება თუ არა კონსტიტუციურმა წესრიგმა? კლასიკური კონსტიტუციების მთავარი მიზანიც ხომ ის იყო, რომ პროპორციულ თანხვედრაში მოეყვანა სახელმწიფოს ძალაუფლებისა და ინდივიდთა უფლებების ფუნქციონირების საზღვრები, ხოლო დღეს საჭიროა გლობალური ძალაუფლების შეზღუდვა, იმ ძალაუფლებისა, რომელსაც ფლობენ ტრანსნაციონალური კერძო რეჟიმები. ამ პროცესში კი გლობალურმა კონსტიტუციონალიზმმა უნდა შეასრულოს თავისი როლი, რაც ნიშნავს იმას, რომ მან გლობალური პროცესების ანალიზის საფუძველზე უნდა ივარაუდოს კოლიზიათა სამომავლო გამოვლინებები, მაგალითად, ისეთი, როგორიც გამჟღავნდა "ფეისბუქის სკანდალით", ან გამოკვეთოს უკვე არსებული დაპირისპირებანი, რომლითაც ილახება ადამიანის უფლებებები და სუვერენულ სახელმწიფოთა ავტონომიურობის საზღვრები, ხოლო შემდგომ მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოებამ სწორი კომუნიკაციით მასსა და ქვესისტემას შორის, უნდა შეძლოს უკვე არსებული ან სამომავლო პრობლემის ეფექტური აღკვეთა, რათა უფრო განმტკიცდეს მსოფლიო წესრიგი, დაფუძნებული სამართლიანობის პრინციპზე.

დასკვნა

ნაშრომის სხვადასხვა თავში განვითარებული თეზისები, დაფუძნებული არგუმენტებზე, ზოგადი სახით, შეიძლება ჩამოყალიბდეს ამგვარად:

1. სამართალი საზოგადოებრივი წარმომავლობის ფენომენია, რომელიც ფუნქციონალურად დიფერენცირებულ ქვესისტემად ყალიბდება მთლიანი სოციალური სისტემის მიმართ. იგი საკუთრივ წარმართული კომუნიკაციური პროცესებით, რაშიც მოიაზრება ინფორმაციის, შეტყობინებისა და გაგების ერთობა, საკუთარ თავს აფუძნებს, როგორც სამართალს.
2. სამართლის ფუნქციონალური დიფერენციაცია განმსაზღვრელია საკუთარი შინაგანი ლოგიკისა და თვითორგანიზებადი, კვლავმწარმოებელი ბუნების ჩამოყალიბების. იგი თავად ახდენს საკუთარი თავის კონსტრუირებას განმეორებადი შინაგანი პროცესების საფუძველზე. შესაბამისად, სხვა სოციალური სისტემების მიერ, როგორებიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება და ა.შ. სამართლის დაფუძნება მხოლოდ გარეგანადაა შესაძლებელი, რადგან ისინი სამართლისთვის წარმოადგენენ ე.წ. "გარემოს".
3. სახელმწიფო, როგორც "საზოგადოებრივი ხელშეკრულების" შედეგად წარმოშობილი "ხელოვნურად" კონსტრუირებული მოვლენა, განსხვავდება საზოგადოებისგან და, შესაბამისად, საზოგადოებრივი რეჟიმის მისით განპირობებულობა წარმოუდგენელია; სახელმწიფო კონკრეტულ შემთხვევებში, შეიძლება წარმოადგენდეს "გარემოს" სამართლისთვის და სამართალი გარკვეულ შემთხვევებში "ლიაობით" აწარმოებდეს ნორმებს მისგან, ისევე როგორც სხვა სოციალური ქვესისტემებისგან.
4. სამართლის საზოგადოებრივ ქვესისტემად მიჩნევა აფუძნებს სამართლებრივ პლურალიზმს, რომლის თანახმადაც, არსებობს "რამდენიმე სამართალი" და სამართლის დამდგენი რამდენიმე სუბიექტი. შესაბამისად, მონოპოლია სამართლის დაფუძნებასა და, ზოგადად, სამართლის შინაარსის განსაზღვრაზე, სახელმწიფოს არ გააჩნია.
5. ყოველი სოციალური რეჟიმის შიგნით, რომელიც რეგულირებადია გარკვეული წესების მეშვეობით, სამართალი ფუნქციონირებს, როგორც "კონკრეტული მოვლენა" - კონკრეტული და ერთადერთი რომელიმე "მინი-საზოგადოებისათვის". მაგალითად, სავაჭრო ურთიერთობები წესრიგდება სავაჭრო სამართლით, რომელიც არსებობს დამოუკიდებლად მთლიან სამართლებრივ სისტემაზე მითითებისა.
6. გლობალიზაციის პროცესთა თანხვედრაში, რაც გულისხმობს იმას, რომ მთელი მსოფლიოს მომცველი სოციალური ურთიერთობები იწარმოება არა ერთი რომელიმე ლოკალური მისამართიდან, მაგალითად, სახელმწიფოდან, არამედ მრავალი განსხვავებული ინტერაქციის შედეგად, მრავალი

- განსხვავებული "ადგილიდან", სამართალი ფუნქციონირებს, როგორც გლობალური კერძო აქტორების, ტრანსნაციონალური კომპანიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საპროტესტო მოძრაობების მიერ სოციალურად ცვალებადი მოვლენა. მას უკვე ნაკლებად ეკისრება "ტერიტორიული იურისდიქციის" ფუნქცია.
7. რეგულაციები და ნორმები იწარმოება არა მხოლოდ სახელმწიფოთა მოლაპარაკებებით, არა მხოლოდ პოლიტიკურად ინსტიტუციონალიზებულ სამართლის ცენტრებში, როგორცაა საკანონმდებლო ორგანო და სასამართლო, ასევე კვაზიკერძო თუ კერძო აქტორების, თვითრეგულირებადი კერძო დაწესებულებების მიერ, რომელთაც გააჩნიათ დიდძალი კაპიტალი, ორგანიზაციული სისტემურობა და ძალაუფლება.
 8. თვითრეგულირებადი კერძო სისტემების მიერ სამართლებრივი ნორმების დაფუძნება წარმოებს კერძო ინიციატივებიდან წარმოშობილი ქცევების სპონტანური გააზრების საფუძველზე. მაგალითად, მსოფლიო სავაჭრო სისტემის ფუნდამენტური წესები ნაწარმოებია კერძო ხელშეკრულებების, კერძო არბიტრაჟთა გადაწყვეტილებების, კერძო ორგანიზაციებში წარმართული განხილვების, ბაზრის კვლევებისა და მოქალაქეთა, უმეტესად "ტრანსნაციონალურ მოქალაქეთა", პროტესტების გააზრების საფუძველზე.
 9. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შიგნით წარმართული პროცესები წარმოადგენს მაგალითს საზოგადოებრივი, ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციონალიზაციისა, კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობების კონსტიტუციონალიზაციისა. გათვალისწინებით იმისა, რომ იგი აფუძნებს სავალდებულოდ შესასრულებელ წესებს (მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად არ აცხადებს მათ ასეთად), რომლებიც იწარმოება მოლაპარაკებების, ფორუმების გამართვის შედეგად, სადაც ტრანსნაციონალური კერძო კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფოები წარმოადგენენ "ნორმების შემთავაზებელ" აქტორებს. მსო-ს სამართალი წარმოადგენს უზენაესს იმ კონკურენტულ სამართალთა შორის, რომელიც დაკავშირებულია ვაჭრობასთან.
 10. მსო-ს კონსტიტუციური წესრიგი ეფუძნება რამდენიმე მახასიათებელს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია : 1. მისი ინსტიტუციური მონაცობა 2. სამართლებრივი ნორმების ფუნქციონირება, როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი და სავალდებულოდ იმპლემენტირებადი ეროვნულ კანონმდებლობაში. 3. ნორმა-პრინციპების დამკვიდრება მსოფლიო ვაჭრობაში; ეკონომიკური თავისუფლების უფლების, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების რეალიზაცია 4. ტენდენცია ძალაუფლებაზე დაფუძნებული სისტემიდან სამართალზე დაფუძნებულ სისტემაზე გადასვლისა.
 11. ეკონომიკის მზარდი გლობალიზაცია, რაც დასტურდება მსოფლიო სავაჭრო

ურთიერთობების ანალიზის შედეგად, განაპირობებს ჭარბი კაპიტალის თავმოყრას კერძო კომპანიების ხელში, რაც იწვევს ტრანსნაციონალურ რეჟიმთა კოლიზიას. შესაბამისად, სისტემათა შინაგანი ლოგიკა ხშირ შემთხვევებში იწარმოება გარედან, უცხო რეჟიმის მიერ. აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზებზე წარმოჩინდება გარეგანი კონსტიტუციური შეზღუდვის აუცილებლობა, ან საპირისპიროდ, ავტონომიურობის უფრო მაღალი დონის მინიჭება, რომლის ბალანსისა და კონტროლის მექანიზმიც გლობალური სამოქალაქო სექტორის ხელში უნდა მოექცეს.

12. უნიფიცირებული კონსტიტუციური წესრიგის შემოღება, დიდი ალბათობით, იქნება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის გაჯანსაღების მცდელობა, ხოლო წარსული მოვლენების ანალიზით ცხადი ხდება, რომ საერთაშორისო სამართალი ვერ ახერხებს გააუნიფიცოს საფრთხეები, რომლებიც მომდინარეობს რეჟიმთა ხარვეზული კომუნიკაციური პროცესებიდან. ინტეგრაციის საპირწონე, შესაძლოა, იყოს უფრო მეტი დიფერენციაცია.
13. მეტი დიფერენცირების პირობებში, მომდინარე საფრთხეთა დაბალანსების ფუნქცია, გათვალისწინებით მათ მიერ მიღწეული წარმატებისა, შეიძლება შეასრულონ საპროტესტო მოძრაობებმა, გლობალური სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლობითმა რეჟიმმა, რომელიც, გათვალისწინებით საკუთარი საზოგადოებრივი წარმომავლობისა, უკეთაა აღჭურვილი ხარვეზულ სოციალურ პროცესებთან საბრძოლველად.
14. საპროტესტო მოძრაობების წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ სოციალური მუხტის არსებობასთან, ასევე გამართული ორგანიზაციული მონაცემების მქონე სისტემურობასთან, რაც, ყველაზე უკეთ, არასამთავრობო ორგანიზაციებს ახასიათებთ. შესაბამისად, მათი მახასიათებლების ერთიანობა იქნება წინაპირობა გლობალური სამოქალაქო საზოგადოების მიერ დამკვიდრებული ჯანსაღი კონტროლისა რეჟიმთა კოლიზიურობისა თუ გამოვლენილი ექსპანსიური ბუნების მიმართ.
15. გლობალური კონსტიტუციონალიზმი საჭიროა იმდენად, რამდენადაც იგი თეორიული საზრისით, ფაქტობრივ მოვლენებზე დაკვირვებით, გამოთქვამს პრობლემათა ამჟამინდელ თუ სამომავლო გამოვლინებების მიზეზებსა და, მეტ-ნაკლებად, სახავს მათი გადაჭრის გზებს.

გამოყენებული ლიტერატურა :

ქართულ ენაზე :

ავტორთა კოლექტივი : კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005 : 26, 49, 53.

ბერმანი, ჰაროლდ.ჯ. : "მსოფლიო სამართალი" (ინგლისურიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N1, 2015 : 452-457.

ბრეგვაძე, ლაშა : აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია : სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016 : 6, 28-48, 137-143.

ბრეგვაძე, ლაშა : "კონსტიტუციური პლურალიზმი : გლობალური კონსტიტუციონალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში", ადამიანი და კონსტიტუცია N1, 2006 : 7-20.

ბრეგვაძე, ლაშა : "ტრანსნაციონალური სამართლის გენეალოგია: მსოფლიო საზოგადოების ფრაგმენტირებული ნორმატიული წესრიგები", ბესარიონ ზოიძე - 60, საიუბილეო კრებული : 91

ვებერი, მაქს : პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება, (თარგმნა ნ.ფირცხალავა და ე.ჯგერენაიამ), ზურაბ კიკნაძის რედაქტორობით, თბილისი, 2004.

ვეშაპიძე, შოთა : ეკონომიკის საფუძვლები, თბილისი, 2015 : 75-58.

კელზენი, ჰანს. : "რა არის სამართლის წმინდა თეორია?" (გერმანულიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N2, 2011 : 302.

ლუმანი, ნიკლას : "მსოფლიო საზოგადოება როგორც სოციალური სისტემა"(გერმანულიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N1, 2017 : 373-387.

ლუმანი, ნიკლას : "ევროპა როგორც მსოფლიო საზოგადოების პრობლემა"(გერმანულიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N1, 2012 : 307.

ლუმანი, ნიკლას : "სახელმწიფოსა და საზოგადოების განსხვავება" (გერმანულიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N2, 2015 : 224-230.

მარქსი, კარლ, ენგელსი, ფრიდრიხ : რჩეული ნაწერები, ტ.1, თბილისი, 1975 : 624-625.

პაშუკანისი, ე.ბ. : სამართლის ზოგადი თეორია და მარქსიზმი, თბილისი, 1931 : 111-112.

რუსო, უან-უაკ : საზოგადოებრივი ხელშეკრულება, CIPDD, თბილისი, 1997.

სანიკიძე, გიორგი, კილურაძე, ნინო : თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები (მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია), ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", თბილისი, 2001 : 152. 148-160.

ტოიბნერი, გიუნთერ : "გლობალური ბუკოვინა - სამართლებრივი პლურალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში"(ინგლისურიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის სერია N1, 2005 :185-209.

ტოიბნერი, გიუნთერ : "გლობალური კერძო რეჟიმები : ნეოსპონტანური სამართალი და ავტონომიურ სექტორთა დუალისტური კონსტიტუცია?" (ინგლისურიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N2,2016 : 305-321.

ტოიბნერი, გიუნთერ : "საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი : სახელმწიფოზე ცენტრირებული კონსტიტუციური თეორიის ალტერნატივა?" (ინგლისურიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N1,2018 : 311-342.

ტოიბნერი, გიუნთერ : "ფრაგმენტირებული საფუძვლები : საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოს მიღმა" (ინგლისურიდან თარგმნა ლ.ბრეგვაძემ), სამართლის ჟურნალი N2,2017 : 359-374.

ფარსადანიშვილი, ნინო : საერთაშორისო და შიდა სამართლის თანათარღობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015 :11, 72, 75, 80, 81-83, 87-88.

ფუკო, მიშელ : "პანოპტიკონი" (თარგმნა გ.ხარიბეგაშვილმა), EMC-ის სამოქალაქო აქტივიზმის პლატფორმა, 2013.

ფილოსოფიის ისტორია, თავი მეორე - გეორგ ჰეგელის ფილოსოფია, წიგნი II. თბილისი, 2008. ასევე, ნაწილი მეოთხე, თავი მესამე - მარქსი.

ქერაშვილი, სალომე : ძირითადი უფლებების გავლენა სახელშეკრულებო სამართალზე : ევროპული გამოცდილების მნიშვნელობა ქართული სამართლისათვის, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2018 : 29-33.

შაიო, ანდრას : ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი (ინგლისურიდან თარგმნა მ.მაისურაძემ), თბილისი, 2003 : 21.

ჩიკვაიძე, დავით : საეკლესიო სამართლის პროცესი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2012 : 14-19.

ხუბუა, გიორგი : სამართლის თეორია, თბილისი, 2004 : 34. 58.

ჯგერენაია, ემზარ : "ნიკლას ლუმანის სისტემების თეორია", ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა, თბილისი, 2008.

ჰეგელი, გ.ვ.ფ. : გონის ფილოსოფია, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, თბილისი, 1984 : 28-29

Corpus Juris - სამართალმცოდნეობის საკითხები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, წიგნი I, თბილისი, 2015 : 14-23.

ინგლისურ ენაზე :

Bogdandy, Armin von: "Law and Politics in the WTO - Strategies to Cope With a Deficient Relationship", Max Plank Yearbook of United Nations Law, Vol.5, 2001 : 614-615. 623.

Brow, Brian and Anderson, Greg : Building Without Architecture : Regional Governance in Post-NAFTA North America, Routledge, NY, 2015 : 1-31.

Cass, Deborah Z. : "The "Constitutionalization" of International Trade Law: Judicial Norm - Generation as the Engine of Constitutional Development in International Trade", EJIL, Vol.12, N.1, 2001 : 39-75.

Collins, David : "Institutionalized Fact Finding at the WTO", University of Pennsylvania Journal of International Economic Law, Edward Elgar Publishing, Vol.27, 2006 : 367-387.

Crunic, James : "Paradigms of Global Public Relations in Age Of Digitalisation", PRism, 2009.

De Bellis, Maurizia : "Public Law and Private Regulators in the Global Legal Space", International Journal of Constitutional Law, Vol.9, Iss.2, 2011 : 425-448.

Derrida, Jacques : "Letter to a Japanese Friend", Derrida And Differance, Wood & Bernasconi, Wawrick, Parousia Press, 1985 : 1-5

Dieter, Grimm : "The Constitution in the Process of Denationalization", Constellations, vol.12, No4, Blackwell Publishing Ltd., Oxford, 2005.

Dunoff, Jeffrey L. : "Lotus Eaters: the Varietals Dispute, the SPS Agreement, and WTO Dispute Resolution", Health Regulation in the WTO 153, Cambridge University Press, 2006 :1-8.

Dunoff, Jeffrey L. : "The Politics of International Constitutions : The Curious Case of World Trade Organizationn", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009 : 178-205.

Evans, David and Shaffer, Gregory - Introduction : Dispute Settlement at the WTO - The Developing Country Experience, Cambridge University Press, 2010 : 2.

Footer, Mary E. : "The Role of Consensus in GATT/WTO Decision Making", Northwestern Journal of International Law & Business, Vol.17, Iss.1, 1997 : 653-680.

Foucault, Michel: Discipline & Punish. The Birth of the Prison, A Division of Random House, INC. New York, 1995.

Giddens, Anthony : The Consequences of Modernity, Stanford University Press, 1990: 63-78.

Habermas, Jurgen : "A Political Constitution for the Pluralist ?", nales de la Cátedra Francisco Suárez, 2005 : 121-132 .

Habermas, Jurgen : "Does the Constitutionalisation of International Law Still Have a Chance?", The Constitutionalization of International Law, Polity Press Ltd., Cambridge : 161.

Habermas, Jurgen : " The Constitutionalization of International Law and the Legitimation Problems of a Constitution for World Society", Constellations , An international Journal of Critical And Democratic Theory, Vol.15, N.4, 2008 : 444-455.

Headen, James and Sabune, Sheila : Burden of Proof in WTO Dispute Settlement: Contemplating Predetermination of The Evidence, ICTSD, 2009.

Hegel. G.W.F. : Philosophy of Right, Third Part - "Ethical Life", 1820.

Held, David: "Democracy and the Global Order: From the Modern State to Cosmopolitan Governance", Polity Press Ltd., Cambridge,1995 : 62.

Jessup , Philip C. : Transnational Law, Yale University Press, 1956 :1.

Kant, Immanuel : Toward Perpetual Peace : A Philosophical Sketch, 1795.

Kjaer, Poul : "Systems in Context on the Outcome of the Habermas/Luhmann - Debate", Ancilla Iuris Yearbook, 2006 : 66-77.

Lamy, Pascal : "The WTO's Contribution to Global Governance", The WTO and Global Governance, United Nations University Press, 2008 : 39-55.

Laskar, Elahi Manzoor : "Summary of Social Contract Theory by Hobbes, Locke and Rousseau", Symbiosis International University, 2013.

Maurer, Kathrin : "Communication and Language in Niklas Luhman's Systems-Theory", Pandaemonium germanicum , 2010 : 1-21.

Peters, Anne : "The Merits of Global Constitutionalism", Indiana Journal Of Legal Studies, Vol.16, Iss.2, Art.2, 2009.

Rodrik, Dani : "Globalization, Trade and Developing Countries", The WTO and Global Governance, United Nations University Press, 2008 : 202-215.

Rubin I.I. : Essays on Marx's Theory of Value, 1923.

Sassen, Saskia : "Globalization or Denationalization?", Review of International Political

Economy, Taylor And Francis Ltd., 2003.

Scholte, Jan Aart : "Globalization and Governance: From Statism to Polycentrism", CSGR Working Paper N. 130/04, coventry, 2004.

Sciulli, David : Theory of Societal Constitutionalism, Cambridge University Press, 1992 : 15-17.

Shaapera, Simon Aondohemba : " Evaluating the Social Contract Theoretical Ideas of Jean Jacques Rousseau: An Analytical Perspective on the State and Relevance to Contemporary Society", African Journal of Political Science and International Relations, Vol.9(2), 2015 : 36-41.

Shaffer, Gregory C. : Defending Interests. Public-Private Partnerships in WTO Litigation, The Brookings Institution Press, 2003, 1-18.

Sloan, Blaine : "The United Nations Charter as a Constitution", Pace International Law Review, Vol.1, Iss1/3,1989 : 62.

Stone, Alec : "What is a Supranational Constitution? An Essay in International Relations Theory", The Review of Politics, Vol.56, N3, Cambridge University Press, 1994 : 441-474.

Teubner, Gunther : Constitutional Fragments : Societal Constitutionalism and Globalisation, Oxford University Press, 2012 : 45-49.

Teubner, Gunther : "The King's Many Bodies : The Self Deconstruction of Law's Hierarchy", Law and Society Review, 1997. 763-787.

Teubner, Gunther : "The Two Faces of Janus : Rethinking Legal Pluralism", Cardozo Law Review, 1992.

Teubner, Gunther : "Transnational Economic Constitutionalism in the Varieties of Capitalism", The Italian Law Journal, Vol.01 - N.02 : 248.

Thornill, Christopher : "A Sociology of Constituent Power : The Political Code of Transnational Societal Constitutions", Indiana Journal of Legal Studies, 2013 : 567.

Tratchman, Joel P. : "Constitutional Economics of World Trade Organization", Ruling The World? Constitutionalism, International Law and Global Governance, Cambridge University Press, 2009 : 206-229.

Tratchman, Joel P. : "Global Commercial Constitutionalization : The World Trade Organization", Handbook of Global Constitutionalism, Edward Elgar Publishing, 2017: 400-401.

Willetts, Peter : "Transnational Actors and International Organizations in Global Politics", The Globalisation of World Politics, Oxford University Press, Oxford, 2001 : 356-383.

Ziemann, Benjamin : "The Theory of Functional Differentiation and the History of Modern Society. Reflections on the Reception of Systems Theory in Recent Historiography", White Rose University Consortium, 2007 : 220-229.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პუბლიკაციები :

About WTO - A Unique Contribution : Principles: Equitable, Fast, Effective, Mutually Acceptable - ხელმისაწვდომია :

https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/disp1_e.htm (ნანახია 2019 წლის 20 ივნისს).

Dispute Settlement: Appellate Body, Farewell Speech of Appellate Body Member David Unterhalter - ხელმისაწვდომია :

https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/unterhalterspeech_e.htm.(ნანახია 2019 წლის 7 ივლისს).

Understanding the WTO : Basics - Principles of the Trading System - ხელმისაწვდომია:

https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/TIF_e/fact2_e.htm (ნანახია 2019 წლის 20 ივნისს).

Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes - DSU) -

ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/dsu_e.htm (ნანახია 2019 წლის 23 ივნისს).

What is the WTO? - ხელმისაწვდომია :

https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact1_e.htm (ნანახია 2019 წლის 24 ივნისს).

WTO Secretariat Chart - ხელმისაწვდომია :

https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/org4_e.htm (ნანახია 2019 წლის 23 ივნისს).

სხვა ინტერნეტ-წყაროები :

Cambridge Analytica Scandal -

<https://static1.squarespace.com/static/56215673e4b08ff533e23bf1/t/5ae021122b6a283777f8cc9a/1524674903515/Facebook+-+Cambridge+Analytica+Scandal+-+A+Technological+Approach.pdf>. (ნანახია 2019 წლის 7 ივლისს).

Types of Economic Integration - <http://www.learneurope.eu/index.php?cID=306> (ნანახია 2019 წლის 5 ივლისს).

საერთაშორისო ხელშეკრულებები :

გაეროს წესდება - ხელმისაწვდომია :

http://www.parliament.ge/files/387_614_597473_gaeroscesdeba.pdf (ნანახია 2019 წლის 5 ივლისს).

"Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights" (TRIPS, 1995) - ხელმისაწვდომია : https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/27-trips_01_e.htm (ნანახია 2019 წლის 1 ივლისს).

"Agreement Establishing the World Trade Organization" (1995) - ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/04-wto.pdf (ნანახია 2019 წლის 5 ივლისს).

"General Agreement on Tariffs and Trade" (1986) - ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/gatt47.pdf (ნანახია 2019 წლის 5 ივლისს).

"General Agreement on Trade in Services" (1994) - ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/tratop_e/serv_e/gatsintr_e.htm (ნანახია 2019 წლის 7 ივლისს).

Understanding on Rules and Procedures Governing The Settlement of Disputes (1994) - ხელმისაწვდომია : https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/dsu_e.htm (ნანახია 2019 წლის 30 ივნისს).

საკანონმდებლო აქტები :

საქართველოს კონსტიტუცია (24/08/1995) - საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებები :

US - Corrosion-Resistant Steel Sunset Review, (WT/DS244/AB/R).

US - Shrimp and Shrimp Products, (WT/DS58/AB/R).

US -Stainless Steel (Mexico), (WT/DS244/AB/R).

გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია :

https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/dispu_by_short_title_e.htm.

სხვა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები :

TGI Paris, Ordonnance de référé du 20 Nov. 2000 - ხელმისაწვდომია ბმულის
გამოყენებით : <http://www.juriscom.net/txt/jurisfr/cti/tgi-paris 20001120.html>.